ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 9 ოქტომბერი 2001 №192 (1465) | ფასი 50 თეთრი


# საქმენი საშა-რა-ფონი

## ჩივაძემ ნაკრებს ფეხბურთი ათამაშა

## რუმინეთი 1
## საქართველო 1



REUTERS



რუმინეთი — საქართველო. შესარჩევი ციკლის ბოლოს ალექსანდრე იაშვილმა (№9) მეოთხე გოლი, ალექსანდრე ჩივაძემ მეშვიდე ქულა მიითვალეს

# დინამოს პოლიციას გამოუძახა

## შსს: სსს! კახა თარგამაძემ ფეხბურთელები დააშოშმინა

ამ უქმეებზე თბილისის „დინამოს" ახალმა ხელმძღვანელობამ კლუბის ფეხბურთელები, მთავარი მწვრთნელი და ადმინისტრაციული მუშაკები კრებაზე მიიწვია. ახალი უფროსობის წარმომადგენელმა ადმინისტრაციულ მოხელეებს უთხრა, კლუბში დარჩენა-არდარჩენის თაობაზე განცხადებები დაწერეთ, რომელსაც განვიხილავთო; ფეხბურთელებისგან კი მოითხოვა, ინტერვიუებისგან ჯერჯერობით თავი შეიკავეთო. კრებაზე თავშეყრილთ ისიც ამცნეს, რომ 11 ოქტომბერს კლუბის ახალი ხელმძღვანელობა პრეზენტაციას მოაწყობს და „დინამოს" უფროსობისა და მისი სამომავლო გეგმების შესახებ ყველაფერს შეიტყობთო.

მთავარი მოვლენები კი გუშინ დატრიალდა. კრებაზე არდაშვებული მთავარი მწვრთნელის თანაშემწეები, გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე გუნდიდან დაითხოვეს. „დინამოდან" რევაზ არველაძის გაშვების შემდეგ კლუბის ახალი უფროსობის ეს სვლა აშკარად მოსალოდნელი იყო. რაც შეეხება გივი ნოდიას, ახალმა ხელმძღვანელობამ მას ორი კვირის წინ გადასცა კონტრაქტი გასაცნობად. გაფორმდა თუ არა ახალი ხელშეკრულება, ვერ გეტყვით, მაგრამ ნოდია რომ „დინამოს" თავკაცად დარჩა, ცხადია.

მოვლენების ამგვარი განვითარების ფონზე გუშინვე „დინამოს" ფეხბურთელებმა მოითხოვეს გივი ნოდიას გადაყენება და კლუბის ახალ ხელმძღვანელობასთან (და არა მის რომელიმე წარმომადგენელთან) შეხვედრა. ბუნტი და ულტიმატუმი არ ყოფილა, დინამოელები არც ფოთში „კოლხეთთან" თამაშზე წასვლას უარობდნენ, უბრალოდ თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს და კლუბის უფროსობასთან დალაპარაკებას მოითხოვდნენ. ასეა თუ ისე, სიტუაცია მეტად გამწვავდა და...

ნაშუადღევს შსს-ს მინისტრი კახა თარგამაძე თავად ეახლა „დინამოს" ფეხბურთელებს დილმის ბაზაზე. თარგამაძეს თან ახლდა მისი მოადგილე ზურაბ უროტაძეც, რომელსაც კულუარებში საუბრისას გივი ნოდიას მფარველად მიიჩნევენ. მინისტრს ფეხბურთელებისთვის უთქვამს, კლუბს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს და საკადრო პოლიტიკის შერჩევაც მისი პრეროგატივაო. როცა თარგამაძემ სიტყვა ჩაამთავრა, ფეხბურთელებს მიმართა, თუ ვინმეს რაიმე გაქვთ სათქმელი, მომახსენეთო. ამას მოჰყვა ის, რომ კრება დატოვეს ვიტალი დარასელიამ, ირაკლი ზოიძემ, ჯონი შალამბერიძემ და მიხეილ ხუციშვილმა, აგრეთვე რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელმა, რომლებიც „დინამოს" პირველი გუნდის (კლუბს სულ სამი გუნდი ჰყავს) შემადგენლობაში არ ირიცხებიან. კრება და მწვავე საუბარი გაგრძელდა. მინისტრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ახლა ყველაფერს კლუბის ახალი უფროსობა წყვეტს. ერთი სიტყვით, კახა თარგამაძემ ფეხბურთელები დააშოშმინა და დაპირდა, ყველაფერი კარგად იქნება, საქმე უკეთესობისკენ წავაო.

აი, ამ ამბების შემდეგ გაემგზავრა ფოთში გივი ნოდიას „დინამო" იქაურ „კოლხეთთან" გასაჯიბრებლად. დინამოელთა თავკაცმა თანაშემწედ გელა ჭანტურია იახლა.

დავით თავართქილაძე



კახა თარგამაძე შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდა

# სამი უცნობი გურიას უმაღლეს ლიგაში დატოვებს


ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო ფრუიძე (მარცხნივ) თბილისური სემინარით კმაყოფილი დარჩა

*საქართველოს მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტმა ლანჩხუთის „გურიამ" სეზონი მძიმედ დაიწყო და თავიდანვე აუტსაიდერთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. სპეციალისტებმაც უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად მიიჩნიეს.*

*თუმცა, ეტყობა, კლუბის ხელმძღვანელობა სხვაგვარად ფიქრობს. მას მერე, რაც გურულებმა მეექვსე ტურში შინ ბოლნისის „სიონი" ვერ დაამარცხეს, მთავარ მწვრთნელ ზაზა გურიელიძეს თანამდებობა დაატოვებინეს და მის ნაცვლად აქამდე უმუშევარი სოსო ფრუიძე მიიწვიეს. ფრუიძემაც საქმეს ხელი მოჰკიდა და „გურიას" სამ თამაშში ხუთი ქულა მოაპოვებინა.*

*სოსო ფრუიძეს წინა კვირის ბოლოს თბილისში სფფ-ს მწვრთნელთა განათლების ცენტრის ლექცია-სემინარის შემდეგ შევხვდით და საუბარიც ამ თემით დავიწყეთ:*

**— რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე სემინარმა?**

— ძალიან კარგი წამოწყებაა. რადგან ფედერაციამ ამ საქმეს ხელი მოჰკიდა, მოვალენი ვართ მხარიც ავუბათ. სიამოვნებით დავესწრები მომავალ სემინარსაც.

**— „გურია" საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო, როდესაც კლუბის ხელმძღვანელობამ საშველად თქვენ გიხმოთ...**

— თუ სატურნირო ცხრილს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გუნდი მართლაც ცუდ დღეში იყო, თუმცა ყველანი მობილიზებულნი ვართ და ვცდილობთ, მდგომარეობა უკეთესობისკენ შევცვალოთ.

**— მიზანი, ალბათ, უმაღლეს ლიგაში დარჩენაა...**

— დიახ. სამწუხაროდ, ისეთ სიტუაციაში ვართ, რომ უფრო სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა გამორიცხულია. მხოლოდ ადგილის შენარჩუნებაზე ვფიქრობთ და თუ ამას შევძლებთ, კმაყოფილი ვიქნები.

**— თქვენი აზრით, ამჟამინდელი შემადგენლობით ეს შესაძლებელია?**

— უიმედოდ სულაც არა ვარ. გუნდში გამოცდილი ფეხბურთელებიც არიან და პერსპექტიული ახალგაზრდებიც. თუკი ისინი საქმეს სწორედ მიუდგებიან, ყველაფერი შესაძლებელი იქნება. თუმცა სრული სიმშვიდისთვის მინიმუმ სამი ფეხბურთელი უნდა მოვიწვიოთ, რომლებიც გუნდს საკმაოდ გაამლიერებენ.

**— ვინმესთვის ხომ არ დაგიდგამთ თვალი?**

— არა. ჯერჯერობით ამორჩეული არავინ მყავს, თუმც ასეც რომ იყოს, მათი ვინაობის გამხელისგან მაინც თავს შევიკავებდი.

**— მაშინ ის მაინც მითხარით, რა ამპლუის მოთამაშეები გჭირდებათ; ყველაზე მეტად რომელ სათამაშო რგოლში გიჭირთ?**

— თითო კარგი ფეხბურთელი სამივე ხაზში გვინდა. თუ ეს მოვახერხეთ, მაშინ უმაღლეს ლიგაშიც დავრჩებით. სხვაგვარად ძალიან გაგვიჭირდება. ჩვენი კონკურენტები არაფერს გვაპატიებენ. ლიგიდან გავარდნა კი მთელი ლანჩხუთისთვის კატასტროფა იქნება.

**— როგორია გუნდის ფინანსური მდგომარეობა? ამბობდნენ, ფეხბურთელებს დიდი ხანია, ხელფასი არ აუღიათო...**

— მე „გურიაში" მუშაობაზე იმიტომ დავთანხმდი, რომ გუნდს ნორმალურად ვარჯიშის საშუალება აქვს. მშვენიერ მდგომარეობაშია საწვრთნელი ბაზა, მოწესრიგებულია კვების საკითხიც და როგორც ვიცი, ბოლო ორი თვეა, ფეხბურთელები ხელფასსაც იღებენ. კლუბის ხელმძღვანელობას მოთამაშეების არაფერი მართებს. რაც შეეხება პრემიებს, ამის შესახებ არაფერი ვიცი.

**ბაჩა ზალამბერიძე**

## საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა — პირველი ეტაპი (13)

**მეათე ტური. ცხინვალი — თსუ 0:1; თორი — ლაზიკა 1:1; დილა — ლოკომოტივი 3 2:1; მერანი 2 — მილანი 1:5; დინამო 2 — ქობულეთი 0:0; ხობი — სამტრედია 1:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 10 | 8 | 2 | 0 | 24:2 | 26 |
| მილანი | 10 | 6 | 3 | 1 | 23:6 | 21 |
| ქობულეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 10:6 | 20 |
| თსუ | 10 | 5 | 2 | 3 | 14:9 | 17 |
| დინამო 2 | 10 | 5 | 1 | 4 | 11:10 | 16 |
| ცხინვალი | 10 | 4 | 2 | 4 | 16:13 | 14 |
| ლოკომოტივი 3 | 10 | 3 | 4 | 3 | 15:15 | 13 |
| ხობი | 10 | 2 | 6 | 2 | 9:9 | 12 |
| ლაზიკა | 10 | 2 | 3 | 5 | 9:19 | 9 |
| მერანი 2 | 10 | 2 | 1 | 7 | 6:18 | 7 |
| სამტრედია | 10 | 1 | 3 | 6 | 7:17 | 6 |
| თორი | 10 | 1 | 1 | 8 | 6:26 | 4 |

## საქართველოს ჩემპიონატი — რეგიონული ლიგა — პირველი ეტაპი (13)

### აღმოსავლეთი

**მე-8 ტური. მრეტები — მაუდი 0:1; მესხეთი — ზოოვეტი 1:0; თბილისი — მერანი 3 4:0; კრწანისი — ლიახვი 6:1; ჭაბუკიანი — მცხეთა 1:3; ცხუმი — დინამო 3 5:0; ჯავახი — ივერია 3:7; ალაზანი — ოლიმპიკი 2:1; გორდა 2 — ვარძია 1:0; აკადემია — ვიტ ჯორჯია 2 0:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 7 | 6 | 0 | 1 | 15:4 | 18 |
| ივერია | 7 | 5 | 1 | 1 | 22:10 | 16 |
| ალაზანი | 7 | 5 | 1 | 1 | 20:8 | 16 |
| ზოოვეტი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:3 | 15 |
| აკადემია | 7 | 4 | 2 | 1 | 12:4 | 14 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 7 | 3 | 4 | 0 | 19:4 | 13 |
| მაუდი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 13 |
| გორდა 2 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:6 | 11 |
| ვარძია | 7 | 3 | 2 | 2 | 7:4 | 11 |
| ლიახვი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:15 | 9 |
| ცხუმი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:8 | 8 |
| ოლიმპიკი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:7 | 8 |
| ჭაბუკიანი | 6 | 1 | 4 | 1 | 7:5 | 7 |
| თბილისი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:12 | 7 |
| მესხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:12 | 7 |
| დინამო 3 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:9 | 5 |
| კრწანისი | 7 | 1 | 1 | 5 | 8:21 | 4 |
| მერანი 3 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:18 | 4 |
| მრეტები | 6 | 0 | 1 | 5 | 4:13 | 1 |
| ჯავახი | 7 | 0 | 0 | 7 | 7:43 | 0 |

### დასავლეთი

**მე-9 ტური. მერცხალი — საპოვნელა 3:0; სოხუმი — ბათუმი 2 1:1; სამეგრელო — ინტერი 1:4; სულორი — კოლხეთი 2 6:3; გურია 2 — სქური 8:2; მეტალურგი 2 — საირმე 2:1; ზუგდიდი — ჩიხურა 3:0; ოკრიბა — სალხინო 1:2; ეგრისი — ლუკა 8:2; გზები — მაღაროელი 2:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 9 | 8 | 1 | 0 | 19:3 | 25 |
| სულორი | 9 | 8 | 0 | 1 | 27:9 | 24 |
| გურია 2 | 9 | 7 | 1 | 1 | 28:6 | 22 |
| ზუგდიდი | 9 | 7 | 1 | 1 | 20:7 | 22 |
| სალხინო | 9 | 6 | 0 | 3 | 14:12 | 18 |
| მეტალურგი 2 | 9 | 5 | 2 | 2 | 13:10 | 17 |
| ინტერი | 9 | 5 | 1 | 3 | 15:8 | 16 |
| საპოვნელა | 9 | 4 | 3 | 2 | 24:11 | 15 |
| კოლხეთი 2 | 9 | 4 | 3 | 2 | 17:10 | 15 |
| ეგრისი | 9 | 4 | 1 | 4 | 18:18 | 13 |
| მაღაროელი | 9 | 4 | 1 | 4 | 16:17 | 13 |
| სქური | 9 | 4 | 1 | 4 | 15:20 | 13 |
| საირმე | 9 | 3 | 1 | 5 | 9:9 | 10 |
| სამეგრელო | 9 | 3 | 1 | 5 | 13:19 | 10 |
| გზები | 9 | 2 | 0 | 7 | 6:21 | 6 |
| ლუკა | 9 | 2 | 0 | 7 | 9:25 | 6 |
| ბათუმი 2 | 9 | 1 | 2 | 6 | 4:11 | 5 |
| სოხუმი | 9 | 1 | 2 | 6 | 7:18 | 5 |
| ჩიხურა | 9 | 1 | 1 | 7 | 6:24 | 4 |
| ოკრიბა | 9 | 0 | 0 | 9 | 2:24 | 0 |


ალესანდრო დელ პიერო (№11) და ლასლო ბოდნარი

# არ გვინდა დელ პიერო...

**იტალია 1:0 უნგრეთი**

**1:0 დელ პიერო (45)**

**იტალია: ბუფონი, კანავარო, მატერაცი, მალდინი, ძამბროტა (დი ლივიო 80), ტომაზი, ალბერტინი (დი ბიაჯო 73), კოკო, ტოტი, ინძაგი, დელ პიერო (გატუზო 57)**

**მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი**

**უნგრეთი: კირალი, ბოდნარი, კუტორი, იუჰასი, მატიუში, პეტო, შებოკი, მირიუტა (ლისტეში 55), დარდაი, ტოკოლი (ეგრეში 77), კაბატი (ფერენცი 66)**

**მწვრთნელი: იმრე დელეი**

**მსაჯი: ეპიფანიო გონსალეს ჩავესი (პარაგვაი)**

**20 545 მაყურებელი**

**პირველი** ტაიმის ბოლოს, ალესანდრო დელ პიეროს ცხრიანში გატანილმა საჯარიმო დარტყმამ იტალიას უნგრეთთან გაამარჯვებინა და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ოფიციალურად დაუკანონა.

მეორე დილას იტალიურმა გაზეთებმა ფრანჩესკო ტოტი ცაში აიყვანეს და არც ზოგადად ნაკრების ქება დაივიწყებიათ, თუმცა გამარჯვება ლამაზი ვერ გამოვიდა. იტალია ჩვეულად, გეომეტრიულად უტევდა, მაგრამ საგოლე მომენტებამდე საქმე ძალიან იშვიათად მიდიოდა. მასპინძლებს, უმთავრესად კი დელ პიეროს ტრიბუნების სტვენა არ მოჰკლებიათ. ქომაგები ნაკრებში რობერტო ბაჯოს დაბრუნებას ითხოვდნენ. მოგეხსენებათ, ამას წინათ ბაჯომ საჯაროდ განაცხადა, ძალიან მინდა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშოო. ბოლო დროს ის მართლაც დიდებულ ფორმაშია და ტიფოზებიც ამან აალელვა.

„უკეთ ვითამაშეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ვერ გამიგია, გულშემატკივრები რამ გადარია. ტაში გვეკუთვნოდა და არა სტვენა.

დელ პიერომ დაამტკიცა, რომ ბაჯოზე ნაკლები არაფრითაა. იტალიელები მაზოხისტებივით იქცევიან, „აძურა" ძლიერია და საუცხოოდ თამაშობს, ისინი კი უკმაყოფილონი არიან — თქვა ჯოვანი ტრაპატონიმ — ზოგს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა, როცა ვამბობდი, უნგრელებთან მატჩი ძალიან მძიმე იქნება მეთქი. შეხვედრამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ იოლი გამარჯვებების დრო წავიდა. შესაძლოა, თამაში ლამაზი არ გამოგვივიდა, მაგრამ დაძაბულ ბრძოლაში მაინც ვიმარჯვეთ".

მერე ტრაპატონიმ ტოტიზე ისაუბრა: „ტოტი ნამდვილი ლიდერია და იმ ფეხბურთელების რიცხვს ეკუთვნის, გუნდის თამაში რომ მიჰყავთ. ფრანჩესკო დიდი ოსტატია და მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი იმედიც გახლავთ".

თავისი, ცხადია, დელ პიერომაც თქვა: „უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. პირველ ტაიმში გაგვიჭირდა და ჩემმა გოლმა ერთგვარად გაგვანთავისუფლა. გოლი მთელს გუნდს მივუძღვენი. გულშემატკივართა მხარდაჭერა ძალიან გვჭირდებოდა და დასანანია, რომ ასე მოგვექცნენ. თუმცა ყველაფერი კარგად დამთავრდა. მთავარია, რომ კორეა-იაპონიაში მივდივართ".

„სკუადრა აძურას" კაპიტანი პაოლო მალდინი: „ერთ მუშტად შევიკარით და მიზანს მივაღწიეთ. ეს ჩემი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ პატარა ბიჭივით ვთამაშობდი და ეს ასეც არის, თავს ოცი წლის ჭაბუკივით ვგრძნობ".

მაშ ასე, ქართველთა თანაჯგუფელი და ევროპის ვიცე-ჩემპიონი იტალია ისევ საუკეთესოთა შორისაა. მიშელ პლატინიმ ისიც თქვა, კორეა-იაპონიის სამ მთავარ ფავორიტს შორის ჯოვანი ტრაპატონის გუნდიც იქნებაო. სტატისტიკოსებმა კი დათვალეს, რომ 1:0 „სკუადრა აძურამ" ისტორიაში 67-ედ მოიგო. გამოდის, უნგრელები „საყვარელი ანგარიშით" დაუმარცხებიათ. მაშ, რაღა უნდათ?..

**სოლომონ გულისაშვილი**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 8 | 6 | 2 | 0 | 16:3 | 20 |
| რუმინეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 10:7 | 16 |
| საქართველო | 8 | 3 | 1 | 4 | 12:12 | 10 |
| უნგრეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 14:13 | 8 |
| ლიტვა | 8 | 0 | 2 | 6 | 3:20 | 2 |

# ნოდარ ჭელიძე ტორპედოს დაუბრუნდა

**დიდი** ხანი არ არის, რაც ქვეყნის ჩემპიონის დამრიგებელთა კორპუსი ორი კაცით შეთხელდა. „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის თანაშემწეებს ჯემალ ხერხაძეს და გიორგი აბზიანიძეს გუნდის დატოვება მოუხდათ და სექტემბრიდან მოყოლებული რევაზ ძოძუაშვილს დამხმარედ, ფაქტობრივად, მხოლოდ გელა კიკალეიშვილი ჰყავდა, დღეიდან კი...

როგორც შევიტყვეთ, ძოძუაშვილს კიკალეიშვილთან ერთად ნოდარ ჭელიძე დაეხმარება. „ტორპედოს" დირექტორატმა გუშინ გამოაცხო მისი მწვრთნელად დანიშვნის ბრძანება.

ნოდარ ჭელიძის ვინაობა ფეხბურთის მოყვარულთათვის უცნობი არ უნდა იყოს. იგი 15 წლისა ჩაირიცხა „ტორპედოში". საიმედო მცველი გახლდათ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებშიც უთამაშია. სათამაშო კარიერის დიდი ნაწილი მშობლიურ გუნდში გაატარა, ამასთან სამტრედიის „ლოკომოტივსა" და „სანავარდოს", წყალტუბოს „სამგურალის" და ქობულეთის „შუქურას" ღირსებაც დაუცავს.

ბოლო ხუთი წელი ჭელიძე ნორჩებს წვრთნიდა, ჯერ ქუთაისში, მერე დედაქალაქში — თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიაში და საკმაო ავტორიტეტიც მოიხვეჭა. სწორედ აკადემიიდან დაიბრუნა იგი, როგორც მწვრთნელი, „ტორპედომ".

აღსანიშნავია, რომ 37 წლის ნოდარს ღირსეული მემკვიდრეები ეზრდება. უფროსი ვაჟი ლაშა დღესდღეობით „ტორპედოში" თამაშობს და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. უმცროსი გიორგიც (ჯერჯერობით „აკადემიაში" ირიცხება) არანაკლებ პერსპექტიულია. ალბათ, იცით, ძმები საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებში არიან გამოძახებულნი და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადებიან.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**


# იყიდება

☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.



# ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"


## ინგლისი

**ლიგის თასი**

**III ეტაპი**

**ბოლტონი 1:0 ნოტინგემი**

## იტალია

**სერია B. VII ტური**

**სამპდორია 3:0 ბარი**

**ვიჩენცა 3:2 კოზენცა**

# რუმინეთში საქართველო ვნახეთ

## გეორგე ჰაჯიმ პლეი ოფისკენ გაქვისლა

კობა ინასარიძე

**გაკვირვებული** დარჩენილა შაბათის მატჩის შემდეგ რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი გეორგე ჰაჯი და პრესკონფერენციაზე უთქვამს, ქართველებს თუ ასე შეუძლიათ თამაში, 10 ქულაზე მეტი როგორ ვერ დააგროვესო.

გაკვირვებულნი დავრჩით ჩვენც ქართველები, რომლებიც განებივრებულნი ნამდვილად არ ვართ ეროვნული გუნდის კარგი თამაშით.

ისე, კარის გაჯახუნება და ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების სამომავლო შესარჩევ მატჩებამდე იმედის კვალის დატოვება კი ეხერხება საქართველოს ნაკრებს. თუმც საქმე ისაა, შემოდგომა რომ დადგება და ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყება, იმედებიც ცრუვდება და კვალიც ქვიშაზე დანატოვარივით მალე იშლება.

უკვე ოთხი მატჩია, საქართველოს ნაკრებს არ წაუგია. რაც მწვრთნელის მოვალეობას ალექსანდრე ჩივაძე ასრულებს, გუნდმა სამჯერ მოიგო და აგერ რუმინეთში მოულოდნელად ფრედაც ითამაშა. შედეგი იმდენად მოულოდნელი არც ყოფილა, რამდენადაც ჩვენებურების გააზრებული თამაში. ჯგუფის სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე უმოტივაციო მატჩში საქართველოს ნაკრებს აშკარად ეტყობოდა მწვრთნელის ხელი. ფეხბურთელებმა, ერთი-ორი ეპიზოდის ჩაუთვლელად, იცოდნენ, რა გაეკეთებინათ, როდის გახსნილიყვნენ, როდის თავისუფალი ზონა შეევსოთ, როდის ბურთი დაეჭირათ და კონტრშეტევა რანაირად დაეწყოთ. ჩივაძეს აუხსნია ფეხბურთელთათვის, როგორ ეთამაშათ და აკი, თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, სწორადაც აუხსნია. ისე, ასეთ რამეზე არც უნდა ამახვილებდე ყურადღებას, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ ნაკრები გამართულ ფეხბურთს ორ წელიწადში ერთხელ, ჰა-ჰა, ორჯერ თამაშობს. ჩვენც, უსახურ მატჩებს ჩვეულებს, გვიხარია, როცა გუნდი გუნდს ჰგავს და თამაშსაც ეტყობა, რომ მწვრთნელს შეგირდთათვის გონივრული რამ უთქვამს.

ქართველთათვის შაბათის მატჩი ძალიან დამღლელი გამოდგა. ფეხბურთელები, ერთი-ორის გარდა, თამაშის ბოლოსკენ მისავათებულნი იყვნენ. ნაკრების შემყურეთათვის, ცოტა არ იყოს, ესეც საკვირველი გახლდათ. დაიქანცნენ იმიტომ, რომ იბრძოლეს, ვარდნის შემდეგ წამომდგარნი არ იყვნენ, ისევ ფეხებში ჩასავარდნად იყვნენ მზად. ალბათ დამეთანხმებით, საქართველოს ნაკრებისგან ასეთ თავგამოდებას დანატრებულნიც კი ვიყავით.

იყო პრესინგი, რაც ასევე ახალი იყო ეროვნული გუნდისგან და მთავარი: ნაკრები მეტოქეს გუნდურად უტევდა, ნაკლები იყო ინდივიდუალიზმი, თუმც საჭიროებისას ჩვენებურებმა ამის ხარჯზეც შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი. 82-ე წუთზე კი, როცა ანგარიში უკვე ქართველებისა იყო, ფორმიდან აშკარად ამოვარდნილ ქეცბაიას მოუვიდა ზედმეტი. მისი დარტყმული მეკარის ხელიდან ძელს კი მოხვდა, მაგრამ დარტყმის ნაცვლად იქვე, ალექსიძისთვის რომ გაეგორებინა ბურთი, უეჭველი მეორე გოლი გავიდოდა ლობონტის კარში.

შაბათის მატჩმა ერთხელაც დაადასტურა, რომ მოედნის შუაში ჯამარაულ-ქინქლაძის ტანდემის ერთად ყოფნისას თამაში უფრო მწვავდება. დადასტურდა ისიც, რომ გიორგი ქინქლაძე ამჟამინდელი საქართველოს ნაკრებისთვის დიდი ძალაა. თავისი საქმე გააკეთა ჯამარაულმაც, ორჯერ ზედმეტი კი მოუვიდა, ბურთი დაკარგა და ამის შემდეგ მეტოქეს შეტევის საშუალება მიეცა, მაგრამ რამდენიმე ისეთი პასი მიაწოდა თანაგუნდელებს, რუმინელები სახტად დატოვა და მათი შეტევაც ცენტრის ახლოს რამდენჯერმე ჩაშალა. თავდამსხმელებმა — იაშვილმა და ყაველაშვილმაც ბევრი იმუშავეს, საკმაოდ იაქტიურეს და ჰავბეკებს საშუალება მისცეს, შეტევისას თითქმის ყველა საბოლოო



გეორგე ჰაჯი

პასი მათკენ გაკეთებულიყო.

კაპიტან გიორგი ნემსაძის არყოფნაში მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ფრაიბურგელი ლევან ცქიტიშვილი ათამაშა და როგორც რუმინეთამდე, უნგრეთთან და ლიტვასთან მატჩებისას, ფეხბურთელმა მწვრთნელს არ უმტყუნა. თავის საქმეს, რაც საყრდენს ავალია, რიგიანად გაართვა თავი. ეგ კი არა, გოლშიც დიდი წილი დაიდო — იაშვილის ასისტენტ ყაველაშვილს რუმინული ხელოვნური თამაშგარის გამაბითურებელი პასი მან მიაწოდა. ბევრი იმოძრავა და ოფლი ღვარა, შეტევაშიც ხშირად ერთვებოდა და საკუთარი კარის სიახლოვესაც სასარგებლოდ თამაშობდა ედიკ საჯაია, თუმც კი 88-ე წუთზე, როცა ნიკულაემ პოპესკუსთვის ბურთის საგოლედ ჩაწოდება დააპირა, მას რუმინელისთვის ხელი უნდა შეეშალა. ისევ როგორც მარცხენაფლანგელ ლევან კობიაშვილს უნდა შეერჩია ჩაწოდებისას უკეთესი პოზიცია და პოპესკუსთვის თავურის დარტყმის საშუალება არ მიეცა. ეს ეპიზოდი მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე იყო და ჩვენდა სამწუხაროდ, ანგარიშის გათანაბრებით დასრულდა. პოპესკუმ, რომელიც ეროვნულ გუნდში მწვრთნელის თხოვნის შემდეგ დაბრუნდა, თავის 104-ე სანაკრებო შეხვედრაში მე-16 გოლი გაიტანა. სხვათა შორის, ჯიკა პოპესკუ მოედანზე მყოფთაგან ყველაზე უფროსი, 34 წლისა გახლდათ და იგი გეორგე ჰაჯის ქვისლია.

პოპესკუს გოლის მსგავსად ისიც სამწუხარო იყო, რომ იქამდე ქართველმა ფეხბურთელებმა სამი ნაღდი საგოლე მომენტი გააცუდეს. პირველი, პირველ ტაიმში, როცა ქინქლაძეს ჯამარაულმა ბრწყინვალე პასი მისცა. გიომ კი, რომელიც ამგვარი მომენტებიდან ასიდან ასს გამოიყენებს, ტექნიკურად დარტყმული ბურთი კარს ააცილა. მეორე ასპროცენტიანი მომენტი, უკვე 0:1-ზე, თავად ჯამარაულს შეექმნა, ლობონტთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი რატომღაც ყაველაშვილს დაუგორა, რაც ფორვარდისთვის, ეტყობა, მოულოდნელი იყო. მასაც ბურთთან მიახლოებისას მუხლი მოეკეცა და ცარიელ კარში დარტყმა ველარ მოახერხა. არადა, ჯობდა, ჯამარაულს თავადვე დაერტყა. მესამე ქეცბაიას მომენტი იყო. ცენტრის ხაზთან ბურთს რომ ჭვინტი ჰკრა, ლაკუსტა გააცურა და ლობონტისკენ გაქანდა. ალექსიძისთვის პასის გაკეთებას კი თავად დარტყმა ამჯობინა და რუმინელები ლობონტმა და კარის ძელმა ერთად გადაარჩინა. იყო ერთი სადავო ეპიზოდიც: ყაველაშვილმა გოლი გაიტანა, მაგრამ სლოვაკი მსაჯი ლუბოშ მიხელი თანაშემწეს დაეთანხმა და თამაშგარე დააფიქსირა.

ერთი სიტყვით, ქართველთა შაბათის მატჩის შემდეგ, არა მგონია, ვინმე უკმაყოფილო დარჩენილიყო. თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ რუმინეთის ნაკრებს, რომელიც გეორგე ჰაჯის ხელმძღვანელობით შინ პირველად და შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა. რუმინელთა რამდენიმე ფეხბურთელი დისკვალიფიცირებული და ტრავმირებული იყო.

— ნუ დაივიწყებთ, რომ დღეს ჩვენ ექსპერიმენტული შემადგენლობით ვითამაშეთ, რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს მივეცით თავის გამოჩენის საშუალება. მათი თამაშით კმაყოფილი დავრჩი. მით უმეტეს, ჩემზე მეტოქემაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა — თქვა მატჩის შემდეგ რუმინელთა მწვრთნელმა, რომლის გუნდიც ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად პლეი ოფში სლოვენიელებს უნდა ეთამაშოს, რომლებთანაც რუმინელებმა აგვისტოში ლიუბლიანაში გამართული ამხანაგური მატჩი ფრედ დაასრულეს.

ჩვენებს კი რუმინელებთან საგარეო ფრემ ოდენ პრესტიჟი შემატა.

და მაინც, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერმოხვედრას უკვე შეგუებულნი ვიყავით და ჩვენთვის მთავარიც ახლა იწყება — ვინ გაწვრთნის საქართველოს ნაკრებს? დარჩება, ან, დატოვებენ ალექსანდრე ჩივაძეს ეროვნული გუნდის მწვრთნელად? კაცმა რომ თქვას, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ნაკრები უკვე ოფიციალურად ჩივაძეს თუ ჩააბარეს, მათი ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე ბევრი არ იქნება. მთავარი ხომ შედეგია? ჩივაძემ ფონი შეიქმნა, ოთხი თამაშიდან სამი მოიგო და ამას რუმინეთში ფრე დაამატა. თუმცა იქნებ თავად ჩივაძემ თუარის ნაკრებში დარჩენა. 1996 წელს ის ხომ წარუმატებლობისთვის საზოგადოების მოთხოვნით გადადგა ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან, ჰოდა, ახლა შესაძლოა ქომაგის თვალში აღდგენილ სახელს გაუფრთხილდეს და კვლავაც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტობა ამჯობინოს.

გენერალური მდივნის *ვალერი ჩოლარიას* თქმით კი, რომელსაც გუშინ პრალაში დავუკავშირდით, ნაკრების მწვრთნელის საკითხი, ან უახლოეს ხანს გაირკვევა, როცა ის, პრეზიდენტი ჟორდანია და ჩივაძე საქართველოში დაბრუნდებიან, ან კიდევ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრის შემდეგ, რომელიც 25 იანვარს უნდა გაიმართოს.

***მიხეილ ყაველაშვილი:***

— ვფიქრობ, ურიგოდ არ გვითამაშია. მიუხედავად იმისა, რომ რუმინელებთან მატჩს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაინც მოვინდომეთ და კარგად ვითამაშეთ. ალბათ, ქომაგები დარწმუნდნენ, რომ ნაკრების საქმე არცთუ ისე ცუდადაა. საწყენია, მოგება შეგვეძლო, საამისოდ კარგი შანსი გქონდა, მაგრამ მეტოქემ მატჩის მიწურულსლა გაგვითანაბრა ანგარიში. ჩემს მომენტზე კი, რა ვთქვა, როცა ჯამარაულმა წამოიღო ბურთი, დავუძახე, პასს ვთხოვდი, მან გამომხედა, მაგრამ თავადვე მიუახლოვდა მეკარეს, ვიფიქრე, ალბათ, პასს აღარ მომცემს მეთქი. თუმც მერე, როცა დამიგორა, ბურთს ველარ შევწვდი, მანამდე აჩქარებაც არ შემეძლო, ოფსაიდი იქნებოდა.

***გიორგი ნემსაძე:***

— ტრიბუნიდან საცქერლად ძალიან კარგი მატჩი იყო. გული დამწყდა ჩვენებს მოგება რომ შეეძლოთ და ფრესლა დასჯერდნენ, თუმც რუმინეთთან სტუმრად ფრეც ბევრს ნიშნავს. ბევრს მოუგია, თუნდაც ბევრს უთამაშია ფრედ რუმინეთში? განსაკუთრებით ალექსანდრე ჩივაძის მიერ არჩეული ტაქტიკაა აღსანიშნი, მწვრთნელმა ყველაფერი კარგად გათვალა და გუნდი აშკარად მოსაგებად ათამაშა. მტკივან მუხლზე კი ოპერაციას, ალბათ, ამ კვირაში იტალიაში გავიკეთებ.

***ლევან ცქიტიშვილი:***

— ძალიან კარგად ვითამაშეთ, საგოლე მომენტები ჩვენ უფრო მეტი გვქონდა და ვიმსახურებდით კიდეც მოგებას. ბოლოს ცოტა დავიღალეთ და ალბათ, ამის ბრალია, რუმინელებმა რომ ანგარიში გაგვითანაბრეს. დასანანია აქამდე, რომ მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ. ისევე რომ გვეთამაშა, როგორც შაბათს, ალბათ, ჯგუფში რუმინელების ადგილს ჩვენ დავიკავებდით. ალექსანდრე ჩივაძეს კი დიდი მადლობა, რომ მენდობა და ძირითად შემადგენლობაში მათამაშებს. ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ვიყავი, როცა ბატონმა საშამ, ნაკრებში პირველად მიხმო. ჩივაძის წინამორბედებს ეტყობა, ჩემი იმედი არ ჰქონდათ. თუმცა, მგონი, დავამტკიცე, ნაკრებში თამაშის ღირსი რომ ვარ.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. მერვე ტური.
ბუქარესტი. 6 ოქტომბერი. 23.45 საათი. სტიაუა. 20 000 (ტევადობა 26 000)

### რუმინეთი 1:1 საქართველო

0:1 იაშვილი (54), 1:1 პოპესკუ (88)

მწვრთნელი: გეორგე ჰაჯი

1. ლობონტი
6. პოპესკუ 4. მიუ 2. კირიტა 3. ლაკუსტა
8. დ. მუნტიანუ
7. დუმიტრუ 5. პირვუ
10. მუტუ
9. ნიკულაე 11. ილიე

11. ყაველაშვილი 9. იაშვილი
10. ქინქლაძე
8. ჯამარაული 6. ცქიტიშვილი
2. კობიაშვილი 5. საჯაია
7. კალაძე 4. რეხვიაშვილი
3. ხიზანიშვილი
1. გვარამაძე

მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

შეცვლა: მუტუ — 15. როსუ (46), პირვუ — 18. მიჰალჩია (61), ქინქლაძე — 15. ქეცბაია (63), ილიე — 17. პანჩუ (70), ყაველაშვილი — 17. ბურდული (75), იაშვილი — 14. ალექსიძე (81)

გაფრთხილება: კობიაშვილი (25), ცქიტიშვილი (90)

მსაჯები: ლ. მიხელიჩ; ი. შრამკა, მ. რუდბარსკი; ლ. გადოში (ყველა სლოვაკეთი);
ფიფას დელეგატი: ა. ბერლინგერი (ესპანეთი); მსაჯების ინსპექტორი: მ. მიკელსენი (დანია)



REUTERS

მიხეილ ყაველაშვილი (№11) და რუმინელთა მეგოლე ჯიკა პოპესკუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა 13
პირველი ეტაპი

10 ტური
ანონსი

# ფეხბურთი იაფად, გემოვნების მიხედვით

ქუთაისი. ტორპედო. 9 ოქტომბერი. 16 საათი

## ტორპედო — მერანი

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ფოთი. ფაზისი. 9 ოქტომბერი. 16 საათი

## კოლხეთი — დინამო

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ლ. სილაგავა (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებული: ფანჩულიძე (კოლხეთი)

თბილისი. ლოკომოტივი. 9 ოქტომბერი. 16 საათი

## ლოკომოტივი — სამგურალი

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე
დისკვალიფიცირებულნი: ფრანგიშვილი, დარსაძე (სამგურალი)

რუსთავი. ფოლადი. 9 ოქტომბერი. 16 საათი

## გორდა — ბათუმი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ხუციშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 9 ოქტომბერი. 16 საათი

## გურია — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი
დისკვალიფიცირებულნი: კაციაშვილი (გურია), დ. დოლიძე (ვიტ ჯორჯია)

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 9 ოქტომბერი. 16 საათი

## სიონი — მეტალურგი

მსაჯები: ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ევროტურნირები, სანაკრებო მატჩები კიდევ დაუბრუნდება საქართველოს. მანამდე კი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებით მოუწევს ქომაგს დაკმაყოფილება. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს „ცოცხალი" ფეხბურთი მოენატრება, თორემ ტელევიზორი და მაგის ჯანი. იქ ყველგან ბურთს აგორებენ, თანაც მაღალ დონეზე.

ეროვნული ჩემპიონატის მოტრფიალეთ მაინცდამაინც დიდი არჩევანი არ დარჩენიათ, თუმც გულის გადაყოლება ნამდვილად შეიძლება. მაგალითისთვის „კოლხეთი" — „დინამოს" დღევანდელ თამაშს შემოგთავაზებთ, თანაც სულ იაფად. უფრო დაძაბული და ინტრიგული დაპირისპირება მეათე ტურში სხვა არ გვეგულება. გნებავთ, პრეზიდენტის მშობლიურ კუთხეში გაისეირნეთ. გნებავთ, დედაქალაქში დარჩით. არადა, რუსთავ-ბოლნისისკენ გაემართეთ. მოკლედ, ხასიათის ამბავია. ჩვენ კი ფოთში გამგზავრებას გირჩევდით. „ფაზისზე" ბევრი რამ გაირკვევა.

### კოლხეთი — დინამო

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 13+4=3-6 | 18:16 |
| სულ: | 25+6=4-16 | 26:49 |

„დინამოში" თითქმის ყველაფერი იცვლება და „ფაზისზე" წარმატებულ თამაშს კლუბის თითოეული წევრისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. წარმოიდგინეთ, დღეს დინამოელები ფოთში ითამაშებენ, მერე ორ დღეში კლუბის ახალი თავკაცობა წარსდგება ქართული საფეხბურთო საზოგადოების წინაშე.

ათგზის ჩემპიონი ზღვისპირეთში მოსაგებად კი მიდის, მაგრამ მეტად უხერხული მეტოქეა ფოთის „კოლხეთი". სწორედ კოლხებს ლავარდნიათ „დინამოს" ყველაზე მეტჯერ გამამწარებლის სახელი და ფაზისელები ეროვნული ჩემპიონატის სადებიუტო მატჩს დღესაც სიამაყით იხსენებენ. გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ ფოთელები ზეიმობდნენ გამარჯვებას.

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. არც „დინამო" ძველებურად ძლიერი და არც „კოლხეთი" წყვეტს ციდან ვარსკვლავებს, მაგრამ ძველი ანგარიშები მაინც გასასწორებელია.

ძნელია, მწვრთნელთა დუელში გამარჯვებული აქედანვე იწინასწარმეტყველო. სოსო ფილია და გივი ნოდია საკმაოდ კარგად იცნობენ ერთმანეთს. თავის დროზე ორივეს დაუტოვებია გუნდი და მერე ისევ მიბრუნებულა. მასპინძელი მხოლოდ „კოლხეთისთვის" დახარჯულა, სტუმარს „დინამოს" გარდა „ლოკომოტივიც" გაუწვრთნია (რუსულ გუნდზე რომ არაფერი ვთქვათ) და ფოთელთა ძალაც გამოუცდია.

ფილიას ერთი თავსატეხი აქვს, ვინ ათამაშოს დისკვალიფიცირებული გელა ფანჩულიძის ნაცვლად. დაცვის არასაიმედო თამაშიც ცალკე საფიქრალია.

წესისა და რიგის მიხედვით, ნოდიას ორი ტრავმირებული — ზაზა ზირაქიშვილი და ვახტანგ იაგორაშვილი უნდა შეშველებოდნენ, მაგრამ ფეხმტკივანები ტრავმირებულ მანწკავასთან ერთად თბილისში დარჩნენ.

თუ სტატისტიკას დავეყრდნობით, მაშინ „დინამოს" უპირატესობას დავინახავთ. საშინაო 12 თამაშში „კოლხეთს" მხოლოდ 4 მოუგია და 6 სტუმრისთვის დაუთმია. 3 მატჩი მშვიდობით დასრულებულა. ძალიან გაინტერესებთ, რა მოხდება „ფაზისზე"? მიბრძანდით ფოთში.

### ტორპედო — მერანი

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 6+6=0-0 | 15:2 |
| სულ: | 12+8=1-3 | 19:8 |

ჩემპიონი რომ ავჭალას სტუმრობდეს, მაშინ „მერანის" შანსებზე კიდევ შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ იმერეთში ჩადის ოთარ გაბელიას გუნდი და... ავჭალელებს ქუთაისიდან ჯერ ქულა არ წაუღიათ. ნავსის გასატეხად სტიმული დიდია, მაგრამ ობიექტურად „ტორპედო" რომ უფრო ძლიერია?!

რევაზ ძოძუაშვილს ჰყავს ორიოდ ტრავმირებული, თუმც გუნდის ძირითადი ბირთვი მწყობრშია. ავჭალელთა მეკარე რევაზ ნაჭყებია ისევ ფეხს იტკივებს, ამიტომ გამორიცხული სულაც არ არის, ქუთაისში აკაკი დევაძე ვიხილოთ. სტუმარ-მასპინძელში არც ერთია დისკვალიფიცირებული და „ტორპედოზე" რიგიანი თამაში უნდა იყოს.

### ლოკომოტივი — სამგურალი

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 4+3=1-0 | 6:0 |
| სულ: | 8+5=1-2 | 11:4 |

წყალტუბოელები ზედიზედ მეორედ ესტუმრებიან დედაქალაქს და ისევ არ ეყოლებათ ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი — მცველი ფრანგიშვილი და ნახევარმცველი დარსაძე, რომელთაც ჯერ კიდევ „დინამოსთან" საშინაო მატჩში ზედმეტი აქტიურობით გამოუჩენიათ თავი და მათი სამონაწილეო ბარათები საშეჯიბრო კომიტეტის სეიფის ტყვეობაში იმყოფება.

„სამგურალი", როგორც წესი, სუსტად ატარებს საგარეო მატჩებს და ამ ნაკლის გამოსწორება არც რკინიგზელებთან თამაშშია მოსალოდნელი. „ლოკომოტივი" ახლაა კარგ ფორმაში, რიცხვმრავალ შემადგენლობაში ტრავმირებულიც თითქმის არავინაა. ასე რომ, მასპინძლის სამი ქულა დღეს ეჭვს არ იწვევს.

### გორდა — ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 11+5=4-2 | 16:7 |
| სულ: | 21+6=7-8 | 24:27 |

სტუმარ-მასპინძელმა ეროვნულ ჩემპიონატში თავისი წილი ისტორიის შექმნას ურთიერთდაპირისპირებით დაუდო სათავე. თერთმეტი წლის წინ ბათუმში სტუმრად ჩასულმა „გორდამ" 1:0 წააგო და მას აქეთ კიდევ ოცჯერ დაეტაკნენ ერთმანეთს დღევანდელი მეტოქეები.

1994-95 წლების ჩემპიონატში ორი კურიოზული შემთხვევაც „გორდასა" და „ბათუმის" მონაწილეობით მოხდა. ჯერ ზღვისპირელებმა იუკადრისეს მეტალურგების მასპინძლობა. შეიძლება ვთქვათ, გაშლილ სუფრაზე წიხლი უკრეს და 0:3 წაგებაც ჩაეთვალათ. „ბათუმმა" არ დაგვაფასაო, აიჩემეს რუსთაველებმა და მეორე წრეში უკვე მათ არ ინდომეს სტუმრობა. ისევ 0:3...

მაშინ გაშლილი სუფრა და პურმარილი მართლა არ ყოფილა შუაში. საქმე არეულ-დარეულ ვითარებასა და უფულობაში იყო. რუსთაველთა და ბათუმელთა დაპირისპირების ირგვლივ კიდევ რამეს გაიხსენებდნენ სტაჟიანი ქომაგები, მაგრამ ფაქტი ერთია, „გორდა" — „ბათუმს" თავისებური ინტრიგა მუდამ ახლდა.

დღეს თითქოს „ბათუმი" უფრო დალაგებული გუნდია და გარდასულ დღეთა სტატისტიკაც მათ უპირატესობაზე მეტყველებს, მაგრამ არც თენგიზ კაცია და გორდა" აპირებენ უკან დახევას. რუსთაველები ხომ შინ უფრო ძლიერად თამაშობენ.

### გურია — ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 2+2=0-0 | 4:1 |
| სულ: | 4+2=0-2 | 4:5 |

სულ ოთხ თამაშს ითვლის გურულთა და ვეტერინართა დაპირისპირება. ვიტელები უმაღლეს ლიგაში რომ დაფრთიანდნენ, სწორედ მაშინ აირ-დაირია „გურია". ჰოდა, დღეს მეხუთე შეყრაა.

არც ის გახლავთ გასაკვირი, რომ „ვიტ ჯორჯიას" „ევგრაფი შევარდნაძეზე" ჯერ თამაში არ მოუგია. ახალი მწვრთნელის თავკაცობით ვეტერინარები ამას ახლა აპირებენ. დღეს უმაღლეს ლიგაში სერგო გაბელაიას მორიგი დებიუტია.

„გურიას" სოსო ფრუიძის ხელში თამაში არ წაუგია. გოლიც მხოლოდ ერთი და ისიც სტუმრად გაუშვა. ასე რომ, სტუმრებს ძალიან ძნელი ბრძოლის გადატანა მოუწევთ.

### სიონი — მეტალურგი

#### უმაღლეს ლიგაში ერთმანეთს არ შეხვედრიან

„სიონმა" გამარჯვების გემო 8 სექტემბერს ლანჩხუთში დაკარგა და დღეს აპირებს, გაიხსენოს. „მეტალურგმა" ახალი მწვრთნელის თავკაცობით ნელ-ნელა იწყო ქულების გროვება და უკვე აღარ ითვლება ხელწამოსაკრავად, ადვილად დასამარცხებელ გუნდად.

ბოლნისელები „თემურ სტეფანიაზე" კი ელიან სტუმარს, მაგრამ ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც მეტად განიცდიან. ზესტაფონელებმა რომც წააგონ, კლუბის თავკაცები დიდად არც დატუქსავენ მწვრთნელ-ფეხბურთელებს, „სიონს" კი, ალბათ, კარგად შეაფუცხუნებენ, რადგან, მასპინძელთა აზრით, დღეს მოსაგები თამაშია.

ბოლოს იმათზეც ვთქვათ, ვისაც ფეხბურთის ფედერაცია თამაშების მომსახურებას ანდობს. ერთთვიანი შესვენების შემდეგ უმაღლეს ლიგაში იმსაჯებს თბილისელი ლევან ფანიაშვილი. ის 9 სექტემბერს, „ლოკომოტივ" — „დინამოს" ხმაურიანი მატჩის შემდეგ დასაჯეს. ასევე ამნისტირებულია სამსაჯო კომიტეტის თავკაცის მოადგილე ალიკ დურსუნიში, რომელსაც დარღვევები „ლოკომოტივ" — „დინამოზევე" დაუფიქსირეს. დღეს ფანიაშვილი ლანჩხუთშია, დურსუნიში — ფოთში.

დავით სანაია კი საწოლშია და ოფლს იღებს. გრიპშეყრილი არბიტრი ფედერაციამ სასწრაფოდ მეშკოვით შეცვალა.

**მამუკა ძმანტალიანი**


ბადრი კოთოლაშვილის ფოტო
„დინამომ" და „კოლხეთმა" ბოლოს თბილისში ითამაშეს

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 9 | 8 | 1 | 0 | 22:2 | 20 | 25 | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | 10 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 10 | 12 |
| 2 ლოკომოტივი | 9 | 7 | 0 | 2 | 20:6 | 14 | 21 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:2 | 9 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 5 | 9 |
| 3 მერანი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:11 | 4 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:10 | -5 | 7 |
| 4 ბათუმი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:5 | 7 | 17 | 5 | 5 | 0 | 0 | 11:2 | 9 | 15 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:3 | -2 | 2 |
| 5 კოლხეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 18:14 | 4 | 14 | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 11 | 13 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:10 | -7 | 1 |
| 6 დინამო | 9 | 4 | 1 | 4 | 18:10 | 8 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 6 |
| 7 ვიტ ჯორჯია | 9 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 1 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 8:9 | -1 | 4 |
| 8 სიონი | 9 | 2 | 2 | 5 | 5:17 | -12 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:9 | -4 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:8 | -8 | 1 |
| 9 სამგურალი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:18 | -11 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:15 | -14 | 0 |
| 10 გურია | 9 | 1 | 4 | 4 | 5:10 | -5 | 7 | 5 | 0 | 3 | 2 | 1:4 | -3 | 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 11 გორდა | 9 | 1 | 2 | 6 | 7:20 | -13 | 5 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:12 | -8 | 3 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | -5 | 2 |
| 12 მეტალურგი | 9 | 0 | 3 | 6 | 3:20 | -17 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:7 | -7 | 1 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:13 | -10 | 2 |

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ევროპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I ჯგუფი



ვლადიმირ ბესჩასტნიხმა პირველი სანაკრებო ჰეთ თრიქი მიითვალა

# ნუ ეხუმრებით ნასტიას...

**რუსეთი 4:0 შვეიცარია**

1:0, 2:0, 3:0 ბესჩასტნიხი (5პ, 18, 38), 4:0 ტიტოვი (83)

რუსეთი: ნიგმატულინი, სმერტინი (ხოხლოვი 88), დრონზდოვი (დაევი 25), ჩუგაინოვი, ალენიჩევი, კარპინი, ონოპკო, გუსევი (სემაკი 74), ტიტოვი, იზმაილოვი, ბესჩასტნიხი

შვეიცარია: შტილი, ზელვეგერი, კვენტინი, მ. იაკინი (ცვისიგი 46), მიულერი, მაცარელი, სფორცა, კომიზეტი (ლონფატი 79), ჰ. იაკინი, სფორცა, დი ჯორიო (მ. ლომბარდო 46)

მსაჯი: კნუდ-ერიკ ფისკერი (დანია)

20 000 მაყურებელი

**„ძალიან** მიხარია, რომ საკუთარი მაყურებლის თვალწინ, ასეთ მნიშვნელოვან მატჩში სამი გოლი გავიტანე. თუმცა საკუთარ თავს არ გამოვარჩევდი, გუნდმა ითამაშა ჩინებულად, ლამაზად გავიმარჯვეთ და დავამტკიცეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ღირსნი ვართ" — თქვა თამაშის შემდეგ ვლადიმირ ბესჩასტნიხმა, ვინც შვეიცარიასთან თავისი პირველი სანაკრებო ჰეთ თრიქი შეასრულა.

რუსებმა მართლაც ერთი თავით აჯობეს შვეიცარიელებს, მიუხედავად იმისა, რომ ფიფას მიერ დისკვალიფიცირებული ორი სელტელი, კარპინი და მოსტოვოი არ ჰყავდათ. ამ ორის ამოცანას სმერტინმა და გუსევმა კარგად გაართვეს თავი. საუკეთესოები კი მასპინძელთა შორის ჭაბუკი იზმაილოვი და ბესჩასტნიხი იყვნენ.

დასაწყისშივე შვეიცარიელებს სახიფათო შეტევა გამოუვიდათ და სესას ცხრიანში დამიზნებული ნიგმატულინმა ძლივს მოიგერია. მერე რუსების ჯერი დადგა. იზმაილოვის შორიდან დარტყმული მეკარე შტილის ხელს, მერე კი ხარიხას მოხვდა. რამდენიმე წუთში იმავე იზმაილოვმა დიდებული პასით გუსევს საჯარიმოსკენ გზა გაუხსნა. მოსკოვის დინამოელი კომიზეტიმ წესის დარღვევით შეაჩერა და პენალტი ზუსტად დაარტყა ბესჩასტნიხმა. მალევე იზმაილოვის გამოზომილ ჩაწოდებას ბესჩასტნიხის თავური და მეორე გოლი მოჰყვა. ტაიმის მიწურულს ბესჩასტნიხმა რთული მდგომარეობიდან მესამე შეაგდო. რთული იმიტომ ვამბობთ, რომ დარტყმისას მეტოქე კომიზეტიმ რუსს ბეჭებზე ორივე ხელით დაქაჩა.

წერტილი კი საჯარიმო დარტყმით ტიტოვმა დასვა. მასპინძელთა უსაზღვრო სიხარული, აბა, ვის გაუკვირდება, მათ ხომ კორეა-იაპონიის საგზური მოიპოვეს. აი, მწვრთნელ ოლეგ რომანცევს კი პრაგმატიზმი არ დაუკარგავს: „სატურნირო ვითარება შეღეგისთვის მოქმედებას გვკარნახობდა და ამიტომ საუკეთესო თამაში დღეს ვერ ვაჩვენეთ — თქვა რომანცევმა — ბესჩასტნიხმა კი გააკეთა ის, რაც ევალება და რისთვისაც ფულს იღებს."

**სლოვენია 3:0 ფარერები**

1:0, 2:0 ჩეჰი (13, 31), 3:0 ტიგანი (82)

სლოვენია: სიმეუნოვიჩი, მილინოვიჩი, გალიჩი, ქნავსი, ნოვაკი, ოსტერცი (ტიგანი 67), ნ. ჩეჰი (ბულაიჩი 85), რაკოვიჩი (ტავკარი 53), რუდონია, ჯანზერი, პავლოვიჩი

ფარერები: მიკელსენი, იოჰანესენი, იენს ჰანსენი, იოჰან ჰანსენი (დანიელსენი 80), ჰ. ჰანსენი, ო. ჰანსენი (ოლსენი 73), რ. იაკობსენი, მორკორე, ე ბორგი, პეტერსენი, კ იაკობსენი

მსაჯი: გეორგიოს კასნაფერისი (საბერძნეთი)

10 000 მაყურებელი

**სლოვენიამ** ლამის მეორე შემადგენლობით მოუგო კუნძულელებს. კაპიტანეცს არ ჰყავდა დასჯილი პავლინი, კარიჩი, ალეშ ჩეჰი, აჩიმოვიჩი და მთავარი ვარსკვლავი ზაჰოვიჩი. სამაგიეროდ, ცეცხლი ახალწვეულებმა დაანთეს. განსაკუთრებით ზაჰოვიჩის შემცვლელი ნასტია ჩეჰი ცდილობდა. ბელგიურ „ბრიუგეში" მოთამაშე უცნაური სახელის ჭაბუკმა ორი თავად გაიტანა და პარტნიორებიც არა ერთხელ მოახვედრა საგოლე სიტუაციებში.

მეორე ტაიმში მასპინძლები დაოკდნენ, რადგან პარალელურად მიმდინარე მოსკოვური თამაშის ანგარიში იცოდნენ. მესამე გოლი კი კიდევ ერთმა ახალწვეულმა, ტიგანიმ გაიტანა. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელის თითქმის მოგვარე მინდორზე ბოლოსკენ შეუშვეს და თავიდან ყველას ფეხებში ებლანდებოდა, მაგრამ დამთავრებამდე რვა წუთით ადრე სტუმარი მცველების შეცდომით ისარგებლა, მეკარე მიკელსენთან პირისპირ გავიდა და ცარიელ კარში შეაგდო.

ახლა, პლეი ოფში, სლოვენია ჩვენს თანაჯგუფელ რუმინეთს შეხვდება.

**იუგოსლავია 6:2 ლუქსემბურგი**

1:0 იოკანოვიჩი (19), 1:1 პეტერსი (38), 1:2 მარსელი (52), 2:2 მიატოვიჩი (58), 3:2 კეჟმანი (61), 4:2, 5:2 მილოშევიჩი (62, 68), 6:2 კეჟმანი (71)

იუგოსლავია: სტევანოვიჩი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი (ილიჩი 56), იოკანოვიჩი, კრსტაიჩი, ჰ. ჯორჯევიჩი, მიატოვიჩი, მილოშევიჩი, კეჟმანი (ი. ტომიჩი 73), დ. სტანკოვიჩი, ლაზეტიჩი (დრულოვიჩი 44)

ლუქსემბურგი: ჟოლე, ფერანი, შულსი, ფ. დევილი, შტრასერი, საიბენე, პეტერსი, ჰოსინგი, მარსელი, გარდენი (მ. დევილი 15), შნაიდერი (ტაისი 75)

მსაჯი: ლესლი ირვინი (ჩრდ. ირლანდია)

20 000 მაყურებელი

**„ჩვენი** ბედი სხვის ხელში იყო. ეჭვი არ გვეპარებოდა, სლოვენია არ წაიფორხილებდა და ასეც მოხდა. თუმცა საწყენია, რომ იუგოსლავიის დონის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩა. რა გაეწყობა, სხვა თუ არაფერი, შესარჩევი ციკლი ამაღლებული განწყობით დავამთავრეთ" — მასპინძელთა მწვრთნელ დეიან სავიჩევიჩის ეს სიტყვები მოწმობს, რომ ლუქსემბურგთან მატჩის შესახებ მეტის თქმა უხერხულიც იქნებოდა.

**სოლომონ გულისაშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 18:5 | 23 |
| სლოვენია | 10 | 5 | 5 | 0 | 17:9 | 20 |
| იუგოსლავია | 10 | 5 | 4 | 1 | 22:8 | 19 |
| შვეიცარია | 10 | 4 | 2 | 4 | 18:12 | 14 |
| ფარერები | 10 | 2 | 1 | 7 | 6:23 | 7 |
| ლუქსემბურგი | 10 | 0 | 0 | 10 | 4:28 | 0 |

## II ჯგუფი

# ჯერ ეზიარე აზიას

**პორტუგალია 5:0 ესტონეთი**

1:0 ჟოაუ პინტუ (29), 2:0 ნუნუ გომეში (49), 3:0 პაულეტა (58), 4:0 ნუნუ გომეში (64), 5:0 ფიგუ (79)

პორტუგალია: რიკარდუ, ფრეშაუ (ნუნუ გომეში 39), ფერნანდუ კოუტუ, ჟორჟე კოშტა, რუი ჟორჟე, პეტი, ნუნუ კაპუშუ (პაულუ სოუზა 66), ფიგუ, რუი კოშტა, ჟოაუ პინტუ (სიმაო 46), პაულეტა

ესტონეთი: კაალმა, სავიაუკი (ალასი 55), სტეპანოვი, პიიროია, როობა, რეიმი, ჰაავისტუ (ალონენი 68), ნოვიკოვი (ანისტე 68), ზელინსკი, კრისტალი, ოპერი

მსაჯი: ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)

80 000 მაყურებელი

**შეიძლება** ითქვას, რომ „ხუთიანზე" გატანილი ხუთი გოლით პორტუგალიელებმა ღირსეულად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები. მათ ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობეს ირლანდიელებს, პირველი ადგილი და მომავალ ზაფხულს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება გაინაღდეს, ამასთანავე, ესტონეთთან მატჩშიც გულშემატკივრებს კიდევ ერთი დაუვიწყარი საღამო აჩუქეს.

პორტუგალიელთა გამარჯვებაში ეჭვი არავის შეჰპარვია, პირველი გოლი საკმაოდ გვიან გავიდა, რასაც ხუთიოდ წუთში ნუნუ გომეშმა მეორეც მიაყოლა. ბრწყინვალედ გაისარჯა ლუიშ ფიგუ, რომლის გამოზომილი პასითაც გომეშმა მეოთხეც გაიტანა. ესტონელთა საცოდაობას კი თავად ფიგუმ დაუსვა წერტილი მატჩის დასრულებამდე 11 წუთით ადრე.

**ირლანდია 4:0 კვიპროსი**

1:0 ჰარტი (3), 2:0 ქუინი (11), 3:0 კონოლი (63), 4:0 კინი (67)

ირლანდია: გივენი, ფინანი, ჰარტი, ბრინი, სტონტონი, როი კინი, კენედი (კარსლი 64), ჰოლანდი, ნ. ქუინი (მორისონი 68), კონოლი, კილბეინი (მაკფეილი 85)

კვიპროსი: პანაიოტუ, კონაფისი, კოცონისი, დასკალკისი, ნიკოლაუ, მელანარკიტისი, თეოდოტუ, საციასი, ოკასი (თემისტოკლეუსი 85), ხრისტოდულუ, ილიაოიმი (კონსტანტინუ 88)

მსაჯი: ხუან ანსუატეგი როჩა (ესპანეთი)

35 000 მაყურებელი

**ირლანდიამ** თავის ისტორიაში პირველად შეძლო შესარჩევი ეტაპის დაუმარცხებლად ჩამთავრება. თუმცა ამან მაინც არ იკმარა იმისთვის, რომ როი კინი თანაგუნდელებთან ერთად მსოფლიოს მთავარ საფეხბურთო ფორუმზე პირდაპირ მოხვედრილიყო.



ლუიშ ფიგუ: წინ კორეა-იაპონიაა!

კვიპროსელების რბევა მესამე წუთზევე დაიწყო. პირველი გოლის ავტორი ლიდსელი იან ჰარტი გახდა. ნახევარი საათის შემდეგ ნაილ ქუინმაც გაიტანა თავისი. ეს იყო მისი 21-ე გოლი, რითაც იგი ირლანდიის ნაკრების საუკეთესო მეგოლე გახდა. თანაც შაბათს მისი დაბადების დღეც იყო, ქუინი 35 წლისა მოიყარა.

მეორე ტაიმში კვიპროსელებმა წაიფაფხურეს, მაგრამ ჯერ დევიდ კონოლიმ, შემდეგ კი როი კინმა ანგარიში ოთხამდე გაზარდეს და ბრწყინვალედ დაწყებული საქმე ასევე დაასრულეს.

ირლანდიელთა მომავალი მეტოქე ჯერჯერობით უცნობია. ისე კი, თუ კორეა-იაპონიაში მოხვედრა სურთ, გზად ერთი აზიური ქვეყანა უნდა ჩამოიცილონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ჰოლანდია 4:0 ანდორა**

1:0 ვან ჰოიდონკი (43), 2:0 ზეედორფი (45), 3:0, 4:0 ვან ნისტელროი (54, 90)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, ლანძაატი, მელხიოტი (ნუმანი 72), ჰოფლანდი, ვან ბრონკჰორსტი, ზეედორფი, ვ. სიკორა (ვან დერ ვაარტი 67), დავიდსი, ზენდენი, ვან ჰოიდონკი, ვან ნისტელროი

ანდორა: ალვარესი, ესკურა, ჩემა, ხონასი, ლიმა, ფერნანდესი, გონსალესი (ხილი 90), სონეიე, ხიმენესი, ფერონი (ბენეტი 90), რუისი

მსაჯი: ორჰან ერდემირი (თურქეთი)

20 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 10 | 7 | 3 | 0 | 33:7 | 24 |
| ირლანდია | 10 | 7 | 3 | 0 | 23:5 | 24 |
| ჰოლანდია | 10 | 6 | 2 | 2 | 30:9 | 20 |
| ესტონეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:26 | 8 |
| კვიპროსი | 10 | 2 | 2 | 6 | 13:31 | 8 |
| ანდორა | 10 | 0 | 0 | 10 | 5:36 | 0 |

## III ჯგუფი

# ჩეხეთი—ბულგარეთი

**ჩეხეთი 6:0 ბულგარეთი**

1:0 ლოკვენცი (5), 2:0 ნედვედი (16), 3:0 ბაროში (28), 4:0 ლოკვენცი (67), 5:0 როსიცკი (70), 6:0 ნედვედი (67)

ჩეხეთი: სრნიჩეკი, ირჟი ნოვოტნი, გრიგერა, რეპკა, ნედვედი, იანკულოვსკი, ტისი (მაშეკი 26), პობორსკი (ბარანეკი 78), როსიცკი, ლოკვენცი (ჰეიცერი 68), ბაროში

ბულგარეთი: ზდრავკოვი, ბ. ივანოვი, პაჟინი, მარკოვი, იელევი, მილენ პეტკოვი (პეევი 72), სტილიან პეტროვი, იანჩევი (ბერბატოვი 27), ბალაკოვი, გ. ივანოვი (მანჩევი 65), მ. პეტროვი

მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)

17 000 მაყურებელი

**შეხვედრის** წინ ბულგარელთა მწვრთნელი და კაპიტანი იმუქრებოდნენ, ჩეხებს მოვუგებთო, მაგრამ რაც გამოუვიდათ, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. სტუმართა შერცხვენას კი ვრატისლავ ლოკვენცმა მეხუთე წუთიდანვე ჩაუყარა საფუძველი. 11 წუთის შემდეგ იუვენტუსელმა პაველ ნედვედმა გააორმაგა, მან ჩინებული საჯარიმო დაარტყა. სულ ჩეხებმა ექვსი გაიტანეს, აქედან ორ-ორი — ლოკვენცმა და ნედვედმა, ხოლო როსიცკიმ და ბაროშმა — თითო-თითო. აქვე ვთქვათ, რომ ბულგარელებმა ბოლოს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაისხეს თავსლაფი, როცა ესპანელებთან 1:6 წააგეს.

„თავიდანვე სამი თავდამსხმელით დავიწყეთ თამაში. ეს ყველაზე დიდი შეცდომა იყო — აღიარა წაგებულთა მწვრთნელმა სტოიჩო მლადენოვმა — მაგრამ ცხოვრება გრძელდება და მე კვლავაც მჯერა ბულგარეთის ნაკრების. ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს".

საბოლოოდ ჩეხეთის ეროვნული გუნდი ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა, რაკი დანიის ნაკრებმა ისლანდია იმავე ანგარიშით გაანადგურა. ახლა საგზურის მოსაპოვებლად ორმატჩიან დუელში ჩეხებს ბელგიელებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

**ნიკა შუბლაძე**

**დანია 6:0 ისლანდია**

1:0 რომედალი (12), 2:0 სანდი (14), 3:0, 4:0 გრავესენი (30, 35), 5:0 სანდი (67), 6:0 მიკაელსენი (90)

დანია: სორენსენი, ტოფტინგი, ჰენრიკსენი, ლაურსენი, ჰაინცე, ჰელვეგი, გრავესენი, რომედალი (მიკაელსენი 55), ტომასონი (მადს იორგენსენი 80), მარტინ იორგენსენი, სანდი (მადსენი 68)

ისლანდია: არასონი, სიგურდსონი (ვიდარსონი 69), გუნარსონი, გრეტარსონი, მარტეინსონი, კრისტინსონი, ჰრეიდარსონი, სვერისონი, გუდიონსენი, გუდიონსონი, ბალდვინსონი (სიგტორსონი 74)

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

42 000 მაყურებელი

**მალტა 0:1 ჩრდ. ირლანდია**

0:1 ჰილი (57პ)

მალტა: მუსკატი, ტეუმა (მალია 65), ჩეტკუტი, სპიტერი, დებონო, საიდი, აგიუსი, კარაბოტი, მიფსუდი, ნვოკო, ზაჰრა (სუდა 80)

ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, გრიფინი, კენედი, მაკკარტნი, მერდოკი, მეჯილტონი, ჯ. ჯონსონი, ჰორლოკი, ჰილი (ჯ. ქუინი 81), მ. ჰიუზი, ს. ელიოტი (მაკკენი 81)

მსაჯი: მანფრედ შუტენგრუბერი (ავსტრია)

10 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 10 | 6 | 4 | 0 | 22:6 | 22 |
| ჩეხეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 20:8 | 20 |
| ბულგარეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:15 | 17 |
| ისლანდია | 10 | 4 | 1 | 5 | 14:20 | 13 |
| ჩრდ. ირლანდია | 10 | 3 | 2 | 5 | 11:12 | 11 |
| მალტა | 10 | 0 | 1 | 9 | 4:24 | 1 |



პაველ ნედვედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ევროპა

### IV ჯგუფი

# ჩვენ კამიკაძეები არ ვართ

**მოლდოვა 0:3 თურქეთი**

0:1 ემრე ასიქი (8), 0:2 ნიჰათი (79), 0:3 ილჰანი (83)
მოლდოვა: რომანენკო, ოლექსიჩი, ანდრონიჩი, ს. ივანოვი, ჩებოტარი, კატინსუსი, ებურიანუ, შიშკინი (კოვალჩუკი 72), მიტერევი (ბოგრუბანი 77), გაიდამაშჩუკი, ბერკო
თურქეთი: რუშთუ, ემრე ასიქი, უმით ოზატი, მეჰმეთი, ჰაქან უნსალი, არიფი (ილჰანი 76), ოკანი, თუგაი, უმით კარანი (ბაშთურქი 68), ჰასან შაში (ერგუნი 83), ნიჰათი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
6 000 მაყურებელი

**თურქებს** არაფერს შემატებდა კიდევ ზედმეტი სამი ქულა, მაგრამ ამ გუნდს წინ პლეი ოფის მატჩი ელოდება და ამიტომ შენოლ გიუნეშმა თავის შეგირდებს მოდუნების საშუალება არ მისცა. თურქებიც პროფესიულად მიუდგნენ საქმეს და უკვე მერვე წუთზე ნაკრებში დაბრუნებულმა ემრემ ანგარიში გახსნა.

მასპინძლებს იქვე შეეძლოთ გათანაბრება. მათდა სამწუხაროდ, ოლეგ შიშკინის მიერ შესრულებული საჯარიმოს შემდეგ ბურთი ჯერ სტუმართა მცველს მოხვდა, მერე კი ძელს.

პირველ ტაიმში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. მოლდოველებს გოლის გატანის კიდევ ერთი შანსი მიეცათ, რომელიც სტანისლავ ივანოვმა ვერ გამოიყენა. მისი თავური მეტოქის კარის ხარიხას სანტიმეტრებში ასცდა.

მეორე ტაიმში დასაწყისშივე მასპინძლებს ბრწყინვალე შანსი მიეცათ, თუმცა აქ უკვე თურქთა მეკარე რუშთუმ ივაჟკაცა. ჯერ მიტერევს აუღო, მერე კი გაიდამაშჩუკის დამატებულსაც მიუსწრო.

უკანმოუხედავად შეტევაში გართული მოლდოველები შეხვედრის მიწურულს დაიღალნენ. თურქებმა ამით ისარგებლეს და მასპინძლები კონტრშეტევაზე დაიჭირეს. ცენტრალურ მცველთა შეცდომა ნიჰათმა გამოიყენა, რითაც ანგარიში ორამდე გაზარდა, 83-ზე კი ნაკრების ბეშიქთაშელმა ახალწვეულმა ილჰანმა დებიუტი მესამე გოლით აღნიშნა.

ამჟამად თურქებს ერთადერთი პრობლემა აწუხებთ. ვინ იქნება მათი მეტოქე პლეი ოფში. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰალუქ ულუსოიმ თავი წინასწარ დაიზღვია. „თუ მეტოქედ ისრაელი გვერგო, ავსტრიელებივით მოვიქცევით და თელ ავივში ჩასვლაზე უარს ვიტყვით. ჩვენს უფლებებს ბოლომდე გამოვიყენებთ, რადგან ჩვენ კამიკაძეები არ ვართ და სიცოცხლე რაღაცად გვიღირს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

**მაკედონია 0:5 სლოვაკეთი**

0:1 რეიტერი (27), 0:2 ჟურიკი (57), 0:3 პ. ნემეტი (72), 0:4 პინტე (81), 0:5 ორავეცი (90)
მაკედონია: გრუევსკი, სტავრევსკი, სტოიანოვი (კაპინკოვსკი 66), სედლოსკი, მიტრესკი, იოვანოვსკი (ბექირი 64), ლაზარევსკი, ტრაიანოვი, მაზნოვი, შაკირი (იგნატოვი 64), ნაჩევსკი
სლოვაკეთი: ბუჩეკი, კარჰანი, კოცაკი, პორშიაკი, ვარგა, პ. ნემეტი, ჟურიკი (სოლტისი 84), რეიტერი (იანოჩკო 75), გრეშკო, შ. ნემეტი (ორავეცი 66), პინტე
მსაჯი: მაიკლ რილი (ინგლისი)
5 000 მაყურებელი

**შვედეთი 3:0 აზერბაიჯანი**

1:0 ა. სვენსონი (52), 2:0 ლარსონი (61), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (69)
შვედეთი: ჰედმანი, საარენპაა, პ. ანდერსონი (მ. სვენსონი 35), მიალბი, კ. ანდერსონი, ლინდეროტი, ალექსანდერსონი, დ. ანდერსონი (ა. სვენსონი 46), ლიუნგბერგი, ოლბოკი (იბრაჰიმოვიჩი 66), ლარსონი
აზერბაიჯანი: ჰასანზადე, იადულაევი, სადიხოვი, მამედოვი, ახადოვი, ე. გულიევი (გეტმანი 76), ახმედოვი, ტაგიზადე, მ. ყურბანოვი, გ. ყურბანოვი, ჰუსეინოვი (ალიევი 75)
მსაჯი: რიხარდ ვონიჩკი (პოლონეთი)
34 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 20:3 | 26 |
| თურქეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 18:8 | 21 |
| სლოვაკეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:9 | 17 |
| მაკედონია | 10 | 1 | 4 | 5 | 11:18 | 7 |
| მოლდოვა | 10 | 1 | 3 | 6 | 6:20 | 6 |
| აზერბაიჯანი | 10 | 1 | 2 | 7 | 4:17 | 5 |



შვედეთი — აზერბაიჯანი. სტუმრებს შეცვლაზე შესულმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმაც (ბურთით) გაუტანა

### V ჯგუფი

# განხეთქილების დუდუკი



პოლონეთი — უკრაინა. არკადიუშ ბაკი (№10) და ანდრეი შევჩენკო

**პოლონეთი 1:1 უკრაინა**

1:0 ოლისადებე (40), 1:1 შევჩენკო (81)
პოლონეთი: დუდეკი, კლოსი, კარვანი, მიხალ ჟევლაკოვი, ვალდოხი, ჰაიტო, სვიერჩევსკი (ი. ბაკი 77), კოზმინსკი (კრჟინოვეკი 65), მარჩინ ჟევლაკოვი (კრიშალოვიჩი 46), ა. ბაკი, ოლისადებე
უკრაინა: რევა, ლუჟნი, ნესმაჩნი (ზადოროჟნი 84), გოლოვკო, ვაშჩუკი (ფიოდოროვი 79), ტიმოშჩუკი, პოპოვი, ზუბოვი, მელაშჩენკო (მიშჩენკო 46), შევჩენკო, ვორობეი
მსაჯი: პიუ დალასი (შოტლანდია)
33 000 მაყურებელი

**ვინ დადგება** უკრაინელთა კარში? მატჩამდე ეს კითხვა ყველაზე ხშირად გაისმოდა პლეი ოფისთვის მებრძოლთა ბანაკში. საბოლოოდ, ვალერი ლობანოვსკიმ კიევის „დინამოში“ ფილიმონოვის შემცვლელი ვიტალი რევა ირჩია და არც შემცდარა — გაშვებულ გოლში ამ ახალგაზრდას ბრალი ნამდვილად არ მიუძღვის.

მაგრამ გამოიცნო ვალერი ვასილიჩის პოლონელმა კოლეგამაც. უფრო სწორედ, ეჟი ენგელმა დაიჟინა და „ლივერპულის“ გოლკიპერი დუდეკი მასპინძელთათვის ფორმალურ მატჩზე მაინც გამოიძახა, რითაც მერსისაიდელთა თავკაცი ჟერარ ულიე გადაიმტერა: ფრანგი ეხვეწებოდა, ჩემპიონატზე გასულები ხართ და ეგებ ჩემი მეკარე დაასვენოთო, მაგრამ ენგელმა ყური არ ათხოვა. შედეგად, ულიე გაბრაზდა და განაცხადა, აწი მიყურონ, სულ ფიფას რეგლამენტით რომ ვიმოქმედებ და დუდეკს ფინალურ ეტაპამდე ზუსტად ორი კვირით ადრე გავუშვებ და არც ერთი დღით ადრეო.

თუმცა იაპონია-კორეამდე ჯერ დიდი დროა, გასულ შაბათს კი დუდეკმა უკრაინელებს გაუმწარა სისხლი. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს და არა სტუმრებმა — გაპოლონელებული ნიგერიელი ოლისადებეს გოლამდე „ლივერპულის“ კარის დარაჯმა ვორობეის, მელაშჩენკოს, ზუბოვისა და შევჩენკოს სახიფათო დარტყმები მოიგერია.

„სამწუხაროდ, თავისი საუკეთესო თამაში ვერ გვიჩვენა შევჩენკომ“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ლობანოვსკის თანაშემწე ლეონიდ ბურიაკმა, რომელიც ჟურნალისტებთან მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა კარდიფის შეხვედრის შედეგი გაიგო. დიახ, „მილანის“ სუპერფორვარდი მართლაც ვერ იყო ჩვეულ იშტაზე, თუმცა საფინალო სასტვენამდე 9 წუთით ადრე ნესმაჩნის პასი მაინც გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა. ბელარუსების მოგების შემთხვევაში ანდრეის ეს გოლი უკრაინელებს ველარ უშველიდა, მაგრამ უელსში ყველაფერი შევჩენკოსა და კომპანიისთვის სასიკეთოდ დამთავრდა.

**უელსი 1:0 ბელარუსი**

1:0 ჰართსონი (47)
უელსი: პ. ჯონსი, მ. დილანი, საიმონსი (პეიჯი 17), მელვილი, პემბრიჯი, ჯ. რობინსონი, მ. ჯონსი (კ. რობინსონი 65), ბელამი, ს. დევისი, სპიდი, ჰართსონი (რობერტსი 80)
ბელარუსი: ტუმილოვიჩი, იახიმოვიჩი, ისკოვიჩი, ლუხვიჩი, შტანიუკი, გურენკო, ბარანოვი (გლები 67), კულჩი, შუნეიკო, ვასილიუკი (რინდიუკი 44), კაჩურო
მსაჯი: პასკუალე როდომონტი (იტალია)
10 000 მაყურებელი

**თეთრმა რუსებმა** ისტორიული შანსი ვერ გამოიყენეს და პოლონელთა კაცურ საქციელს თავისი უსუსური თამაში შეაგებეს. ოდენ მეათედზე შევსებულ „მილენიუმზე“ უელსელები მთელი თამაში უტევდნენ და რომ არა ბელარუსთა მეკარის ტუმილოვიჩის თავგანწირვა, დიდი ანგარიშითაც მოიგებდნენ: მარტო პირველ ტაიმში სტუმართა გოლკიპერმა ჰართსონის, ბელამის, დევისისა და სპიდის ხუთი მომენტი გააუვნებელყო.

შესვენებაზე ედუარდ მალოფეევის ბანაკმა შეიტყო, რომ უკრაინელები აგებდნენ და იმედიც მიეცათ, მაგრამ თამაშის განახლებიდან წუთნახევარში სელტიკელმა ჯონ ჰართსონმა ბოლოსდაბოლოს აჯობა ტუმილოვიჩს, როცა დევისის ჩაწოდებულს თავი ზუსტად შეაგება. მხოლოდ ამის მერე გააქტიურდნენ სტუმრები, მაგრამ „შტუტგარტის“ ჭაბუკი ჰავბეკის გლების მოედანზე შესვლა ნამეტანი გვიანი აღმოჩნდა — მისი პასებით რინდიუკმა და გურენკომ ვერ ისარგებლეს და მატჩიც დამთავრდა.

ეს უელსელთა ერთადერთი გამარჯვება გამოდგა ამ შესარჩევ ეტაპზე, ბელარუსებმა კი ციკლი ისე ჩაამთავრეს, სტუმრად მოგება არ ღირსებიათ.

**სომხეთი 1:4 ნორვეგია**

0:1 ბორგერსენი (50), 0:2 კარეუ (70), 1:2 აკოფიანი (71), 1:3 ბორგერსენი (80), 1:4 კარეუ (89)
სომხეთი: ბერეზოვსკი, ა. დოხოიანი, ხოჯოიანი (ართავაზ ქარამიანი 63), ოვსეპიანი, ვარდანიანი, ხაჩატრიანი, პეტროსიანი, ვოსკანიანი (აკოფიანი 59), სარქისიანი, კ. დოხოიანი (მინასიანი 74), არმან ქარამიანი
ნორვეგია: მირე, ბერგდოლმო, ბასმა, რ. იონსენი (ბორგერსენი 46), რიისე, სტრანდი, ბაკე, რუდი, კარეუ, სორენსენი (რისეტი 83), ფ. იონსენი (ფლო 90)
მსაჯი: ანდრეას შლუხტერი (შვეიცარია)
10 000 მაყურებელი

**ნორვეგიელთა** მეორე მოგზაურობა ამიერკავკასიაში პირველის ანალოგიური გამოდგა: ისევე როგორც ევრო 2000-ის შესარჩევ ეტაპზე თბილისში, ნორვეგიელებმა მეზობელ ერევანშიც 4:1 იმარჯვეს და ბოლო ადგილზე გასვლით თავი არ შეირცხვინეს. მასპინძლებს განსაკუთრებით 195 სანტიმეტრიანი კარეუს შეკავება გაუჭირდათ, თუმც კი ვალენსიელს შვეიცარიული „იანგ ბოისის“ მცველი არუთუნ ვარდანიანი პერსონალურად მიამაგრეს.

მოკლედ, ნორვეგიელებმა კარი გაიჯახუნეს, სომხეთის ნაკრები კი, მოგებათა გრაფაში დიდი ნულით, მალტის, ლუქსემბურგის, ანდორის, ლიტვის, სანმარინოსა და ლიხტენშტაინის არცთუ სასიამოვნო „კოალიციაში“ აღმოჩნდა.

**გიგა ძოგახიძე**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 21:11 | 21 |
| უკრაინა | 10 | 4 | 5 | 1 | 13:8 | 17 |
| ბელარუსი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:11 | 15 |
| ნორვეგია | 10 | 2 | 4 | 4 | 12:14 | 10 |
| უელსი | 10 | 1 | 6 | 3 | 10:12 | 9 |
| სომხეთი | 10 | 0 | 5 | 5 | 7:19 | 5 |



უელსი — ბელარუსი. ალექსანდრ კულჩი (№8) და უელსელთა მეგოლე ჯონ ჰართსონი

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ევროპა

## VI ჯგუფი

# ხორვატიონნი

### ხორვატია 1:0 ბელგია

1:0 ბოკშიჩი (75)
პროსინეჩკიმ ვერ გაიტანა პენალტი (36, ხარიბა)
ხორვატია: პლეტიკოშა, შიმიჩი, ტუდორი, რ. კოვაჩი, ტომაში, სოლდო (რაპაიჩი 72), იარნი, პროსინეჩკი (ვრანიეში 79), ვლაოვიჩი (ბალაბანი 63), თივკოვიჩი, ბოკშიჩი
ბელგია: დე ფლიგერი, დეფლანდრე (პეეტერსი 83), ვან მეირი, დე ბუკი, ვან კერკჰოვენი, ვერჰეიენი, ვანდერეიგე, გოორი, ვილმოტსი (სონკე 71), ბასეჯიო, ე. მპენზა
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
35 000 მაყურებელი

**ხორვატებმა** ზედიზედ მეორედ შეძლეს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება. თუ პირველად მათ ეს პლეი ოფში, უკრაინასთან გამარჯვების შედეგად მოახერხეს, ამჯერად ჯგუფში უშუალო კონკურენტ ბელგიელებს ზაგრებში სძლიეს და თითქმის განალდებული საგზური ჯიბიდან ამოაცალეს. საინტერესოა, რომ ბელგიელები ჯგუფის ლიდერები იყვნენ და ფრეც კი ხელს აძლევდათ. მაგრამ ხორვატები, ყველამ მშვენივრად იცის, უბრძოლველად არაფერს თმობენ, თანაც შინაურ კედლებში. ჰოდა, შაბათს მინდორზე მოსაგებად გასულმა მასპინძლებმა დაძაბულ შეხვედრაში უაღრესად საჭირო სამი ქულა მოიპოვეს.

მატჩის დასაწყისშივე გორან ვლაოვიჩს ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, თუმცა სტუმართა მეკარე დე ფლიგერს ვერ გასცდა. ოციოდ წუთში იმავე ვლაოვიჩის წაქცევის გამო ბელგიელთა კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, მაგრამ ინგლისური „პორტსმუთის“ ნახევარმცველმა რობერტ პროსინეჩკიმ საკუთარი გულშემატკივრების თმებს ბევრი ჭაღარა შეჰმატა, როცა ბურთი ძელს გაარტყა. პირველი ტაიმის მიწურულს სტუმართა კარში გოლი მაინც გავიდა, მაგრამ გერმანელმა არბიტრმა ბრძანა, ბურთის ხაზი არ გადაუკვეთიაო.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა მილან რაპაიჩმა ხორვატთა შეტევებში მეტი სიმწვავე შეიტანა, თუმცა ბელგიელთათვის საბედისწერო გოლის გატანა, ალენ ბოკშიჩს ეწერა. პროსინეჩკის წამოწყებული იერიში ბალაბანმა გააგრძელა და ბოკშიჩმა ზუსტი დარტყმით დაასრულა.

მასპინძელთა მეკარე იმდენად კარგ ხასიათზე იყო, რომ მატჩის შემდეგ განაცხადა, კორეა-იაპონიაში 1998 წლის შედეგის გაუმჯობესებას ვაპირებთო.

**ვაჟა ხუციშვილი**

### შოტლანდია 2:1 ლატვია

0:1 რუბინსი (21), 1:1 ფრიდმანი (43), 2:1 ვეირი (53)
შოტლანდია: სალივანი, დავიდსონი, ვეირი, დეილი, მ. ელიოტი (რაე 71), კამერონი, ნიკოლსონი (თუთი 62), ბარლი, ფრიდმანი, პატჩისონი (სევერინი 77), მაკკანი
ლატვია: კოლინკო, სტეპანოვსი, ასტაფიევსი, ზაკრეშევსკისი, ლაიზანსი, ბლაგონადეჟდინსი, ისაკოვსი, ბლეიდელისი (კოლესნიჩენკო 75), პახარსი, რუბინსი (დობრეცოვსი 82), ვერპაკოვსკისი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
23 000 მაყურებელი

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 8 | 5 | 3 | 0 | 15:2 | 18 |
| ბელგია | 8 | 5 | 2 | 1 | 25:6 | 17 |
| შოტლანდია | 8 | 4 | 3 | 1 | 12:6 | 15 |
| ლატვია | 8 | 1 | 1 | 6 | 5:16 | 4 |
| სან მარინო | 8 | 0 | 1 | 7 | 3:30 | 1 |

## VII ჯგუფი

### ბოსნია 5:0 ლიხტენშტაინი

1:0 კონჯიჩი (34), 2:0 ბალიჩი (45პ), 3:0 საბიჩი (70), 4:0 ბალიჩი (80პ), 5:0 დოდიკი (83)
ბოსნია: პიპლიცა, ბესლია (ჰოტა 72), მუსიჩი, კონჯიჩი, ჰიბიჩი, აკრაპოვიჩი (ბისცევიჩი 71), საბიჩი, სალიჰამიჯიჩი (იკანოვიჩი 58), დოდიკი, მუჰარემოვიჩი, ბალიჩი
ლიხტენშტაინი: ჟელე ოსპელტი, მარტინ შტოკლასა, ჰეფტი, მიხაელ შტოკლასა, გერსტერი, ტელსერი, ბუხელი (ბიენა 76), ტ. ბეკი (ნიგი 46), ბურგმაიერი (მ. ბეკი 71), გიგონი
გაძევება: გერსტერი (45)
მსაჯი: ჯონ მაკდერმოტი (ირლანდია)
7 000 მაყურებელი

#### ისრაელი — ავსტრია გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 21:4 | 20 |
| ავსტრია | 7 | 4 | 2 | 1 | 9:7 | 14 |
| ისრაელი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 11 |
| ბოსნია | 8 | 2 | 2 | 4 | 12:12 | 8 |
| ლიხტენშტაინი | 8 | 0 | 0 | 8 | 0:23 | 0 |

## IX ჯგუფი

# დევიდ აღმაშენებელი
# რას გიშველის გერმანელო, თუ არ გარგა გერმანია!




### ინგლისი 2:2 საბერძნეთი

0:1 ხარისტიასი (36), 1:1 შერინგემი (68), 1:2 ნიკოლაიდისი (70), 2:2 ბექჰემი (90)
ინგლისი: მარტინი, ეშლი კოული (მაკმანამანი 78), კიოუნი, რ. ფერდინანდი, გ. ნევილი, ბარმბი (ენდი კოული 46), ჯერარდი, ბექჰემი, სქოულზი, ჰესკი, ფაულერი (შერინგემი 67)
საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, პაცაცოღლუ, ფისასი, დაბიზასი, ვოკოლოსი, კონსტანტინიდისი, ზაგორაკისი (ბასინასი 57), კასაპისი, ხარისტიასი (ლაკისი 73), კარაგუნისი, ნიკოლაიდისი (მახლასი 86)
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
66 000 მაყურებელი

**„საჯარიმოების** სპეციალისტი არ ვარ და უმეტესად უკმაყოფილო ვარ ხოლმე იმით, თუ როგორ ვასრულებ მათ. მაგრამ როცა ის ჯარიმა დაინიშნა და შერინგემმა მითხრა, მე დავარტყამო, უარი ვუთხარი, ჩემს თავზე ავიღებ-მეთქი“ — ასე გაიხსენა დევიდ ბექჰემმა ის ეპიზოდი, 93-ე წუთზე, როცა მისმა საჯარიმოდან გატანილმა გოლმა ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა. ბექჰემმა ასევე აღნიშნა: „მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი გერმანია — ფინეთის მატჩის შედეგი“.

ის, რაც არ იცოდა ბექჰემმა, სვენ გორან ერიკსონისთვის უკვე ცნობილი იყო. „სანამ საჯარიმო დაინიშნებოდა, რამდენიმე წამით ადრე შემატყობინეს გერმანელების ფრის ამბავი“ — თქვა შვედმა და გოლის მერე გააკეთა ის, რაც მისგან, მგონი, არავის უნახავს — სიხარულისგან ხტუნვა დაიწყო. გადაირია „ოლდ ტრეფორდიც“, ხოლო მეორე დღეს თითქმის ყველა ინგლისურმა გაზეთმა საჭიროდ მიიჩნია, პირველ გვერდზე ბექჰემის ფოტო დაებეჭდა. ფოტოებს, ცხადია, წარწერებიც ჰქონდა, რომლებიც ნაკრების კაპიტანს ხოტბას ასხამდნენ: „კაპიტანი კოლოსი“, „შარავანდედიანი რაინდი“, „ინგლისის ღირსების გადამრჩენი“ და მისთანები. ხოლო სტატიებში ეწერა: „მთელი მატჩი ბექჰემი ლამის მარტოკა ებრძოდა ბერძნებს“, „ინგლისს აშკარად გაუმართლა, მაგრამ როდესაც გუნდში ბექჰემი გყავს, აუცილებლად გაგიმართლებს“, „ბექჰემის ოქროს ფეხმა ინგლისს ღირსება შეუნარჩუნა“, „თავის დროზე ბერძნებმა როდოსის კოლოსი აგეს, რომელიც მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი იყო. ახლა კი ჩვენმა მეშვიდე ნომერმა მსოფლიოს თანამედროვე საოცრება შესთავაზა“, „ბექჰემმა თავისი სიტყვა ფეხით თქვა“, „ერიკსონი იღბალს და ბექჰემს უნდა უმადლოდეს“...

„არსენალის“ თავკაცი არსენ ვენგერი ინგლისელებს ადრევე აფრთხილებდა, საბერძნეთის ნაკრები ხელწამოსაკრავი გუნდი არ გეგონოთო, მაგათ ოტო რეჰაგელი წვრთნის, დიდად გამოცდილი კაციო. ვენგერი მართალი გამოდგა. ბერძნები ვერც იმან შეაშინა, რომ მატჩის წინ მათ სასტუმროში სახანძრო განგაში ატყდა და ფეხბურთელები სასწრაფოდ ქუჩაში გაიყვანეს — მინდორზე ინგლისელები უფრო ნერვიულობდნენ და აკი ანგელოს ხარისტიასისმა პირველი გოლიც გაიტანა.

მასპინძლებმა ნერვიულობას უმატეს და ეგებ ყველაფერი მათთვის საბედისწეროდ დასრულებულიყო, სვენ გორან ერიკსონს ბრძნული გადაწყვეტილება რომ არ მიეღო — მინდორზე „ოლდ ტრეფორდის“ ძველი კერპი ტედი შერინგემი შეუშვა. შერინგემი რომ შევიდა, ბექჰემი საჯარიმოს ჩასაწოდებლად ემზადებოდა, ტოტენჰემელმაც საჯარიმოში თავისი ადგილი დაიკავა და ჩაწოდებულს ბურთზე პირველივე შეხებით ბადეში მიუჩინა ადგილი. შერინგემის შესვლიდან გოლამდე ცამეტი წამი გასულიყო.

ინგლისელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, რაკი ბერძნებს კვლავ დასაწინაურებლად 60 წამიც არ დასჭირვებიათ. დემის ნიკოლაიდისმა მცველთა შეცდომით ისარგებლა.

სულ ბოლოს კი მოხდა ის, რითაც მატჩის მიმოხილვა დავიწყეთ. ოღონდ ისიც აღვნიშნოთ, რომ ბექჰემის გოლი იმავ ტედი შერინგემის წაქცევას მოჰყვა, რომელზეც ბერძენთა მეკარემ თქვა, ჯარიმა არ ყოფილა, შერინგემმა გაათამაშაო.

მოკლედ, ბექჰემმა გაიტანა და ამ


REUTERS

ინგლისი — საბერძნეთი. ინგლისის ბედ-იღბალი დევიდ ბექჰემის ფეხზე ეკიდა

გოლს ფულადი ექვივალენტიც აქვს. კერძოდ: მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლისთვის იქაურმა ფეხბურთის ასოციაციამ თითოეულ მოთამაშეს ორასი ათასი გირვანქა გადაუხადა, ხოლო სვენ გორან ერიკსონს ნახევარი მილიონი ერგო. მაგრამ გვარიანად ჯიბეზე ხელის გაკვრა ასოციაციას არაფერს დააკლებს, პირიქით. იმათ მარკეტინგის დირექტორ პოლ ბარბერს დაუთვლია, რომ ნაკრების კორეა-იაპონიაში თამაშით სასპონსორო და სხვა წყაროებიდან ასოციაცია და კლუბები დაახლოებით 150 მილიონ გირვანქას მოიხვეჭენ. მანვე თქვა, რომ ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება ოთხი მილიონი გირვანქა დაჯდება.

რაც შეეხება მსოფლიოს პირველობას, ინგლისელთა კარს სავარაუდოდ ნაიჯელ მარტინი დაიცავს, რომელმაც ბერძნებთან სამი ურთულესი ბურთი მოიგერია და ერიკსონი ჩააფიქრა — ხომ არ მოსულა დევიდ სიმენის „პენსიანზე“ გაშვების დრო.

### გერმანია 0:0 ფინეთი

გერმანია: კანი, რემერი, ვიორნსი, იენს ნოვოტნი, ციგე, რამელოვი, ბალაკი, ბიოდე (ასამოა 46), დაისლერი, ბირჰოფი, ნოივილი (კლოზე 76)
ფინეთი: ნიემი, საარინენი, ჰიიპია, ტიჰინენი, რეინი (მელინი 78), ტაინიო (გრონლუნდი 83), რიიჰილაჰტი, ლიტმანენი, იოჰანსონი (კუქი 66), ფორსელი, ნურმელა
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
52 000 მაყურებელი

**მთელმა** მსოფლიომ იცოდა, რომ ინგლისის წაგების ან ფრის შემთხვევაში გერმანიას ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების ბრწყინვალე შანსი ეძლეოდა. ეს ამბავი, ცხადია, თავად გერმანელებმაც იცოდნენ.

გელზენკირხენში, „შალკეს“ ახალი სტადიონის ტაბლოზე მანჩესტერული მატჩის მსვლელობასაც ჰქონდა დათმობილი ერთი სტრიქონი და კომენტატორიც გამუდმებით აცხადებდა, ინგლის — საბერძნეთის შეხვედრაში ასეთი და ასეთი ამბებიაო. მოკლედ, გერმანელებმა იცოდნენ, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ პირველ ტაიმს ბერძნები იგებდნენ. იცოდნენ, რომ ტედი შერინგემის საპასუხოს დემის ნიკოლაიდისმა რამდენიმე წამში მეორე მიაყოლა. მათ მხოლოდ ერთი რამ არ იცოდნენ — ბექჰემის გოლი, რომელიც გელზენკირხენული შეხვედრის დასრულებიდან ერთი წუთის მერე გავიდა. როცა გელზენკირხენში თამაში მორჩა, ისინი იდგნენ და მანჩესტერული მატჩის საბოლოო შედეგს ელოდნენ. ამ დროს კი სტადიონის კომენტატორმა გამოაცხადა, რომ...

იქ მანჩესტერში კი ოტო რეჰაგელმა ყველაფერი იღონა თანამემამულეთა გადასარჩენად, მაგრამ რად გინდა... „თქვენ მეტისმეტად ბრიყვები ხართ მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ — მიმართა „ბილდმა“ ბუნდესნაკრებს მატჩის მეორე დღეს — ბექჰემის გოლმა კორეა-იაპონიაში წასასვლელი ბილეთების შეძენაზე ხელი აგაღებინათ, არადა, რა ახლოს იყავით მიზანთან, თუმცა ამ მიზანს სავსებით სამართლიანად დაშორდით“.

მიზნამდე გერმანელებს ერთი გოლი დააკლდათ, თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მიზნის მისაღწევად მათ ერთი გოლი სჭირდებოდათ და იმის გატანაც ვერ მოახერხეს.

ფინელთა ბრწყინვალე დაცვაზე ლაპარაკი სრულიად უადგილოა. მეტოქემ მასპინძლებს იმდენი შანსი მისცა, თავმოყვარე გუნდს ერთხელ მაინც უნდა ეხეირა. მეტი რაღა ვთქვათ — ოლივერ ბირჰოფმა ოთხი მეტრიდან ააცილა! ამ მომენტზე გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა გერჰარდ მაიერ ფორფელდერმა თქვა: „წარმოუდგენელია, როგორ ვერ გაიტანა. ბირჰოფს მეკარისთვისაც კი შეეძლო წინასწარ ეთქვა, ამა და ამ კუთხეში გირტყამო“. რუდი ფიოლერმა კი დაამატა: „თავდამსხმელის ბედი ასეთია — ან მატჩის გმირი ხდება, ან ყველა მას აგინებს. ოლივერს პირველ ტაიმში მომენტები არ ჰქონია, მაგრამ შესვენების მერე სამი ერთიმეორეზე უკეთესი შანსი მიეცა და სამწუხაროდ, ვერ გამოიყენა“.

თავად ოლივერ ბირჰოფმა, საკუთარ თავს ჭაობში ჩაფლული უწოდა. თუმც სამართლიანობისთვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთ კაცზე ხელების შეწმენდაც არ არის მართებული, მთლიანად ნაკრებმა (რომელსაც „ველთ ამ ცაიტუნგმა“ „ერის სირცხვილი“ უწოდა) ითამაშა ცუდად. ისიც კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოლივერ ბირჰოფი იმ რამდენიმე გერმანელ ფეხბურთელს შორის იყო, მინდორზე ასე თუ ისე რომ ჩანდნენ.

ფინელებმა კი დაივიწყეს, რომ გერმანელებთან ბოლო შეხვედრებში, 1990 წლის შესარჩევ ციკლში, 0:4 და 1:6 წააგეს და ოლივერ კანი რამდენჯერმე სერიოზულად შეაწუხეს. კანს იუჰა რეინის, იარი ლიტმანენისა და მიკაელ ფორსელის უხერხული დარტყმების მოგერიება მოუხდა, ხოლო მიკა ნურმელას სახიფათო გარღვევა კარსტენ რამელომ საკუთარი ტრავმის ფასად შეაჩერა.

გერმანელთაგან კი ბირჰოფის გარდა ჯერალდ ასამოასა და მიხაელ ბალაკს ჰქონდათ ორიოდე კარგი მომენტი, მაგრამ სტუმართა მეკარე ანტი ნიემიმ იყოჩაღა.

„კონტრაქტი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების მერე მიმთავრდება — თქვა რუდი ფიოლერმა — მაგრამ კორეა-იაპონიაში თუ ვერ გავემგზავრეთ, იქამდე მოცდას აზრი ეკარგება და წავალ“. კორეა-იაპონიაში წასასვლელად კი გერმანიას უკრაინის ბარიერის გადალახვა სჭირდება, მაგრამ ფინეთთან თუ ასე გაუჭირდა, უკრაინასთან მით უფრო გაუძნელდება. მაგრამ ფიოლერი ამბობს: „მეორე ტაიმში ჩვენი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ და უკრაინასთან ასე თუ ვითამაშეთ, დავამარცხებთ. არ მინდა პირველი მწვრთნელი გავხდე, რომელიც გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიყვანს“.

შევნიშნოთ, რომ გერმანიას ოდენ ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უთამაშია, ოღონდ არა იმიტომ, რომ კვალიფიკაცია ვერ გაიარა — 1930-ში თავად არ ისურვა თამაში, ხოლო 1952 წელს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქვეყნის ორად გაყოფის გამო წარმოქმნილი პრობლემების გამო ფიფამ არ დაუშვა.

**ირაკლი ნინიძე**

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 8 | 5 | 2 | 1 | 16:6 | 17 |
| გერმანია | 8 | 5 | 2 | 1 | 14:10 | 17 |
| ფინეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:7 | 12 |
| საბერძნეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:17 | 7 |
| ალბანეთი | 8 | 1 | 0 | 7 | 5:14 | 3 |

# პლეი ოფი

## ევროპა

ბელგია – ჩეხეთი
უკრაინა – გერმანია
ავსტრია ან ისრაელი – თურქეთი
სლოვენია – რუმინეთი

*პირველი მატჩები: 10-11 ნოემბერი, საპასუხო მატჩები: 14 ნოემბერი*

## აზია

პირველი ჯგუფის მეორეადგილოსანი – მეორე ჯგუფის მეორეადგილოსანი

*პირველი მატჩი: 25 ოქტომბერი, საპასუხო მატჩი: 31 ოქტომბერი*

## ევროპა-აზია

ირლანდია – აზიის პლეი ოფის გამარჯვებული

*პირველი მატჩი: 10 ნოემბერი, საპასუხო მატჩი: 15 ნოემბერი*

## ოკეანეთი-სამხრეთ ამერიკა

ავსტრალია – სამხრეთ ამერიკის მეხუთეადგილოსანი

*მატჩები გაიმართება 25 ნოემბრამდე*

## მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ

საფრანგეთი (ჩემპიონი)
იაპონია (მასპინძელი)
სამხრეთ კორეა (მასპინძელი)
კამერუნი
ნიგერია
სენეგალი
სამხრეთ აფრიკა
ტუნისი
კოსტა რიკა
არგენტინა
შვედეთი
პოლონეთი
ესპანეთი
რუსეთი
ინგლისი
ხორვატია
პორტუგალია
დანია
იტალია
აშშ
ჩინეთი

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართება ბუსანში (სამხრეთ კორეა) 1 დეკემბერს

# ჩინეთის შევიდა

**თითებზე** ჩამოსათვლელი თუ იქნება ისეთი მატჩები, რომლებმაც იმდენივე სიხარული შვა, როგორიც ჩინეთ — ომანის 1:0. მსოფლიოს ჩემპიონატის აზიის შესარჩევი ჯგუფიდან მილიარდზე მეტი მოსახლეობის ქვეყნის გუნდი სწორედ ამ მოგებამ გაიყვანა.

ჩინეთის ნაკრები პირველად ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე და ამაში უდიდესი წვლილი იუგოსლაველ მწვრთნელ ბორა მილუტინოვიჩს მიუძღვის. შედეგი სახეზეა, ჩინეთის ნაკრები ამა ქვეყნის ძლიერებთან ერთად გააგორებს ბურთს. ცხადია, მადლიერია მილიარდის ის ნაწილი, რომელსაც ფეხბურთის რაიმე გაეგება, მაგრამ მათ სიხარულზე არანაკლები მილუტინოვიჩმა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებს აჩუქა. ჩინეთის ნაკრების კორეა-იაპონიაში ჩასვლა ხომ ჩინელ ქომაგთა მოზღვავებას გამოიწვევს. თანაც ევროპისა და სამხრეთ ამერიკისგან განსხვავებით, ჩინეთი იქვეა და სულ მცირე, მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის ბოლომდე ჩემპიონატის მომწყობთავკაცებს ბილეთების პრობლემა სწორედ რომ ბორა მილუტინოვიჩმა მოუხსნა.

ასეთი კაცია მილუტინოვიჩი, ჩავა, აშენებს, გაჰყავს და მიდის. მისი გაყვანილები კი კარგად გვახსოვს. თავის დროზე იუგოსლაველმა სტრატეგმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მექსიკა, კოსტა რიკა, აშშ და ნიგერია ათამაშა.

**გიორგი გამარდაშვილი**

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## კონკაკაფი

II წრე. IX ტური

**ჰონდურასი 0:1 ტრინიდადი**
0:1 ჯონი (61)
45 000 მაყურებელი

**კოსტა რიკა 0:0 მექსიკა**
20 000 მაყურებელი

**აშშ 2:1 იამაიკა**
1:0 მური (4), 1:1 ლოურენსი (14), 2:1 მური (81პ)
40 483 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 9 | 6 | 2 | 1 | 16:7 | 20 |
| აშშ | 9 | 5 | 1 | 3 | 11:8 | 16 |
| მექსიკა | 9 | 4 | 2 | 3 | 13:9 | 14 |
| ჰონდურასი | 9 | 4 | 2 | 3 | 17:14 | 14 |
| იამაიკა | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | 8 |
| ტრინიდადი | 9 | 1 | 1 | 7 | 5:18 | 4 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## აზია. II წრე

B ჯგუფი. VII ტური

**ჩინეთი 1:0 ომანი**
1:0 გენვეი (37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:1 | 16 |
| საამიროები | 7 | 3 | 1 | 3 | 8:9 | 10 |
| ყატარი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:7 | 9 |
| უზბეკეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:10 | 7 |
| ომანი | 6 | 0 | 2 | 4 | 1:12 | 2 |

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

იუგოსლავია — ლუქსემბურგი 8:0; რუსეთი — შვეიცარია 3:3

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 4 | 4 | 0 | 22:10 | 16 |
| რუსეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 23:9 | 15 |
| იუგოსლავია | 8 | 4 | 3 | 1 | 22:11 | 15 |
| სლოვენია | 8 | 2 | 2 | 4 | 10:10 | 8 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 1:38 | 0 |

### II ჯგუფი

ირლანდია — კვიპროსი 3:0; პორტუგალია — ესტონეთი 4:0

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 8 | 6 | 1 | 1 | 22:4 | 19 |
| ჰოლანდია | 8 | 5 | 2 | 1 | 20:7 | 17 |
| ირლანდია | 8 | 4 | 1 | 3 | 10:7 | 13 |
| კვიპროსი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:17 | 9 |
| ესტონეთი | 8 | 0 | 0 | 8 | 2:28 | 0 |

### III ჯგუფი

ჩეხეთი — ბულგარეთი 8:0; მალტა — ჩრდ. ირლანდია 2:2; დანია — ისლანდია 4:0

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 10 | 9 | 0 | 1 | 28:5 | 27 |
| ბულგარეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:17 | 18 |
| დანია | 10 | 4 | 3 | 3 | 18:22 | 15 |
| ისლანდია | 10 | 3 | 2 | 5 | 13:17 | 11 |
| ჩრდ. ირლანდია | 10 | 2 | 2 | 6 | 12:21 | 8 |
| მალტა | 10 | 0 | 4 | 6 | 5:20 | 4 |

### IV ჯგუფი

შვედეთი — აზერბაიჯანი 0:0; მაკედონია — სლოვაკეთი 1:1; მოლდოვა — თურქეთი 2:2

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 19:6 | 23 |
| შვედეთი | 10 | 5 | 4 | 1 | 19:6 | 19 |
| სლოვაკეთი | 10 | 4 | 4 | 2 | 13:7 | 16 |
| მოლდოვა | 10 | 2 | 3 | 5 | 6:13 | 9 |
| აზერბაიჯანი | 10 | 2 | 3 | 5 | 4:17 | 9 |
| მაკედონია | 10 | 1 | 2 | 7 | 6:18 | 5 |

### V ჯგუფი

სომხეთი — ნორვეგია 2:0; უელსი — ბელარუსი 1:2; პოლონეთი — უკრაინა 3:0

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 10 | 6 | 1 | 3 | 14:13 | 19 |
| პოლონეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 20:14 | 18 |
| ნორვეგია | 10 | 6 | 0 | 4 | 21:12 | 18 |
| ბელარუსი | 10 | 5 | 1 | 4 | 21:14 | 16 |
| სომხეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 10:15 | 14 |
| უელსი | 10 | 0 | 1 | 9 | 4:24 | 1 |

### VI ჯგუფი

ხორვატია — ბელგია 1:0; შოტლანდია — ლატვია 1:0

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 6 | 4 | 1 | 1 | 8:2 | 13 |
| ხორვატია | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| შოტლანდია | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| ლატვია | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | 1 |

### VII ჯგუფი

[illegible]

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 16:6 | 20 |
| ესპანეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:7 | 16 |
| ისრაელი | 7 | 3 | 0 | 4 | 11:12 | 9 |
| ავსტრია | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | 8 |
| ბოსნია | 8 | 0 | 1 | 7 | 5:17 | 1 |

### VIII ჯგუფი

იტალია — უნგრეთი 0:2; რუმინეთი — საქართველო 2:1

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 8 | 6 | 1 | 1 | 14:5 | 19 |
| რუმინეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:5 | 16 |
| უნგრეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 12:9 | 15 |
| ლიტვა | 8 | 2 | 0 | 6 | 5:17 | 6 |
| საქართველო | 8 | 1 | 0 | 7 | 9:17 | 3 |

### IX ჯგუფი

ინგლისი — საბერძნეთი 2:1; გერმანია — ფინეთი 2:0

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 8 | 5 | 2 | 1 | 18:8 | 17 |
| საბერძნეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:6 | 16 |
| გერმანია | 8 | 5 | 1 | 2 | 18:7 | 16 |
| ფინეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 7:20 | 4 |
| ალბანეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 3:19 | 4 |

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამსვლელ პლეი ოფში ითამაშებენ:
შვეიცარია, პორტუგალია, ჩეხეთი, თურქეთი, უკრაინა, ბელგია, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი, ჰოლანდია, შვედეთი, პოლონეთი, ხორვატია, ესპანეთი, რუმინეთი, საბერძნეთი
*პლეი ოფის წილისყრა გაიმართება 11 ოქტომბერს პრაღაში*

## ინგლისი

### I დივიზიონი. XII ტური

**გრიმსბი 0:2 როტერჰემი**
0:1, 0:2 რობინსი (26, 66)

**შეფილდ უენსდი 0:0 შეფილდ იუნ.**

ბირმინგემი — ვესტ ბრომვიჩი, ნორვიჩი — ქრიუ, პორტსმუთი — ნოტინგემი, პრესტონი — ბრედფორდი, უოლვერჰემპტონი — ბარნსლი, ქოვენტრი — კრისტალ პალასი, მილუოლი — მანჩესტერ სიტი, ბარნლი — უოტფორდი, სტოკპორტი — ჯილინგემი, უიმბლდონი — უოლსოლი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 10 | 7 | 3 | 0 | 20:9 | 24 |
| ბარნლი | 11 | 7 | 1 | 3 | 27:18 | 22 |
| ვესტ ბრომვიჩი | 10 | 6 | 1 | 3 | 14:7 | 19 |
| ნორვიჩი | 10 | 6 | 1 | 3 | 13:13 | 19 |
| კრისტალ პალასი | 9 | 6 | 0 | 3 | 25:16 | 18 |
| სიტი | 10 | 6 | 0 | 4 | 27:20 | 18 |
| პორტსმუთი | 11 | 5 | 3 | 3 | 21:16 | 18 |
| ბრედფორდი | 10 | 5 | 2 | 3 | 22:15 | 17 |
| ქოვენთრი | 10 | 5 | 2 | 3 | 13:9 | 17 |
| უიმბლდონი | 11 | 4 | 4 | 3 | 21:15 | 16 |
| ნოტინგემი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:8 | 15 |
| გრიმსბი | 12 | 4 | 3 | 5 | 14:21 | 15 |
| მილუოლი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:12 | 14 |
| ბირმინგემი | 10 | 4 | 2 | 4 | 16:15 | 14 |
| ჯილინგემი | 10 | 4 | 1 | 5 | 17:15 | 13 |
| პრესტონი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | 13 |
| შეფილდი | 11 | 2 | 6 | 3 | 11:14 | 12 |
| უოტფორდი | 10 | 3 | 2 | 5 | 14:17 | 11 |
| ქრიუ | 10 | 3 | 2 | 5 | 9:18 | 11 |
| ბარნსლი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:21 | 9 |
| უენსდი | 11 | 1 | 5 | 5 | 9:20 | 8 |
| როტერჰემი | 11 | 1 | 4 | 6 | 11:20 | 7 |
| სტოკპორტი | 10 | 1 | 3 | 6 | 15:22 | 6 |
| უოლსოლი | 10 | 1 | 3 | 6 | 8:19 | 6 |

## რუსეთი

### გადადებული მატჩი

**სოკოლი 2:0 ანჟი**
1:0 ვერეტენიკოვი (2), 2:0 ფედკოვი (36)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 25 | 14 | 8 | 3 | 46:23 | 50 |
| ლოკომოტივი | 25 | 14 | 6 | 5 | 47:20 | 48 |
| ზენიტი | 25 | 13 | 7 | 5 | 46:30 | 46 |
| კრილია | 25 | 12 | 7 | 6 | 32:19 | 43 |
| ტორპედო | 25 | 12 | 6 | 7 | 44:34 | 42 |
| სატურნი | 26 | 11 | 8 | 7 | 34:18 | 41 |
| ცსკა | 26 | 9 | 11 | 6 | 29:25 | 38 |
| სოკოლი | 27 | 11 | 5 | 11 | 28:38 | 38 |
| დინამო | 26 | 8 | 8 | 10 | 33:39 | 32 |
| ანჟი | 26 | 7 | 10 | 9 | 25:27 | 31 |
| როტორი | 26 | 7 | 7 | 12 | 33:37 | 28 |
| ალანია | 26 | 7 | 7 | 12 | 27:38 | 28 |
| ფაკელი | 26 | 7 | 4 | 15 | 25:39 | 25 |
| როსტსელმაში | 26 | 6 | 7 | 13 | 21:36 | 25 |
| ტორპედო ზილ | 26 | 5 | 9 | 12 | 18:33 | 24 |
| ჩერნომორეცი | 26 | 4 | 8 | 14 | 14:46 | 20 |

## იტალია

### სერია B. VII ტური

**კალიარი 1:1 სიენა**
1:0 კონტი (60პ), 1:1 დე ჩეზარე (60პ)
სიენა: ჯიანელო, არჯილი (მანდელი 57), მინანი, ვორია, რადიჩე, მ. როსი, სკაჩალუგა, პასონი, ბალძარეტი (კამპოლონი 54), ძამბანა (კარაჩიოლო 66), დე ჩეზარე
დავით დიღმელაშვილი სათადარიგო იყო, ლევან მელქაძე განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
8 000 მაყურებელი

**ანკონა 1:1 ჯენოა**
0:1 ფრანკოროზო (69), 1:1 მ. ვიერი (75პ)

**კროტონე 1:2 ჩიტადელა**
1:0 დელფლორიო (33), 1:1 მარტუშელო (43), 1:2 სტურბა (55)

**ემპოლი 1:1 პისტოიეზე**
1:0 დი ნატალე (28), 1:1 გარბა (59)

**მოდენა 3:0 კომო**
1:0 რაბიტო (3), 2:0 მილანეტო (30პ), 3:0 რაბიტო (54)

**რეჯინა 1:1 პალერმო**
0:1 მასკარა (53), 1:1 კოცა (58პ)

**სალერნიტანა 1:2 მესინა**
1:0 ტედესკო (31), 1:1, 1:2 გოდეასი (57, 78)

**ტერნანა 1:2 ნაპოლი**
1:0 მიკოლი (33), 1:1 ბოკეტი (57), 1:2 მონტეძინე (62)

**სამპდორია — ბარი**
**ვიჩენცა — კოზენცა**
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოდენა | 7 | 4 | 3 | 0 | 13:4 | 15 |
| რეჯინა | 7 | 4 | 2 | 1 | 10:3 | 14 |
| ემპოლი | 7 | 4 | 2 | 1 | 14:8 | 14 |
| ჯენოა | 7 | 4 | 2 | 1 | 8:4 | 14 |
| ანკონა | 7 | 3 | 3 | 1 | 6:4 | 12 |
| პალერმო | 7 | 3 | 2 | 2 | 10:10 | 11 |
| კომო | 7 | 3 | 1 | 3 | 9:11 | 10 |
| ვიჩენცა | 5 | 2 | 3 | 0 | 8:5 | 9 |
| ტერნანა | 7 | 1 | 5 | 1 | 8:6 | 8 |
| კროტონე | 7 | 2 | 2 | 3 | 9:8 | 8 |
| სალერნიტანა | 7 | 2 | 2 | 3 | 10:10 | 8 |
| ბარი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| კოზენცა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | 8 |
| ნაპოლი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| ჩიტადელა | 7 | 2 | 1 | 4 | 11:15 | 7 |
| მესინა | 7 | 1 | 4 | 2 | 4:8 | 7 |
| სიენა | 7 | 1 | 3 | 3 | 7:12 | 6 |
| სამპდორია | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | 4 |
| კალიარი | 7 | 0 | 4 | 3 | 4:9 | 4 |
| პისტოიეზე | 7 | 0 | 3 | 4 | 3:7 | 3 |

### სერია C1/a

მე-6 ტური: ალძანო — ვარეზე 2:1; ლუკეზე — ლეკო 1:0; ლუმეცანე — ჩეზენა 1:2; მონცა — არეცო 2:2; პადოვა — ტრიესტინა 1:1; პიზა — ალბინოლეფე 1:2; რეჯანა — ლივორნო 1:2; სპეცია — კარარეზე 2:1; ტრევიზო — სპალ 4:0

### სერია C1/b

მე-6 ტური: აველინო — სორა 1:0; ბენევენტო — ჯულიანოვა 0:1; კატანია — ლოდიჯანი 2:3; კრეტი — ნოჩერინა 0:0; ფერმანა — პეზარო 2:2; აკილა — ასკოლი 1:3; ლანჩანო — დი სანგრო 1:0; ტორესი — ტარანტო 2:2; ვიტერბეზე — პესკარა 0:0

## პორტუგალია

### I ლიგა

**გადადებული მატჩი**

**სანტა კლარა 0:2 ბოავიშტა**
0:1 გუვეია (45), 0:2 სანჩესი (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 8 | 6 | 1 | 1 | 15:6 | 19 |
| პორტუ | 7 | 4 | 1 | 2 | 13:5 | 13 |
| სპორტინგი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:7 | 13 |
| ბენფიკა | 7 | 3 | 4 | 0 | 14:10 | 13 |
| მარიტიმუ | 7 | 4 | 0 | 3 | 12:9 | 12 |
| ბელენენსეში | 7 | 3 | 1 | 3 | 11:8 | 10 |
| გიმარაეში | 7 | 3 | 1 | 3 | 7:12 | 10 |
| სეტუბალი | 7 | 3 | 0 | 4 | 12:11 | 9 |
| ლეირია | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 |
| ბეირა მარი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:12 | 9 |
| ალვერკა | 7 | 3 | 0 | 4 | 10:14 | 9 |
| ბრაგა | 7 | 2 | 2 | 3 | 12:5 | 8 |
| ჟილ ვისენტე | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | 8 |
| ფარენსე | 7 | 2 | 2 | 3 | 6:10 | 8 |
| სანტა კლარა | 8 | 2 | 2 | 4 | 7:14 | 8 |
| ფერეირა | 7 | 1 | 4 | 2 | 7:7 | 7 |
| სალგეირუში | 7 | 2 | 1 | 4 | 5:12 | 7 |
| ვარზიმი | 7 | 1 | 2 | 4 | 8:17 | 5 |

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. VIII ტური

**სპარტა 1:1 დენ ბოსხი**
0:1 მჟიზრატი (12), 1:1 ბუხარი (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 6 | 5 | 1 | 0 | 13:3 | 16 |
| ვიტესი | 7 | 4 | 3 | 0 | 8:2 | 15 |
| ფეიენოორდი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:2 | 13 |
| ჰერენვენი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:4 | 11 |
| ტილბურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:7 | 11 |
| ვალვაიკი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:4 | 10 |
| უტრეხტი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:8 | 10 |
| დენ ბოსხი | 8 | 2 | 4 | 2 | 11:10 | 10 |
| გრააფსხაპი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| ალკმაარი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| ტვენტე | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 |
| ნაიმეგენი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | 8 |
| პსვ ეინდჰოვენი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:15 | 7 |
| ბრედა | 6 | 2 | 1 | 3 | 9:14 | 7 |
| გრონინგენი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:14 | 7 |
| სპარტა | 8 | 1 | 4 | 3 | 6:15 | 7 |
| სიტარდი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:13 | 5 |
| როდა | 7 | 1 | 1 | 5 | 6:14 | 4 |

## ფინეთი

### გადადებული მატჩი

**ატლანტისი 2:0 პაკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 28 | 16 | 9 | 3 | 56:16 | 57 |
| მიუპა | 29 | 15 | 9 | 5 | 42:23 | 54 |
| ტამპერე | 28 | 16 | 5 | 7 | 39:31 | 53 |
| ჰაკა | 29 | 13 | 7 | 9 | 40:26 | 46 |
| ინტერი | 29 | 14 | 4 | 11 | 41:39 | 46 |
| ატლანტისი | 28 | 10 | 9 | 9 | 37:40 | 39 |
| ვაასა | 28 | 10 | 3 | 15 | 38:47 | 33 |
| ლაჰტი | 28 | 7 | 9 | 12 | 32:40 | 30 |
| კუოპიო | 28 | 7 | 9 | 12 | 27:37 | 30 |
| ჯაზი | 29 | 6 | 9 | 14 | 29:46 | 27 |
| იოკერიტი | 28 | 7 | 6 | 15 | 29:47 | 27 |
| როვანიემი | 28 | 5 | 9 | 14 | 21:39 | 24 |

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## სამხრეთ ამერიკა. XVI ტური

# გვიანი ტაში რივალდოს


REUTERS კურიტიბადან

ბრაზილია — ჩილე. რივალდო შინ უგოლოდ რას გაჩერდებოდა

**ბრაზილია 2:0 ჩილე**

1:0 ედილსონი (53), 2:0 რივალდო (67)

ბრაზილია: მარკოსი, ლუსიო, ჟუანი, ედმილსონი, კაფუ, ემერსონი, ვამპეტა, რობერტო კარლოსი (ბელეტი 84), ედილსონი, რივალდო (ჟუნინიო პაულისტა 89), მარსელინიო (დენილსონი 46)

ჩილე: ტორო, ვარგასი, რობლესი, მუნიოსი, კაზინი, ვილასეკა, ორმასაბალი, პერესი (მელენდესი 61), დ. პიზარო, ველენსუელა (ნავია 55), სალასი

მსაჯი: ხორაციო ელიზონდო (არგენტინა)

45 000 მაყურებელი

**ურუგვაი 1:1 კოლუმბია**

1:0 მაგალიანესი (34პ), 1:1 ვალენტიერა (67)

ურუგვაი: მუნა, ლემბო, მონტერო, როდრიგესი, ტაისი, დე ლოს სანტოსი, პაბლო გარსია, გიგუ (კანობიო 85), რეკობა, დარიო სილვა (მორალესი 78), მაგალიანესი (ჩევანტონი 48)

კოლუმბია: ო. კორდობა, ლოპესი, ი. კორდობა, იეპესი, ბედოია, გრისალესი, რესტრეპო, ბოლანო, ვალენტიერა (მურილიო 74), არისტისაბალი, ასპრილია

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

60 000 მაყურებელი

**ბოლივია 1:5 ეკვადორი**

0:1 დე ლა კრუზი (13), 0:2 დელგადო (23), 0:3 კავიედესი (58), 1:3 გალინდო (60), 1:4 ფერნანდესი (90), 1:5 გომესი (90)

ბოლივია: არიასი, ხიგუჩი, კარბალიო, რალდესი, რეიესი, ხუსტინიანო, კალუსტრო, ს. კასტილიო (ვაკა 33), გალინდო, პასი, ანდაგერისი (ხ. კასტილიო 46)

ეკვადორი: სებალიოსი, დე ლა კრუზი, ურტადო, ესპინოზა, გუერონი, ობრეგონი (გომესი 90), ტენორიო, მენდესი, კალა, კავიედესი (ფერნანდესი 77), ა. დელგადო

მსაჯი: ანხელ სანჩესი (არგენტინა)

5 000 მაყურებელი

**პარაგვაი 2:2 არგენტინა**

1:0 ჩილავერტი (51პ), 1:1 პოჩეტინიო (67), 2:1 მორინიგო (70), 2:2 ბატისტუტა (74)

მსაჯი: ჟილბერტ იდალგო ზამორა (პერუ)

45 000 მაყურებელი

**ვენესუელა 3:0 პერუ**

1:0, 2:0 ალვარადო (49, 67), 3:0 მორანი (78)

მსაჯი: მარიო სანჩეს იანტენი (ჩილე)

30 000 მაყურებელი

**კორეა-იაპონიის** მსოფლიოს ჩემპიონატის სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში ამ უქმეებზე დატრიალებულ ამბებზე ლაპარაკი იმ თამაშით დავიწყოთ, რომელიც ზღვის დონიდან 3600 მეტრის სიმაღლეზე გაიმართა. მასპინძელი ბოლივიელები, უკლასობის მიუხედავად, ლა პასში ხელწამოსაკრავები არ არიან და მათი ძლევა მშობლიურ კედლებში მართლაც ძნელია.

მაგრამ ამ ბოლო დროს ყოველგვარი სიძნელეების გადამლახველმა ეკვადორის ნაკრებმა ბოლივიელები და მათი დამცავი კედლები სულ ნაცარტუტად აქცია. მაღალი მთის მკვიდრების ერთ გოლს აგრესიულმა სტუმრებმა ხუთით უპასუხეს.

ეკვადორელებმა, რომლებიც გაზაფხულზე არც ავტორიტეტულ ბრაზილიელებს შეუშინდნენ და ყველას გასაოცრად კიტოში დასცეს, ბოლივიელების განადგურებით წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს. ეკვატორით შუაზე გაჭრილ ამ პატარა ქვეყანას, რომელსაც მსოფლიოს საფეხბურთო რუკაზე აქამდე ძნელად თუ შეამჩნევდით, დიდი შანსი აქვს, კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა მარაქაში გაერიოს.

ლა პასი და ბოლივია მომდევნო ტურშიც იქნება ყურადღების ცენტრში. ამჯერად მთიელებთან სტუმრობა ლუიშ ფელიპე სკოლარისა და მის შეგირდებს მოუწევთ. ბრაზილიელებისთვის ეს მატჩი გადამწყვეტი იქნება, რადგანაც კვირას ჩილეს ნაკრებთან მოპოვებულმა სამმა ქულამ ისინი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპთან მიაახლოვა, მაგრამ იქ გამგზავრების სრული გარანტია არ მიუცია.

თამაშამდე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონების მწვრთნელი ამბობდა, რომ მისი გუნდი დაცვიდან ითამაშებდა, მაგრამ სკოლარის გეგმები სტუმართა ახალდანიშნულმა თავკაცმა ხორხე გარსესმა ჩაშალა. ჩილელებმა „დიდი ფილის“ რაზმს ტაქტიკა თავად შესთავაზეს და დაცვაში ჩაჯდნენ — მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკუთარ საჯარიმოში მშვენივრად ირჯებოდნენ.

გარსესის ფანდმა სკოლარის მეტოქის შეტევის ჩაშლაზე მიმართული მანქანა არია. ბურთით ჟონგლიორობით განთქმულ ბრაზილიელთა ნახევარმცველებს პირველ ტაიმში ღირებული არაფერი შეუქმნიათ. თუმცა კი, ჩილელთა კარის დარაჯს, ახალბედა კარლოს ტოროს რამდენჯერმე მაინც მოუხდა ოსტატობის გამოვლენა. ახალწვეულმა გუნდი რობერტო კარლოსისა და რივალდოს დარტყმულისგან გადაარჩინა, ერთხელაც ბარსელონელის დარტყმული კარის ძელს მოხვდა. სამივე ხიფათი სტანდარტულ მდგომარეობიდან, კერძოდ ჯარიმით შეიქმნა.

მეორე ტაიმში ბრაზილიელთა თამაში „რეალ ბეტისის“ თავბრუდამხვევი ფინტების ოსტატმა, შეცვლაზე შესულმა დენილსონმა თითქოს გააცოცხლა. მას ვამპეტაც აჰყვა და დიაგონალური პასით სწორედ მან მონახა ედილსონი და მანაც ხორხე ვარგასის ჩამოტოვების შემდეგ ბურთი ბადეში გაახვია.

ტეტრაკამპეონელთაგან მეორე რივალდომ შეაგდო. გოლი ლამაზი იყო, რივალდოსეული: კაფუს ჩაწოდებულ ბურთს „ბარსელონას“ ვარსკვლავმა ფეხი მოხერხებულად დაახვედრა, მიმართულება შეუცვალა და ტოროს კარში რბილად, ძალდაუტანებლად შეაგდო. ტორსიდამ, რომელიც იქამდე რივალდოს მაინცადამაინც არ სწყალობდა, მატჩის გმირი გასახდელში ოვაციებით გააცილა.

სამხრეთ ამერიკის მეორე გრანდი, კორეა-იაპონიის საგზურის ადრევე დამბევებელი არგენტინის ნაკრები ასუნსიონში პარაგვაის დაუზავდა.

ამ მატჩის მოგება მასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლას უნაღდებდა. არგენტინელებს კი არანაირი მიზანი არ ამოძრავებდათ. თუმც ისინი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაწვნენ და პარაგვაელებს ორჯერ გაუთანაბრეს.

ანგარიში პარაგვაელთა ექსცენტრიულმა მეკარემ ხოსე ლუის ჩილავერტმა თერთმეტმეტრიანით გახსნა, რასაც მაურისიო პოჩეტინომ უპასუხა. მან ვერონის კუთხური აქცია გოლად და გულშემატკივრებს მარადონა და მისი ყველაზე სკანდალური გოლი გაახსენა. პოჩეტინიოსა და დიეგოს შორის რომ დიდი სხვაობაა, ეს კარგად უწყით, მსგავსებად კი მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ორივე არგენტინელი თამაშის დროს ხელს ისე მოხერხებულად ხმარობს, რომ მსაჯები ბურთისა და ხელის კონტაქტს ვერ ამჩნევენ, წესის დარღვევა კარგად მხოლოდ ვიდეოფირზე ჩანს და შემდეგ „ღვთის ხელადაც“ მიიჩნევენ.

პოჩეტინიოს ხელბურთს მორინიგომ კაცური თავური დაუპირისპირა. საბოლოოდ კი ანგარიში ნაკრებში ახალდაბრუნებულმა გაბრიელ ომარ ბატისტუტამ გაათანაბრა. მარსელო ბიელსას გვიან გახსენებულმა „ბატიგოლმა“, მთელი თამაშის მანძილზე დიდი ჯაფა გაწია, მაგრამ პარაგვაელთა შეუვალ დაცვასთან ვერაფერს გახდა. ბოლოს კი ბედმა გაუღიმა — კლაუდიო ლოპესის უძლიერესი დარტყმული ჩილავერტიმ მოიგერია და ბურთი რომაელის ფეხებთან აღმოჩნდა. გოლი გარდაუვალი იყოო, ვერ ვიტყვით, თავდამხსმელის გარშემო სამი მცველიც იდგა, თუმცა ბატისტუტას იმას ბატისტუტა, უნდა გაეტანა და გაიტანა კიდეც.

ყველაზე გამორჩეული და უშელავათო ურუგვაი — კოლუმბიის დუელი იყო. დიახ, დუელი, რადგანაც ამ თამაშში წაგებული კორეა-იაპონიას ემშვიდობებოდა. თამაში კი ფრედ დასრულდა და ოდენ ერთმა ქულამ კოლუმბიელებს ოთხეულზე ოცნება მოუსპო. თუ ბედმა გაუღიმათ, ეგებ როგორმე მეხუთე ადგილზე აცოცდნენ, რომელიც ახლა ურუგვაელებს უკავიათ. ხოლო ურუგვაელებს ალბათ, მიანიშნა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ორმატჩიან გადათამაშებაში ავსტრალიელებთან მოუწევთ ჭიდილი.

**გიორგი მამარდაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 16 | 12 | 3 | 1 | 39:14 | 39 |
| პარაგვაი | 16 | 9 | 3 | 4 | 28:16 | 30 |
| ეკვადორი | 16 | 9 | 2 | 5 | 22:19 | 29 |
| ბრაზილია | 16 | 8 | 3 | 5 | 27:14 | 27 |
| ურუგვაი | 16 | 7 | 4 | 5 | 17:11 | 25 |
| კოლუმბია | 16 | 5 | 6 | 5 | 13:14 | 21 |
| პერუ | 16 | 4 | 3 | 9 | 13:22 | 15 |
| ბოლივია | 16 | 3 | 5 | 8 | 17:31 | 14 |
| ვენესუელა | 16 | 4 | 1 | 11 | 15:40 | 13 |
| ჩილე | 16 | 3 | 2 | 11 | 14:24 | 11 |


REUTERS ასუნსიონიდან

პარაგვაი — არგენტინა. ხოსე ლუის ჩილავერტმა ერთი გაიტანა, ორი გაუშვა


REUTERS ასუნსიონიდან

პარაგვაი — არგენტინა. გაბრიელ ბატისტუტა ნაკრებში გოლით დაბრუნდა

## ესპანეთი

VII ტური

### სოსიედადი 3:3 სევილია

1:0 ხაბილონდო (31), 2:0 დემეტრაძე (34), 2:1 მოიზესი (53), 2:2 ოლივერა (65პ), 3:2 ლუის ალბერტო (79), 3:3 ნიევესი (90)

სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლორენი, ლუის ალბერტო, ლოპეს რეკარდე ტაიფუნი, ხაბილონდო, ბარკერო (ალონსო 46), დემეტრაძე (პიკაბეა 46), დე პაულა (ურანგა 71), იდიაკესი

მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი

სევილია: ნოტარიო, პრიეტო (ტომასი 50), პაბლო ალფარო, დანიელი, ნიევესი, ბოდესტა, ფრედ (რეიესი 46), კასკერო, გალარდო (ფრანსისკო 70), ოლივერა, მოიზესი

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

გაფრთხილება: ლორენი, ნიევესი, ოლივერა, ლოპეს რეკარტე, პიკაბეა, ტაიფუნი, იდიაკესი, იდიაკესი

გაძევება: იდიაკესი (38), პაბლო ალფარო (62)

მსაჯი: გონსალეს ვასკესი

21 000 მაყურებელი

### რეალი 2:0 ბილბაო

1:0 რაული (46), 2:0 სოლარი (72)

რეალი: კასილიასი, რაულ ბრავო (პავონი 70), სალგადო, იერო, ჯერემი (ფლდო 44), კარანკა (სავიო 81), გუტი, სელადესი, სოლარი, რაული, მორიენტესი

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ბილბაო: ლაფუენტე, ლარაინსარი, ლარასაბალი, კარლოს გარსია, ოსკარ ვალესი (ფელიპე 58), ლაკრუსი, ურუტია, გერერო (ალკისა 46), ხავი გონსალესი, ხ. ეჩებერია, ურსაისი (ესკერო 46)

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: გერერო, იერო, ლარასაბალი, ფელიპე, სელადესი

მსაჯი: პინო სამორანო

60 000 მაყურებელი

### დეპორტივო 2:1 ბარსელონა

0:1 კლუივერტი (36), 1:1, 2:1 ფრანი (49, 68)

დეპორტივო: მოლინა, რომერო, ნაიბეტი, დონატო, ექტორი, ფრანი, სერხიო, ვალერონი (ემერსონი 79), დუშერი, მაკაი (ვიქტორი 41), ტრისტანი (პანდიანი 69)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ბარსელონა: ბონანო, რაიციგერი (ფერნანდო 50), ფ. დე ბური, პუიოლი, ხავი, კოკუ, გაბრი, ლუის ენრიკე, ჯოვანი, კლუივერტი, ალფონსო (ტრაშორაში 69)

მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი

გაფრთხილება: რაიციგერი, დე ბური

მსაჯი: ესკინას ტორესი

34 000 მაყურებელი

### ბეტისი 1:0 ალავესი

1:0 ჟოაუ ტომაში (80პ)

ბეტისი: პრატსი, მინგო, ბელენგერი, ხუანიტო, კალადუ (კანიასი 66), ცესარი (ბენჟამინი 73), ჩაპი, იტო, ხოაკინი, ვარელა, კასასი (ჟოაუ ტომაში 72)

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

ალავესი: კოკე (ერერა 46), კოლოჩინი, ტელიესი, ლორენსი, იბონ ბეგონია (მარა 46), ჯელი, პაბლო, კრუიფი, ასტუდილიო, ვიჩგე (ივან ალონსო 78), რუბენ ნავარო

მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო

გაფრთხილება: ხუანიტო, ჯელი, კოკე, კოლოჩინი, ტელიესი, კანიასი, პაბლო, ლორენსი, ჩაპი

მსაჯი: ტელიეს სანჩესი

30 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 1:1 ოსასუნა

1:0 ტამუდო (74), 1:1 ალოიზი (86)

ესპანიოლი: არგესო, ფრანი (ბენიტესი 54), როტჩენი, ლოპო, რიკარდო, ველამასანი, მორალესი, ალექს ფერნანდესი, მარტინ პოსე, დე ლუკასი (კ. მუნტიანუ 63), ტამუდო

მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი

ოსასუნა: უნსუე, იანგუსი, ხოსუე (მონტენეგრო 77), კრუჩაგა, პაბლო კონტრერასი, ალფრედო, პუნიალი, ფერნანდო (ალოიზი 56), რივერო, ლეკუმბერი, ივან როსადო (მანოლო 74)

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

გაფრთხილება: ფრანი, როტჩენი, ტამუდო

მსაჯი: მედინა კანტალეხო

25 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 1:0 ლას პალმასი

1:0 ტურუ ფლორესი (7)

ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია, მარკოსი, ტორეს გომესი, ტენა, ჩირიჩი (ფერნანდო სალესი 46), ეუსებიო (კამინერო 78), ხესუსი, რიკეტი, ტოტე ტურუ ფლორესი (ოსკარი 64)

მწვრთნელი: პეპე მორე

ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი, პაკუი, შურერი, ანხელი, ხოსიკო (ხორხე 56), ალბერტო (რუბენი 63), სემვისი, ედუ ალონსო (ტევენეტი 75), პაბლო ლაგო, ორლანდო

მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი

გაფრთხილება: სემვისი, რიკეტი, ოლიასი

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

11 000 მაყურებელი

### მალაგა 2:2 სელტა

0:1 ხესული (5), 1:1 მუსამპა (7), 1:2 კარპინი (9), 2:2 დელი ვალდესი (46)

მალაგა: პედრო კონტრერასი, რობასი, ლიტუში, როტეტა, ფერნანდო სანსი, მუსამპა, რომერო, ხერარდო (ედგარი 59), ზარატე (ლეკო 59), დელი ვალდესი, კანაბალი

მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი

სელტა: პინტუ ველასკო (კოირა 46), კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი, ჯოვანელა, კარპინი, მოსტოვოი, ხესული (ედუ 77), ლუქსენი (სერხიო 46), კატანია

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: ფერნანდო სანსი, ლუქსენი, მოსტოვოი, რომერო, დელი ვალდესი, ხესული, ჯოვანელა, სერხიო

მსაჯი: მეხუტო გონსალესი

12 000 მაყურებელი

### ტენერიფე 3:1 რაიო ვალეკანო

1:0 ივან ანია (2), 1:1 კორინო (6), 2:1 ხაიმე (54), 3:1 ხისკო (57)

ტენერიფე: ხულიო იგლესიასი, პაბლო პასი, ლუსენმოფი, ხავი ვენტა, ბასავილბასო (ალექსისი 65), მანელი, ბინუ, ხაიმე, ივან ანია, ბიჩი ფუერტესი (პიერი 76), ხისკო (აკორანი 82)

მწვრთნელი: ხოსე პეპე მელი

რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, გრაფი, დე კინტანა (პაბლო სანსი 34), ალკასარი, კორინო, მიჩელი, კევედო, რუა, არტეაგა (ლუის სემბრანოსი 59), ბოლიჩი, გლაუჩიო

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

გაფრთხილება: ბიჩი ფუერტესი, გრაფი, კორინო, ხაიმე, გლაუჩიო

მსაჯი: ფერნანდეს მარინი

10 000 მაყურებელი

### მალიორკა 0:1 სარაგოსა

0:1 იორდი (80)

მალიორკა: მიკი, მიგელ სოლერი, ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო (ლეო ბიჯინი 83), ნოვო, მარკოსი, კარლოსი, ეტოო, ლუკე, რიერა (პაუნოვიჩი 60)

მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი

სარაგოსა: ლაინესი, კუარტერო, აგუადო, ესკერდინია, არაგონი (სუნდგრენი 69), გარიტანო, ველისკა (იორდი 46), შაინოუ, ფერონი, მარკოს ვალესი (კორონა 69), ხუანელე

მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო

გაფრთხილება: ნოვო, შაინოუ, კამპანო

მსაჯი: ტურიენსო ალვარესი

15 900 მაყურებელი

### ვალენსია 1:0 ვილიარეალი

1:0 სალვა (45)

ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ჯუკიჩი, მარჩენა, კარბონი, კურო ტორესი, ალბელდა, ვისენტე, რუფეტე (სანდრო 89), სალვა, ხუან სანჩესი (სერბანი 72)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა (გალვანი 76), კიკე ალვარესი, ხავი როჩა, უნაი, გალკა (კანია 60), ამორი, ხორხე ლოპესი, კალება (გიარე 60), პალერმო, ვიქტორი

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

გაფრთხილება: სალვა, არუაბარენა, კარბონი, ვიქტორი, უნაი, მარჩენა, ხავი როჩა, კიკე ალვარესი

მსაჯი: პერეს ბურული

45 000 მაყურებელი

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბეტისი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:4 | 7 | 16 | 4 | 4 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 12 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 |
| 2 | ბარსელონა | 7 | 4 | 2 | 1 | 11:4 | 7 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 |
| 3 | დეპორტივო | 7 | 4 | 2 | 1 | 14:8 | 6 | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 4 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 |
| 4 | სელტა | 7 | 3 | 4 | 0 | 13:5 | 8 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 7 | 4 | 1 | 3 | 0 | 7:4 | 3 | 6 |
| 5 | ვილიარეალი | 7 | 4 | 1 | 2 | 8:5 | 3 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 6 | ვალენსია | 7 | 3 | 4 | 0 | 7:4 | 3 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 10 | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 0 | 3 |
| 7 | ალავესი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:4 | 3 | 11 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:1 | 1 | 5 |
| 8 | სევილია | 7 | 3 | 2 | 2 | 12:10 | 2 | 11 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 0 | 5 |
| 9 | ბილბაო | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 1 | 11 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 2 | 9 |
| 10 | სარაგოსა | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 | 1 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 |
| 11 | ოსასუნა | 7 | 3 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 7 |
| 12 | ესპანიოლი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:13 | -3 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 3 |
| 13 | რეალი | 7 | 2 | 2 | 3 | 13:12 | 1 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 10:4 | 6 | 8 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 0 |
| 14 | ვალიადოლიდი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:11 | -5 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:7 | -3 | 4 |
| 15 | ლას პალმასი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:6 | 1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:3 | 0 | 3 |
| 16 | ტენერიფე | 7 | 2 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | -7 | 0 |
| 17 | მალაგა | 7 | 1 | 3 | 3 | 8:10 | -2 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | -1 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | -1 | 2 |
| 18 | მალიორკა | 7 | 1 | 1 | 5 | 1:10 | -9 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | -5 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 3 |
| 19 | სოსიედადი | 7 | 0 | 2 | 5 | 6:14 | -8 | 2 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | -4 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 0 |
| 24.00 | 431 | გრამანეტი-ოსასუნა | 9.0 | 5.0 | 1.2 |
| 24.00 | 432 | ოსპიტალეტი-სოსიედადი | 4.4 | 3.4 | 1.6 |
| 24.00 | 433 | ვეჩინდარიო-ლას პალმასი | 6.5 | 3.6 | 1.4 |
| 24.00 | 434 | ლოგრონიო-სარაგოსა | 6.0 | 3.5 | 1.45 |
| 24.00 | 435 | ლიტერ სიერა-მალიორკა | 8.0 | 4.4 | 1.3 |
| 00.15 | 436 | კორდობა-მურსია | 1.95 | 2.9 | 3.8 |
| 00.30 | 437 | სეუტა-ბეტისი | 7.5 | 4.0 | 1.35 |
| 00.30 | 438 | ნოველდა-ვალენსია | 14.0 | 7.0 | 1.1 |
| 00.30 | 439 | სიუდად დე მურსია-სევილია | 7.0 | 3.8 | 1.4 |
| 01.00 | 440 | პლასენსია-რეალი | 16.0 | 8.0 | 1.05 |
| 01.00 | 441 | ლანსაროტე-ტენერიფე | 6.0 | 3.5 | 1.5 |

**შოტლანდიის ლიგის თასი. 1/8 ფინალი.**
**9 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 442 | დანდი იუნ.-სტ. ჯონსტონი | 1.6 | 3.4 | 5.0 |
| 23.45 | 443 | აბერდინი-ლივინგსტონი | 2.2 | 3.0 | 3.1 |
| 23.45 | 444 | ეარი-კილმარნოკი | 3.1 | 3.2 | 2.1 |
| 23.45 | 445 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 1.5 | 3.6 | 5.6 |
| 23.45 | 446 | როსი-ჰიბერნიანი | 4.4 | 3.4 | 1.65 |
| 23.45 | 447 | რეინჯერსი-ეირდრი | 1.15 | 6.0 | 12.0 |
| 23.45 | 448 | რეითი-დანდი | 4.7 | 3.5 | 1.6 |

**რუსეთი. თასი. მერვედფინალი.**
**13 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 449 | დინამო-ანჟი | 1.9 | 3.1 | 3.6 |

**ჩემპიონთა ლიგა. გადადებული მატჩები.**
**10 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 451 | სელტიკი-როზენბორგი | 1.55 | 3.4 | 5.6 |
| 23.45 | 452 | პორტუ-იუვენტუსი | 3.0 | 2.9 | 2.3 |
| 23.45 | 453 | ბარსელონა-ლიონი | 1.45 | 3.6 | 6.5 |
| 23.45 | 454 | ლევერკუზენი-ფენერბაჩე | 1.4 | 3.8 | 7.0 |
| 23.45 | 455 | ლილი-დეპორტივო | 2.5 | 2.9 | 2.6 |
| 23.45 | 456 | ოლიმპიაკოსი-მანჩესტერი | 3.4 | 3.1 | 2.0 |
| 23.45 | 457 | ფეიენოორდი-ნანტი | 3.2 | 3.1 | 2.1 |
| 23.45 | 458 | სპარტა-სპარტაკი | 2.0 | 3.1 | 3.4 |

**მერკონორტეს თასი.**
**9 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.10 | 459 | ალიანსა (პერუ)-[illegible] ([illegible]) | 2.3 | 3.1 | 2.8 |

**10 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.10 | 460 | [illegible] ([illegible])-[illegible] (ეკვადორი) | 3.3 | 3.3 | 1.85 |
| 06.10 | 461 | [illegible] (პერუ)-[illegible] ([illegible]) | 2.4 | 3.1 | 2.6 |

**11 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.10 | 462 | ბარსელონა (ეკვადორი)-[illegible] ([illegible]) | 2.7 | 3.2 | 2.3 |
| 07.10 | 463 | მილიონარიოსი (კოლუმბია)-[illegible] ([illegible]) | 1.8 | 3.0 | 4.2 |

**ამხანაგური მატჩები.**
**12 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 464 | ირანი-ერაყი | 1.4 | 3.8 | 7.0 |

**13 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 465 | ჩინეთი-ყატარი | 1.45 | 3.8 | 4.2 |
| 15.30 | 466 | ტაილანდი-ბაჰრეინი | 2.5 | 3.0 | 2.5 |
| 18.30 | 467 | ომანი-ქუვეითი | 4.0 | 3.4 | 1.7 |

**კალათბურთი. ევროლიგა. I ტური.**
**10 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 501 | ურალი (რუსეთი)-[illegible] (იტალია) | 1.6 | 12.0 | 1.8 |
| 20.00 | 502 | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)-ულკერი (თურქეთი) | 1.15 | 12.0 | 4.0 |
| 21.15 | 503 | კრკა (სლოვენია)-ზადარი (ხორვატია) | 1.45 | 12.0 | 2.1 |
| 22.30 | 504 | შარლერუა (ბელგია)-შლონსკი (პოლონეთი) | 1.5 | 12.0 | 2.0 |
| 23.30 | 505 | პარტიზანი (იუგოსლავია)-ოსტენდე (ბელგია) | 1.05 | 12.0 | 6.5 |
| 23.30 | 506 | ბენეტონი (იტალია)-უნიკახა (ესპანეთი) | 1.15 | 12.0 | 4.0 |
| 23.30 | 507 | ციბონა (ხორვატია)-ტაუ (ესპანეთი) | 1.7 | 12.0 | 1.7 |
| 23.30 | 508 | ვილერბანი (საფრანგეთი)-აეკ (საბერძნეთი) | 1.7 | 12.0 | 1.7 |

**11 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 509 | ულკერი (თურქეთი)-[illegible] (ისრაელი) | 1.05 | 12.0 | 6.5 |
| 22.00 | 510 | მაკაბი (ისრაელი)-ალბა (გერმანია) | 1.05 | 12.0 | 6.5 |
| 23.00 | 511 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-[illegible] (იტალია) | 1.15 | 12.0 | 4.0 |
| 23.30 | 512 | კინდერი (იტალია)-ჟალგირისი (ლიტვა) | 1.15 | 12.0 | 4.0 |
| 23.30 | 513 | ოლიმპია (სლოვენია)-პერისტერი (საბერძნეთი) | 1.35 | 12.0 | 2.5 |
| 23.30 | 514 | [illegible] (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი) | 6.5 | 12.0 | 1.05 |
| 23.30 | 515 | პაო ორტეზი (საფრანგეთი)-ცსკა (რუსეთი) | 1.7 | 12.0 | 1.7 |
| 23.30 | 516 | ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)-რეალი (ესპანეთი) | 2.5 | 12.0 | 1.35 |

**ჰოკეი.**
**9 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 517 | კაროლინა-ოტავა | 2.0 | 4.0 | 2.0 |
| 04.30 | 518 | მონრეალი-ანაჰაიმი | 1.7 | 4.0 | 2.4 |
| 05.30 | 519 | კოლორადო-ვანკუვერი | 1.4 | 4.0 | 3.4 |
| 05.30 | 520 | დალასი-ლოს ანჯელესი | 1.7 | 4.0 | 2.4 |
| 06.00 | 521 | ედმონტონი-ნეშვილი | 1.65 | 4.0 | 2.5 |

**10 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 522 | ბუფალო-ფილადელფია | 2.0 | 4.0 | 2.0 |
| 04.30 | 523 | პიტსბურგი-აილენდერსი | 1.8 | 4.0 | 2.2 |
| 04.30 | 524 | ფლორიდა-ოტავა | 2.0 | 4.0 | 2.0 |
| 04.30 | 525 | დეტროიტი-კალგარი | 1.45 | 4.0 | 3.2 |
| 05.00 | 526 | რეინჯერსი-ვაშინგტონი | 2.0 | 4.0 | 2.0 |
| 05.30 | 527 | მინესოტა-ბოსტონი | 2.0 | 4.0 | 2.0 |

**11 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 528 | კაროლინა-ტორონტო | 1.9 | 4.0 | 2.1 |
| 04.30 | 529 | ნიუ ჯერსი-აილენდერსი | 1.65 | 4.0 | 2.5 |
| 04.30 | 530 | სტ. ლუისი-ლოს ანჯელესი | 1.65 | 4.0 | 2.5 |
| 05.00 | 531 | ნეშვილი-კალგარი | 1.9 | 4.0 | 2.1 |
| 05.30 | 532 | ჩიკაგო-ფინიქსი | 1.8 | 4.0 | 2.2 |
| 05.30 | 533 | დალასი-ვანკუვერი | 1.65 | 4.0 | 2.5 |
| 07.00 | 534 | ედმონტონი-კოლორადო | 2.0 | 4.0 | 2.0 |
| 07.30 | 535 | სან ხოსე-ტამპა ბეი | 1.5 | 4.0 | 3.0 |

**12 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 536 | კოლუმბუსი-მონრეალი | 2.0 | 4.0 | 2.0 |
| 04.30 | 537 | დეტროიტი-ბუფალო | 1.6 | 4.0 | 2.7 |
| 05.00 | 538 | მინესოტა-ჩიკაგო | 2.0 | 4.0 | 2.0 |
| 07.30 | 539 | ანაჰაიმი-ვაშინგტონი | 2.0 | 4.0 | 2.0 |

**13 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 540 | ტორონტო-სტ. ლუისი | 1.9 | 4.0 | 2.1 |
| 04.00 | 541 | მონრეალი-ნიუ ჯერსი | 2.0 | 4.0 | 2.0 |
| 04.00 | 542 | ოტავა-რეინჯერსი | 1.65 | 4.0 | 2.5 |
| 04.00 | 543 | აილენდერსი-დეტროიტი | 2.0 | 4.0 | 2.0 |
| 04.00 | 544 | ატლანტა-კაროლინა | 1.9 | 4.0 | 2.1 |
| 04.30 | 545 | ფლორიდა-ფილადელფია | 2.2 | 4.0 | 1.8 |
| 05.00 | 546 | ნეშვილი-ედმონტონი | 2.0 | 4.0 | 2.0 |
| 05.00 | 547 | დალასი-კალგარი | 1.65 | 4.0 | 2.5 |
| 06.00 | 548 | ფინიქსი-ვაშინგტონი | 2.0 | 4.0 | 2.0 |
| 07.00 | 549 | ვანკუვერი-კოლორადო | 2.3 | 4.0 | 1.75 |
| 07.30 | 550 | ლოს ანჯელესი-ტამპა ბეი | 1.65 | 4.0 | 2.5 |
| 07.30 | 551 | სან ხოსე-ბოსტონი | 1.8 | 4.0 | 2.2 |

**14 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 552 | ბუფალო-პიტსბურგი | 1.65 | 4.0 | 2.5 |
| 03.00 | 553 | მინესოტა-ედმონტონი | 2.0 | 4.0 | 2.0 |
| 05.00 | 554 | ჩიკაგო-კოლუმბუსი | 1.65 | 4.0 | 2.5 |
| 05.00 | 555 | ანაჰაიმი-ტამპა ბეი | 1.6 | 4.0 | 2.7 |

**15 ოქტომბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 556 | მონრეალი-რეინჯერსი | 1.9 | 4.0 | 2.1 |

## ტურში გატანილი გოლები

**13 ოქტომბერი 18.30 701 გერმანია (მე-9)**
25 და ნაკლები - 1.9; 27 და მეტი - 1.9
**13 ოქტომბერი 16.00 702 ინგლისი (მე-9)**
25 და ნაკლები - 1.9; 27 და მეტი - 1.9
**13 ოქტომბერი 20.15 703 საფრანგეთი (მე-10)**
21 და ნაკლები - 1.9; 23 და მეტი - 1.9
**13 ოქტომბერი 18.00 704 იტალია (მე-7)**
23 და ნაკლები - 1.9; 25 და მეტი - 1.9
**13 ოქტომბერი 21.00 705 ესპანეთი (მე-8)**
26 და ნაკლები - 1.9; 28 და მეტი - 1.9
**12 ოქტომბერი 01.00 706 პორტუგალია (მე-8)**
23 და ნაკლები - 1.9; 25 და მეტი - 1.9
**12 ოქტომბერი 23.00 707 ჰოლანდია (მე-9)**
26 და ნაკლები - 1.9; 28 და მეტი - 1.9
**13 ოქტომბერი 23.00 708 ბელგია (მე-9)**
27 და ნაკლები - 1.9; 29 და მეტი - 1.9
**12 ოქტომბერი 22.00 709 თურქეთი (მე-8)**
25 და ნაკლები - 1.9; 27 და მეტი - 1.9

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 ოქტომბერი.** | | | | | | | | | |
| 23.45 | 701 | სელტიკი-როზენბორგი | 2.0 | 12.0 | 25.0 | 3.2 | 5.0 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 9.0 |
| 23.45 | 702 | პორტუ-იუვენტუსი | 4.7 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.5 |
| 23.45 | 703 | ბარსელონა-ლიონი | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.1 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 23.45 | 704 | ლევერკუზენი-ფენერბაჩე | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.0 | 5.0 | 12.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 23.45 | 705 | ლილი-დეპორტივო | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.7 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 23.45 | 706 | ოლიმპიაკოსი-მანჩესტერი | 5.0 | 10.0 | 20.0 | 6.5 | 4.7 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 23.45 | 707 | ფეიენოორდი-ნანტი | 5.0 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.7 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.1 |
| 23.45 | 708 | სპარტა-სპარტაკი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.7 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| | | **13 ოქტომბერი.** | | | | | | | | | |
| 18.30 | 709 | მიუნხენი-ბაიერნი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.0 | 5.3 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.4 |
| 18.30 | 710 | შტუტგარტი-შალკე | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.7 | 4.7 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 18.30 | 711 | კოტბუსი-ლევერკუზენი | 4.7 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.7 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.2 |
| 18.30 | 712 | ფრაიბურგი-სტ. პაული | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.3 | 5.0 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 9.0 |
| 18.30 | 713 | ჰამბურგი-ჰერტა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.7 | 4.7 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 18.30 | 714 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.1 | 5.3 | 10.0 | 22.0 | 11.0 | 10.0 |
| 18.30 | 715 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 4.0 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.7 | 4.7 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 16.00 | 716 | ლივერპული-ლიდსი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 19.00 | 717 | ბოლტონი-ნიუკასლი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.7 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 19.00 | 718 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.7 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 19.00 | 719 | ჩელსი-ლესტერი | 1.6 | 15.0 | 30.0 | 3.0 | 5.6 | 12.0 | 25.0 | 12.0 | 12.0 |
| 19.00 | 720 | იფსვიჩი-ევერტონი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.7 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 19.00 | 721 | საუთჰემპტონი-არსენალი | 6.0 | 10.0 | 20.0 | 7.0 | 5.0 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 19.00 | 722 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 5.0 | 10.0 | 20.0 | 6.5 | 5.0 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.2 |
| 18.00 | 723 | ლაციო-ატალანტა | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.0 | 5.0 | 11.0 | 22.0 | 11.0 | 11.0 |
| 23.30 | 724 | პერუჯა-რომა | 5.0 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.7 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.2 |
| 21.00 | 725 | ბარსელონა-ვალენსია | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.7 | 8.0 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 21.00 | 726 | სარაგოსა-დეპორტივო | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.7 | 4.7 | 4.7 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 21.00 | 727 | სევილია-მალიორკა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.7 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 00.30 | 728 | ალავესი-რეალი | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.7 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | | | | | | | |
| 20.30 | 729 | ვერდერი-ნიურნბერგი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 5.0 | 8.0 | 20.0 | 10.0 | 7.5 |
| 20.30 | 730 | კიოლნი-ვოლფსბურგი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.7 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 18.00 | 731 | ბლეკბერნი-ვესტ ჰემი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.7 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 20.00 | 732 | ასტონ ვილა-ფულჰემი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 18.00 | 733 | ბრეშა-კიევო | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 18.00 | 734 | იუვენტუსი-ტორინო | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.0 | 5.0 | 11.0 | 22.0 | 11.0 | 11.0 |
| 18.00 | 735 | ლეჩე-ფიორენტინა | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 18.00 | 736 | მილანი-ვენეცია | 1.4 | 15.0 | 30.0 | 2.7 | 5.3 | 15.0 | 30.0 | 15.0 | 15.0 |
| 18.00 | 737 | პარმა-პიაჩენცა | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.2 | 4.7 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 18.00 | 738 | ვერონა-ბოლონია | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 4.7 |
| 23.30 | 739 | უდინეზე-ინტერი | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.7 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 21.00 | 740 | ლას პალმასი-ესპანიოლი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.7 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 21.00 | 741 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.7 | 8.0 | 20.0 | 10.0 | 7.5 |
| 21.00 | 742 | ვილიარეალი-მალაგა | 2.2 | 10.0 | 20.0 | 3.4 | 4.7 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 9.0 |
| 21.00 | 743 | რაიო-სოსიედადი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.7 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 21.00 | 744 | ოსასუნა-ტენერიფე | 2.7 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.7 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 23.00 | 745 | სელტა-ბეტისი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალწვეულთა ბუმი

## დინამოს უკრაინის ჩემპიონიც გააძლიერებს



რევაზ ჩხეიძე

ბუკა ფოლადაშვილის ფოტო

**ნამდვილად** ვერ გეტყვით, ვინ არის „დინამოს" ახალი მეპატრონე, მაგრამ ერთი რამ ცხადია: იგი შეძლებულია და თუ ასე გააგრძელა, მეთერთმეტე ჩემპიონატის გამარჯვებულად იქნებ მისი პირველად მომგები გუნდი ვიხილოთ.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" სრულ უსახელობაში გატარებული ბოლო წლების შემდეგ, წლეულს შედარებით ძლიერ და იმედისმომცემ ძალას რომ მოუყარა თავი, ამ ათიოდ დღის წინ ვწერდით. სწორედ იმ დღეებში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ „დინამო" გაიყიდა, ხოლო მისი მყიდველის ვინაობა არ გახმაურებულა. გუნდში ოთხი ახალწვეული იყო — მაისურაძე, კორძაძე, ჩუბინიძე, მიქაძე. ამის შემდეგ არ გასულა ერთი კვირაც და „დინამოს" კიდევ ოთხი ისეთი კალათბურთელი შეემატა, რომელთა თავისთან ხილვას ბევრი ქართული კლუბი ისურვებდა და სანამ მათ ვინაობას გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ „დინამოს" ახალწვეულთა სიმრავლით ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის მოცილე არ ჰყავს.

რევაზ ჩხეიძემ წინა სეზონი უკრაინაში გაატარა. მისი კლუბი „ბკ ოდესა" ყველასთვის მოულოდნელად ფინალში გავიდა, იქ „ბკ კიევს" მოუგო და ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ამ გამარჯვებაში თავისი წილი ქართველმა კალათბურთელმაც დადო. ჩხეიძე საქართველოს ნაკრებშიც გამოიძახეს, საიდანაც იგი კვლავ უკრაინულ კლუბს დაუბრუნდა და მომავალი სეზონისთვის ემზადებოდა, მაგრამ მისი გუნდი დაიშალა. როგორც რეზომ გვითხრა, „ბკ კიევი" თითქმის ყველა წამყვანმა კალათბურთელმა დატოვა და გუნდის ხელმძღვანელობამაც გული აიცრუა. კლუბში ახალგაზრდები მივიდნენ. ექვსმა მოთამაშემ სათამაშოდ ბულგარეთს მიაშურა და იქ ჩხეიძესაც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მან სამშობლოში დაბრუნება ირჩია და დღეს იგი „დინამოშია". აქვეა ყოფილი ბასკოელი გიგი ნაცვლიშვილიც, რომლის ადგილი ბათუმელთა ახალ შემადგენლობაში არ მოინახა და უგუნდოდ დარჩენილმა თავისი ბედი „დინამოს" დაუკავშირა.

მომავალ სეზონში ლევან მოსეშვილის სამწყსოში ვიხილავთ ბუბა ბერიშვილსაც, რომელმაც თავის ძველ გუნდში ადგილი ვერ იპოვა: „სტუ-ჯეოსელი" უკანახაზელთა ნაკლებობას არ განიცდიდა და შედეგად ბერიშვილმაც „დინამოს" მიაშურა.

ბოლო ახალწვეული, რომელიც „დინამოს" მაგნიტმა მიიზიდა, „ვითას" ერთგული, ხოლო მისი დაშლის შემდეგ „აზოტში" სეზონგამოვლილი მამუკა ტურაშვილია. მართალია, მას მსაჯ მაჩალაძის ჩაწიხლვაში მონაწილეობის გამო ეროვნული ჩემპიონატის ექვს სასტარტო მატჩში მოუწევს უქმად ყოფნა, მაგრამ არც ექვსი და არც თექვსმეტი სასტარტო თამაში „დინამოს" არ აღელვებს. მისთვის მთავარი ბრძოლა ჩემპიონატის ფინიშზე დაიწყება.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ ამდენი ახალწვეულის მიმყვანის ვინაობა 11 ოქტომბერს გაცხადდება, როცა საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგენენ იმ კომპანიას, რომელმაც სპორტკლუბი „დინამო" შეიძინა.

**ირაკლი ბერტაია**



მამუკა ტურაშვილი

ბუკა ფოლადაშვილის ფოტო



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# გავიხსენოთ მივიწყებული: ლინდროსმა გაიტანა!

**85-ე** რეგულარული ჩემპიონატის პირველი უქმეები ერთობ შინაარსიანი და სიურპრიზებით ალსავსე გამოდგა. თავიანთი პირველი მატჩები გამართეს რეინჯერსმა, ვაშინგტონმა და აილენდერსმა. ეს კლუბები ტყუილუბრალოდ როდი გამოვარჩიეთ — მათ ხომ ახალწვეული ვარსკვლავები, შესაბამისად ერიკ ლინდროსი, იარომირ იაგრი და ალექსეი იაშინი, ჰყავთ. სამივემ გოლები მიითვალა, ოღონდ იაგრმა ეს პირველივე მატჩში მოახერხა, ხოლო 16-თვიანი შესვენების შემდეგ ყინულზე დაბრუნებულმა ლინდროსმა და იაშინმა — მეორე შეხვედრაში. ჩეხის ახალმა გუნდმა, ვაშინგტონმა, სტარტის პირველი დიდი სენსაცია მოახდინა — თასის ფინალისტი ნიუ ჯერსი 6:1 გაანადგურა. გრანდებს წაართვეს ქულები მინესოტამ, ნეშვილმა და კოლუმბუსმა, ხოლო კალგარიმ ზედიზედ მეორე მშრალი მოგება იზეიმა.

### 5 ოქტომბერი

**დალასი 4:1 ნეშვილი (1:1 2:0 1:0)**

0:1 რონინგი 8(1), 1:1 ზუბოვი 13(1), 2:1 ნუინდაიკი 21(1), 3:1 მოროუ 28(1), 4:1 მოროუ 49(2)

**ტამპა 2:3 აილენდერსი (1:1 1:0 0:2)**

0:1 პეკა 7(1), 1:1 ოლვესტადი 15(1), 2:1 რიჩარდსი 28(1), 2:2 პერიში 45(1), 2:3 პერიში 47(2)

**კაროლინა 3:1 რეინჯერსი (2:0 1:0 0:1)**

1:0 ოზოლინში 1(1), 2:0 ლენგდონი 3(1), 3:0 კაპანენი 35(1), 3:1 მესიე 52(1)

ლინდროსის პირველმა გამოსვლამ ყინულზე არაერთგვაროვანი შთაბეჭდილება დატოვა. ერთი მხრივ, ტვინის შერყევებით გულგაწყალებულმა აჩვენა, რომ ამის მიუხედავად კვლავაც აგრესიული თამაშის ერთგულია, რასაც ექვსი ძალისმიერი ილეთიც ადასტურებს. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი შეტევაში ნაკლებად სახიფათო იყო — ერთიორჯერ დაცვას დროულად ვერ დაეხმარა და კაროლინელი სამი კაპანენის გოლი გარკვეულწილად მის სინდისზეა. თუმცა მასპინძლებმა მატჩის პირველ სამ წუთში გაინაღდეს გამარჯვება, ხოლო მეკარე არტურს ირბემ (30 მოგერიება), რომელმაც შეხვედრის წინ კიდევ სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი, მხოლოდ მარკ მესიე აზეირა.

გოლი ვერც ახალგამომცხვარმა აილენდერსელმა ალექსეი იაშინმა მიითვალა. მისმა ახალმა გუნდმა სტუმრად რომ მოიგო, ეს მეორე ცნობილი ახალწვეულის, მაიკ პეკას დამსახურებაა. თამაშს მოწყურებულმა ფორვარდმა, რომელსაც წინა სეზონი გაფიცვის გამო გაუცდა, გოლიც გაიტანა და მესამე პერიოდში მაიკ პერიშის გადამწყვეტ ორ შაიბაშიც შეიტანა წვლილი.

### 6 ოქტომბერი

**ფლორიდა 0:3 აილენდერსი (0:1 0:0 0:2)**

0:1 იაშინი 8(1), 0:2 პერიში 56(3), 0:3 ბეიტსი 60(1)

**ფილადელფია 3:3 კოლუმბუსი (1:1 0:1 1:2 0:0)**

0:1 მარშალი 13(1), 1:1 იუნსონი 17(1), 1:2 რაიტი 38(1), 1:3 მარშალი 42(2), 2:3 იუნსონი 44(2), 3:3 უილიამსი 56(3)

**ბოსტონი 4:3 ატლანტა (1:1 1:2 0:1 1:0)**

1:0 პელერინი 6(1), 1:1 კოვალჩუკი 17(1), 2:1 ზამუნერი 23(1), 2:2 დონოვანი 28(2), 2:3 დონოვანი 39(3), 3:3 როლსტონი 43(2), 4:3 გერინი 43(1)

**ვაშინგტონი 6:1 ნიუ ჯერსი (1:1 4:0 1:0)**

0:1 ბუმედიენი 16(1), 1:1 ჰალპერნი 17(1), 2:1 იუჰანსონი 22(1), 3:1 იაგრი 27(1), 4:1 გონჩარი 36(1), 5:1 დალინი 38(1), 6:1 ბონდრა 45(1)

**მონრეალი 2:2 ტორონტო (1:0 0:1 1:1 0:0)**

1:0 რიბეირო 8(1), 1:1 სუნდინი 26(2), 1:2 ანტროპოვი 48(1), 2:2 პერო 50(2)

**ბუფალო 3:2 ოტავა (1:0 0:2 2:0)**

1:0 აფინოგენოვი 11(1), 1:1 უაიტი 29(2), 1:2 ჰოსა 38(2), 2:2 კონოლი 41(1), 3:2 ბარნსი 60(1)

**სან ხოსე 0:0 მინესოტა**

**პიტსბურგი 2:4 ანაჰაიმი (0:3 1:0 1:1)**

0:1 კალენი 8(1), 0:2 კალენი 10(2), 0:3 იორკი 13(1), 1:3 კრაფტი 33(1), 1:3 ლაკუტიური 47(1), 2:4 მაკინისი 55(1)

**ნეშვილი 2:2 სენტ ლუისი (1:1 1:1 0:0 0:0)**

1:0 დელმორი 10(1), 1:1 დემიტრა 11(2), 2:1 ჰარტნელი 28(1), 2:1 კინი 31(2)

**კალგარი 4:0 ჩიკაგო (0:0 2:0 2:0)**

1:0 კონროი 21(1), 2:0 ლოური 22(1), 3:0 სავარი 52(2), 4:0 ბერუბე 60(1)

**ვანკუვერი 1:4 დეტროიტი (0:0 1:3 0:1)**

1:0 ტოვანოვსკი 29(1), 1:1 ფიოდოროვი 29(1), 1:2 ფიშერი 37(1), 1:3 შენაჰანი 39(4), 1:4 აიზერმანი 55(1)

**ედმონტონი 6:2 ფინიქსი (0:0 3:1 3:1)**

1:0 კლირი 21(1), 2:0 რ. სმიტი 31(1), 2:1 კ. ლემიე 35(2), 3:1 რ. სმიტი 40(2), 4:1 ჯ. სმიტი 43(1), 42 კოლანოსი 54(1), 5:2 კარტერი 59(1), 6:2 მორო 60(1)

ამაზე უარეს სცენარს მარტინ ბროდო ვერც წარმოიდგენდა. სულ რაღაც ორი დღის შემდეგ, რაც ნიუ ჯერსის კარის დარაჯმა ბრწყინვალე კონტრაქტი გააფორმა თავის გუნდთან, ვაშინგტონმა მას კოშმარული სიურპრიზი მოუმზადა — ორი პერიოდის განმავლობაში ბროდომ 5 შაიბა გაუშვა და ადგილი გამოუცდელ სკოტ კლემენსენს დაუთმო. ამგვარი მარცხი იაგრისგან რომ ეწვნია, კიდევ არა უშავს, მაგრამ ვაშინგტონის ახალმა ვარსკვლავმა მხოლოდ ერთხელ გაიბრწყინა, როცა ბროდოსთან პირდაპირ აღმოჩნდა და მშვიდად გაახვია შაიბა ბადეში. მთავარი საქმე კი დედაქალაქელთა „შავმუშური" სამეულის ჰოკეისტებმა — ულფ დალინმა (1+2) და ჯეფ ჰალპერნმა (1+1) გააკეთეს.

ფილადელფია კოლუმბუსთან მარცხს ძლივს გადაურჩა, „მფრინავები" ახალგაზრდა ჯასტინ უილიამსმა იხსნა, რომელმაც სასტარტო ორ მატჩში 5 ქულა მოაგროვა. მეორე მატჩში თავის პირველი გოლი ლიგაში წლევანდელი დრაფტის №1-მა ილია კოვალჩუკმა გაიტანა, ხოლო დეტროიტელმა ბრენდან შენაჰანმა პირველ მატჩში ჰეთ თრიქს მე-4 გოლი დაამატა, თანაც კვლავ უმცირესობაში გამოირჩა (სულ მესამედ!).

ედმონტონში სახელოვან იარი კურის დიდი პატივი სცეს. 80-იანი წლების ბრწყინვალე გუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი სამუდამო მე-17 ნომრით დააჯილდოვეს და მისი მაისურა დარბაზის ჭერქვეშ ააფრიალეს. ამჟამინდელმა „მენავთობეებმა" კი ფინიქსი 6:2 გაანადგურეს და ცნობილი ფინელი ჰოკეისტი კიდევ უფრო გაახარეს. ზედიზედ მეორე მატჩში თავი მაიკ კინისა და დუგ უეიტის ახალმა სენტლუისურმა წამყვანმა დუეტმა გამოიჩინა, მაგრამ ეს მხოლოდ ფრის მისაღწევად აღმოჩნდა საკმარისი ნეშვილთან შეხვედრაში. სამაგიეროდ, კალგარის მთავარმა შენაძენმა, მეკარე რომან ტურეკმა კვლავ გაახარა გუნდის მესვეურნი, კარი მეორედ შეინახა მშრალად და „ალებს" გაამარჯვებინა.

### 7 ოქტომბერი

**ლოს ანჯელესი 3:4 მინესოტა (1:1 1:2 1:1)**

1:0 შნაიდერი 11(1), 1:1 ბრიუნეტი 19(1), 2:1 პაინცი 22(1), 2:2 რუსტი 44(1), 2:3 ბორდელო 27(1), 3:3 შნაიდერი 46(2), 3:4 მიტჩელი 49(1)

**კაროლინა 3:0 დალასი (1:0 1:0 1:0)**

1:0 ვასიჩეკი 12(1), 2:0 ფელინა 22(2), 3:0 ონილი 50(1)

**ტამპა 0:5 ფლორიდა (0:2 0:2 0:1)**

0:1 ვ. ბურე 4(1), 0:2 უიმერი 10(1), 0:3 ბოილი 26(1), 0:4 ნოვოსელცევი 37(1), 0:5 უიმერი 41(2)

**რეინჯერსი 5:4 ბუფალო (1:1 2:2 1:1 1:0)**

1:0 ლინდროსი 9(1), 1:1 დიუმონი 10(1), 1:2 ბარნსი 22(2), 1:3 ვარადა 35(1), 2:3 გროშეკი 40(1), 3:3 ა.იუჰანსონი 40(1), 4:3 დვორჟაკი 44(1) 4:4 კოზლოვი 45(1), 5:4 ლიჩი 63(1)



REUTERS ნიუ იორკიდან

რეინჯერსი — ბუფალო. მარკ მესიემ ერიკ ლინდროსს (№88) პასი მისცა, ამან კი პირველი რეინჯერსული გოლი გაიტანა

მეორე მატჩი კი ლინდროსმა გაცილებით უკეთ ჩაატარა. ბუფალოსთან შეხვედრაში მან აუღებელი დარტყმით უკვე მე-9 წუთზე გახსნა ანგარიში. მართალია, ამას მეტოქემ სამი შაიბით უპასუხა, მაგრამ მეორე პერიოდის ბოლო წუთზე რეინჯერსმა ორჯერ გაიტანა და ინიციატივა დაიბრუნა. აქაც იყო ლინდროსის წვლილი — მან ანდრეას იუჰანსონი აზეირა. საბოლოოდ კი ამ უხვგოლიანი მატჩის ბედი ოვერტაიმში „რეინჯერ" ბრაიან ლიჩის შაიბამ გადაწყვიტა.

კაროლინამ კი მეორე გამარჯვება იზეიმა. „მტაცებლებმა" ამჯერად დალასი იმსხვერპლეს. ირბემ კვლავ საუცხოოდ ითამაშა (31-ე შათაუტი კარიერაში) და ეს მისი მე-100 მოგებაა კაროლინას რიგებში.

იმ ხუთი გოლიდან, რომლებიც ფლორიდამ ტამპას კარში გაიტანა, პაველ ბურეს (პასი) არც ერთი ეკუთვნოდა. სამაგიეროდ, ახალ კლუბში პირადი ანგარიში გახსნა მისმა ძმამ, ვალერიმ.

მინესოტამ კი, რომელიც შარშან სტუმრად უნიათოდ თამაშობდა, კალიფორნიული ვოიაჟის პირველ ორ მატჩში 3 ქულა მოიპოვა.

**სამველ ღარიბიანი**

# კაფელნიკოვი ბორგის და ქირისუფალთა გვერდით

**მოსკოვი (რუსეთი). „კრემლის თასი“**
**საპრიზო 2.185 მილიონი $**

**ვაჟები**

**მეოთხედფინალი.** ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) — ტომას იოჰანსონი (5, შვედეთი) 6:3, 7:5; ტომი ჰაასი (4, გერმანია) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:1, 6:4; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 5:7, 6:4, 6:3; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:3, 7:5

**ნახევარფინალი.** კაფელნიკოვი — ჰაასი 6:1, 6:2; კიფერი — ჰრბატი 6:4, 6:3

**ფინალი.** კაფელნიკოვი — კიფერი 6:4, 7:5

**ქალები**

**მეოთხედფინალი.** ელენა დემენტიევა (8, რუსეთი) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 6:2, 6:2; ელენა დოკიჩი (5, იუგოსლავია) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:2, 6:0; სილვია ფარინა ელია (6, იტალია) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 1:6, 7:6 (11:9), 6:4; ანასტასია მისკინა (რუსეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:4, 6:2

**ნახევარფინალი:** დოკიჩი — ფარინა ელია 6:4, 6:3; დემენტიევა — მისკინა 6:7 (7:9), 6:1, 7:5

**ფინალი.** დოკიჩი — დემენტიევა 6:3, 6:3

რუსი ექსპირველი ჩოგანი ევგენი კაფელნიკოვი იქნებ სხვა ტურნირებზე ძველებურად მარჯვედ ველარ ხმარობს ჩოგანს და საკუთარი თავისა ყოველთვის კმაყოფილი არ იყოს, მაგრამ მშობლიური ქვეყნის დედაქალაქში მას აგერ ხუთი წელია, ბადალი არ მოეძებნება. ამ კვირადღეს სოჭელმა ჟენიამ ფინალში გერმანელი ნიკოლას კიფერი დასცა და კრემლს თასიც ზედიზედ მეხუთედ დაიუნჯა.

მას შემდეგ, რაც ჩოგნის ქნევა პროფესიად და მილიონების (ზოგისთვის ათასების) კეთების საშუალებად იქცა, ისტორია მხოლოდ ორ მსგავს შემთხვევას იხსენებს. კაფელნიკოვის გარდა აქამდე ოდენ შვედ ბიორნ ბორგსა და უნგრელ ბალაშ ტაროცის მოუგიათ ერთი და იგივე ტურნირი ზედიზედ ხუთჯერ, ლეგენდარულ შვედს 1976-80 წლებში უიმბლდონზე ყველა შემხვედრი დაუმარცხებია, უნგრელი კი 1978-82 წლებში ჰოლანდიაში, ჰილვერსუმის ტურნირში არავის ახარებდა. „ბორგის გვერდით ჩემი სახელის მოხსენიება ჩემთვის უდიდესი ჯილდოა. თვით სამპრასსაც ზედიზედ ოთხჯერ მოუგია უიმბლდონი, მე კი ტურნირში ხუთჯერ გავიმარჯვე“ — სამპრასის ხსენებისას კაფელნიკოვს ერთი მცირე დეტალი გამორჩა, კრემლის თასის გათამაშება უიმბლდონი არაა, მაგრამ გახარებულ ჟენიას მივუტევოთ უყურადღებობა.

ბორგთან შეტოლებით ტკბობის პერსპექტივის გარდა, კაფელნიკოვს სხვა მიზეზიც ჰქონდა, ტურნირის მოგება განსაკუთრებულად მოეწადინებინა. მას, ცხადია, მშვენივრად ახსოვდა, რუსმა ქომაგებმა რა დღეც დააწიეს მეორე წრეში მარცხნაჭამ მარატ საფინს და პირველივე წრიდან გავარდნილ ანა კურნიკოვას. ასე რომ, რუსი ერის მოსალოდნელი რისხვით დამფრთხალმა ჟენიამ ტურნირი ისე ჩაატარა, გამარჯვებაში არავინ დაუეჭვებია. სოჭელმა იოლად მოუგრიხა კისერი ნახევარფინალში შემხვედრ გერმანელ ტომი ჰაასს და ფინალში მის გაჩუთესავ თანამემამულე ნიკოლას კიფერს შეება. ამ უკანასკნელს, ცხადია, ერჩივნა ფინალში მოძმეს დაჯახებოდა, ვიდრე რუსთა გინებ-შეძახილებით გახელებულ კაფელნიკოვს, თუმც, მისდა სამწუხაროდ, მეტოქე თავად არ აურჩევია და იმას შეეთამაშა, ვინც ბედმა არგუნა.

არადა, ფინალის დასაწყისში კაფელნიკოვი არცთუ ძნელი მოსარევი ჩანდა. პირველი სეტის დასაწყისში კიფერმა რუსს მოწოდება აართვა და ჯერ 3:1, შემდეგ კი 4:2 დაწინაურდა. სეტის მოგება საქმის ნახევარია. გერმანელსაც ამ ნახევრის მისაღწევად საკუთარი მიწოდებების შენარჩუნებაღა სჭირდებოდა, მაგრამ 4:2 უპირატესობაზე თავისი მოწოდება მეტოქეს დაუთმო, რის შემდეგაც საკუთარი თავის რწმენა და პირველი სეტი 4:6 მიართვა კაფელნიკოვს.

გაცილებით დაძაბული გამოდგა მეორე სეტი. კიფერი ყოჩაღად ირჯებოდა. 5:6 ანგარიშზე, საკუთარ მოწოდებაზე ორი მატჩ-პოინტიც გალაარჩინა და შეხვედრის არბიტრს საქმეებიც გაურჩია, თუმც ბოლოს მაინც დაუთმო კრემლის თასი მის აწ უკვე ხუთგზის მფლობელს. „ადვილი გასაგებია, რატომ მოიგო მეხუთედ, გარდა იმისა, რომ ევგენი ძლიერი მოთამაშეა, 18 ათასი ქომაგი ზურგს უმაგრებს და ეს მის დამარცხებას თითქმის შეუძლებელს ხდის“ — თქვა ნამატჩევს ძლეულმა ფინალისტმა.

კაფელნიკოვისთვის ალალი იყო გამარჯვება და ის 119 ათასი დოლარი, კრემლის თასისთვის ოფლის ღვრაში რომ აიღო. ამ ფულიდან ერთი დოლარიც არ წავა მის ჯიბეში. ჟენიამ მონაგები რამდენიმე დღის წინ მშობლიური სოჭის მახლობლად ავიაკატასტროფაში დაღუპულთა ოჯახებს უწილადა.

რუსი გულშემატკივრები, რომელთა შორის ქვეყნის ექსპრეზიდენტი ბორის ელცინი გამოირჩეოდა, კაფელნიკოვისგან განსხვავებით, ვერ ასიამოვნა მანდილოსანმა, თუმცა ქალთა ფინალის წამგებ ელენა დემენტიევაზე აუგი მაინც არ დაგვცდება. მერვე ნომრად განთესილმა ელენამ მეოთხედფინალში თვით მარტინა ჰინგისი აიძულა, მოსკოვიდან გასამგზავრებელი ბილეთი ვადაზე ადრე აეღო, ნახევარფინალშიც თანამემამულე ანასტასია მისკინა იმსხვერპლა, მაგრამ ფინალი აშკარად დათმო. აქ მას 18 წლის იუგოსლავიელი სეხნია ელენა დოკიჩი გადაეყარა და მიუხედავად ამ უკანასკნელის ქუსლის ტრავმისა, გამარჯვებულის ვინაობა მატჩის დამთავრებამდე გაირკვა.

**ტოკიო. იაპონიის ღია პირველობა**
**საპრიზო 970 ათასი $**

**ვაჟები**

**ნახევარფინალი.** ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:4, 6:0; მიხაელ კრატოხვილი (5, შვეიცარია) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:0, 6:3

**ფინალი.** ჰიუიტი — კრატოხვილი 6:4, 6:2

**ქალები**

**ნახევარფინალი.** ტამარინ ტანასუგარნი (2, ტაილანდი) — ჯოანეტ კრიუგერი (8, სამხრეთ აფრიკა) 6:3, 7:5

**ფინალი.** მონიკა სელეში (1, აშშ) — ტანასუგარნი 6:3, 6:2

გემრიელ სენსაციებს მოკლებული იაპონიის ღია პირველობა განსაკუთრებული მოულოდნელობების გარეშე ჩამთავრდა. არც ვაჟებში და არც ქალებში პირველ ნომრად განთესილებმა პირველობა არავის დაანებეს.

20 წლის ყოჩაღმა ავსტრალიელმა ბიჭუნამ ლეიტონ ჰიუიტმა წლეულს ამერიკის ღია პირველობის ფინალამდე ყველა შემხვედრი წააქცია, ფინალშიც უწინ მძლეთამძლე პიტ სამპრასი გააწბილა და ტოკიოში „ვიღაც“ მიხაელ კრატოხვილი რას მოუხერხებდა. ავსტრალიელმა ჩეხური სისხლის შვეიცარიელს ფინალური შეხვედრის პირველივე გეიმში აართვა მოწოდება და საწყისი სეტის 4:6 წაგებით დემორალიზებულ მეტოქეს მეორეში უფრო იოლად გაუსწორდა. „ლეიტონი დღეისთვის მსოფლიოში უსწრაფესი ჩოგბურთელია და ასეთს როგორ უნდა მოუგო, როცა შეცდომებს საერთოდ არ უშვებს“ — უთქვამს ამ სამ კვირაში ორი ფინალის წამგებ კრატოხვილს, რომელიც მსოფლიოს 57-ე ჩოგანია და 54-ით ჩამორჩება მძლეველს.

რაც შეეხება ქალთა ფინალს, მატჩის დაწყებიდან 65 წუთში თასი ჯანიანმა მონიკა სელეშმა ჩაიბარა, არადა ფაქტობრივად ეს თასი დაწყებამდეც მისი იყო.

**ივანე ძოზიჟშვილი**



REUTERS მოსკოვიდან

ევგენი კაფელნიკოვმა მოსკოვში მონაგები ავიაკატასტროფაში დაღუპულთა ოჯახებს გადასცა



W.S.K.F.

ევროპის ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამგვარი დახვეწილი ილეთი ჩემპიონატზე მრავლად შესრულდა

# თბილისში ევროპა მსოფლიოს გაუთანაბრეს

**თბილისის** სპორტის სასახლეში სამ დღეს მიმდინარეობდა ევროპის ჩემპიონატი კარატე-დოში. შაბათს უფროსების პირველობა და ამასთანავე ჩემპიონატის საზეიმო გახსნაც მოეწყო.

საპატიო სტუმრებში შენიშნავდით ჩვენი ქვეყნის გადამდგარ თუ მოქმედ მინისტრებს, რომლებმაც არაერთხელ აღნიშნეს ტურნირის საქართველოში ჩატარების მნიშვნელობა. მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ედვარდ სურმანიძემ კი რატომღაც ყველას მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნა (!) მოგვილოცა. ეტყობა, პარლამენტარი კარგად არ იყო ინფორმირებული ტურნირის თაობაზე, ან ენამ უყივლა, რაც უფრო მისაღები ვარიანტი უნდა იყოს ჩვენთვის.

პოლიტიკოსთა თუ სხვა სახელმწიფო ჩინოვნიკთა გამოსვლის შემდეგ საზეიმო ცერემონიალი დაიწყო. მომღერალ-მოცეკვავეებმა დაატკბეს იქ მყოფი გულშემატკივრები თუ სპორტსმენები, რუსეთისა და უკრაინის ნაკრებების წევრებმა მინი-თუხთუხიც მოაწყეს, ქართველი კარატისტები კი მუშტებს ატრიალებდნენ, აქაოდა, საბრძოლო მუხტი უკვე მივიღეთ და დანარჩენი ჩვენ ვიცითო. თუმც ხალხური ფოლკლორის შემდეგ სცენაზე ტანმოვარჯიშეთა გუნდი იხმეს, რაც ჩემი აზრით, ვერაფრით ჩაჯდა შოუ-პროგრამაში.

ინდივიდუალურ კატაში კაცებს შორის ყველას აზერბაიჯანელმა ჩაიალ მუსაევმა აჯობა. ფინალში მან თურქი იასინ ისმაილოვზე უკეთ იასპარეზა, მესამე ადგილი კი ბელარუსმა რუდსკინ ნიკოლაევმა დაიკავა. ქალებს ყველას წინა დღეს ვეტერანებში საუკეთესომ, სვეტლანა ვილკინამ აჯობა, ვინც ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში თავისი ქალიშვილი ოლგა ვილკინა ჩამოიცილა გზიდან.

ჯიუ კუმიტეში, ანუ კონტაქტურ ჩხუბში 75 კგ-ში კოსოვოელმა იდრიზე ენისმა აზერბაიჯანელი ასიფ ბაგიროვი გალახა, ხოლო ბელარუსმა დენის გლინსკიმ და ქართველმა ალეკო მანძულაშვილმა მესამე საპრიზო ადგილები გაიყვეს.

აბსოლუტურ წონაში ბადალი არ ჰყავდა აზერბაიჯანელ რახმან ჰატამოვს, რომელმაც ჩვენებურ ზაზა ბურჯანაძეს გვარიანად ურტყა, ვერცხლის მედლები კი კოსოვოელმა ნაზმი გაშიმ და აზერბაიჯანელმა რამზი მამედოვმა მოიპოვეს.

მესამე დღეს ჩემპიონატის მონაწილეებმა გუნდური ორთაბრძოლები გაჩაღეს. ვაჟებში კატა აზერბაიჯანელებმა მოიგეს. ქართველთა მიერ შესრულებული ტექნიკური ილეთები კი ოდენ ბრინჯაოზე შეფასდა. ვერცხლი ბელარუსებმა ირგუნეს.

ყველაზე სასეირო სანახაობაში, ანუ გუნდურ კუმიტეში, აზერბაიჯანელმა კაცებმა ხელ-ფეხის დიდოსტატური ქნევა გვიჩვენეს და ოქროც დამსახურებულად მოიპოვეს. ფინალში მათ ბელარუსები შემოელახათ. მესამე ადგილი კი ქართველებმა და კოსოვოელებმა დიდსულოვნად გაიყვეს. ქალებში სხვებზე მეტად კოსოვოელი მანდილოსნები გამოირჩეოდნენ. ბალკანელებმა ბელარუსები დაიბრიყვეს და ოდენ ვერცხლს დააჯერეს, ბრინჯაო კი უკრაინელმა და აზერბაიჯანელმა ქალებმა გაინაწილეს.

ტურნირის დასრულების შემდეგ ასევე საზეიმო დახურვა მოეწყო. ჩემპიონატის მონაწილეებმა და ორგანიზატორებმა რესტორან „ორიენტში“ გადაინაცვლეს და დილამდე იმხიარულეს. როგორც კარატე-დოს ფედერაციაში გვითხეს, მომავალში მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე იზრუნებენ. ჩვენ რაღა დაგვრჩენია, თუ არა თანადგომა, მაგრამ ერთ რჩევას კი მივცემთ კარატე-დოს ფედერაციას. მომავალში გამოასწორონ საორგანიზაციო საკითხები და ტატამის სიახლოვეს შემთხვევით ხალხის თარეში კომპეტენტური ხალხის მეშვეობით ალკვეთონ და არა სპორტის სასახლის მოსამსახურე პერსონალით, რომლებმაც არც კი იცოდნენ, ვინ შეეშვათ ჩემპიონატის პრეს-ცენტრში და ვინ — არა. ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის მოპოვება ძალით და ათასგვარი ხერხებით გვიხდებოდა.

**ბაჩო სვანიძე**

| ვაჟები |
| --- |
| **ინდივიდუალური კატა** |
| 1. ჩაიალ მუსაევი (აზერბაიჯანი); 2. იასინ ისმაილოვი (თურქეთი); 3. რუდსკან ნიკოლაევი (ბელარუსი) |
| **გუნდური კატა** |
| 1. აზერბაიჯანი; 2. ბელარუსი; 3. საქართველო |
| **ჯიუ კუმიტე 75 კგ** |
| 1. იდრიზე ენისი (კოსოვო); 2. ასიფ ბაგიროვი (აზერბაიჯანი); 3. დენის გლინსკი (ბელარუსი) და ალეკო მანძულაშვილი (საქართველო) |
| **ჯიუ კუმიტე 75 კგ ზემოთ** |
| 1. რახმან ჰატამოვი (აზარბაიჯანი); 2. ზაზა ბურჯანაძე (საქართველო); 3. ნაზმი გაში (კოსოვო) და რამზი მამედოვი (აზერბაიჯანი) |
| **ინდივიდუალური კუმიტე** |
| 1. ანტონ ჯლამაძე (საქართველო); 2. რამაზ სახვაძე (საქართველო); 3. დავით ჟვანია (საქართველო) და კობა ცერცვაძე (საქართველო) |
| **გუნდური კუმიტე** |
| 1. აზერბაიჯანი; 2. უკრაინა; 3. საქართველო და კოსოვო |
| **ქალები** |
| **ინდივიდუალური კატა** |
| 1. სვეტლანა ვილკინა (უკრაინა); 2. ოლგა ვილკინა (უკრაინა); 3. ლელა სვანიძე (საქართველო) |
| **გუნდური კატა** |
| 1. ბელარუსი; 2. რუმინეთი; 3. რუსეთი |
| **ინდივიდუალური კუმიტე** |
| 1. ჰამიდე იბრაჰიმი (კოსოვო); 2. ჯამილა მამედოვა (აზერბაიჯანი); 3. ოლგა მატიაშჩუკი (უკრაინა) და შორენა შენგელია (საქართველო) |
| **გუნდური კუმიტე** |
| 1. კოსოვო; 2. ბელარუსი; 3. უკრაინა და აზერბაიჯანი |

მსოფლიოს ჩემპიონატი ნახევარმარათონში. ბრისტოლი (დიდი ბრიტანეთი)

# იუდას მარცხი

## პოლამ და ჰაილემ ედმონტონის ჭრილობები მოიშუშეს



პოლა რედკლიფი



ჰაილე გებრესილასიე

**ჰაილე გებრესილასიემ** კვირადღეს, 7 ოქტომბერს, სტაიერული რბოლებიდან მარათონისკენ შუალედური ნაბიჯი გადადგა. ეს მოხდა ბრისტოლის (საპორტო ქალაქია ინგლისში) დოკებსა და ქუჩებში, სადაც ნახევარმარათონის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა.

ჩათვლა იყო, ცხადია, პირადი და ამასთან გუნდურიც. თითოეული ქვეყნის სამი საუკეთესო შედეგი ჯამდებოდა. ზედმეტად ვთვლით იმის აღნიშვნას, რომ ქალებშიც და ვაჟებშიც საპრიზო ადგილებიდან ორ-ორი კენიისა და ეთიოპიის ნაკრებებს დარჩათ და იმაშიც ორი აზრი არ იქნება, რომ ვაჟთა შეჯიბრის საჩინო ადგილებზე აფრიკის გარდა ევროპას და სხვა კონტინენტებს არაფერი ესაქმებოდათ.

კონკრეტულად: არააფრიკელი მორბენალებიდან საუკეთესო შედეგი ჰქონდა იტალიელ მოსტაფა ერებას, რომელიც მე-15 ადგილზე გავიდა, იქამდე კი 14 ადგილი ეთიოპელებმა, კენიელებმა, ტანზანიელებმა და მაროკოელებმა შეავსეს და კაცმა რომ თქვას, ალბათ, მხოლოდ მოქალაქეა, თორემ ერთბაშად წმინდა სისხლის იტალიელი არ იყოს ადამიანი მოსტაფა ერებას გვარ-სახელით! აქაც უეჭველად აფრიკულ ძირებთან გვაქვს საქმე და საერთოდ ეს თემა (აფრიკა — გრძელი დისტანციების უდავო ლიდერი) არახალია და მასზე მეტად აღარ შევჩერდებით.

მოკლედ, მშვენიერი საპორტო ქალაქი ბრისტოლი, მდებარე გრინვიჩის დასავლეთით 3 და ეკვატორის ჩრდილოეთით 52 გრადუსზე, იმ დღეს მსოფლიოს 40-მდე (თურქმენეთის და უზბეკეთის ჩათვლით) ქვეყნის რჩეულ ნახევრად მომარათონეებს მასპინძლობდა მსოფლიოს მე-10 ჩემპიონატის ფარგლებში. როგორც ასეთი, სუფთა ნახევრად მომარათონე ბუნებაში ძლიერ იშვიათია, ამ დისტანციის მოლაშქრეებს უფრო სტაიერული გზებიდან ასულები და მარათონიდან ჩამოსულები ავსებენ, როგორც მაგალითად, ნახსენები ჰაილე გებრესილასიე. ეთიოპმა აგვისტოში ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატზე 10 ათასი მეტრი ირბინა, 8 წლის მანძილზე პირველად წააგო და აცხადებდა, აღარ მინდა მარათონებზე გადასვლა, სტაიერად უნდა დავრჩეო, მაგრამ ბრისტოლში კი ჩავიდა.

საკმაოდ ნორმალურ ამინდში მძლეოსანთა მოზრდილი ჯგუფი 21 კილომეტრზე ცოტა მეტის სარბენად დაიძრა. 5 კილომეტრის შემდეგ დაახლოებით 30 კაცი დაწინაურდა და, ცხადია, ეს პირველობისთვის მებრძოლთა ჯგუფი იყო, უკლებლივ ყველა მეტნაკლებად ფავორიტი მათში ერია. მთავარი ბრძოლა წინ იყო.

კილომეტრიდან კილომეტრამდე მოწინავე ჯგუფი ბუნებრივად თხელდებოდა და შუაგზისთვის თავში 9 კაცი-ლა დარჩა. რბოლას წარმართავდა ტანზანიელი ჯონ იუდა, ვისაც თითქმის ქუსლებზე აბიჯებდა სამხრეთაფრიკელი ჰენდრიკ რამაალა, შემდეგ კი იყვნენ სამი ეთიოპი, სამი კენიელი და თეთრი რასის ერთადერთი და ისიც შავგვრემანი წარმომადგენელი მაროკოდან, ლარიბ იაუდადი. მალე იუდას საქმენი საკვირველნი გახდნენ, რადგან მრავალი კილომეტრის მანძილზე შავი სამუშაოს შესრულების მიუხედავად, დაღლისა არაფერი ეტყობოდა და 5-კილომეტრიანი მონაკვეთი 14 წუთსა და 8 წამში გაირბინა, რაც დისტანციის საუკეთესო შედეგი გახლდათ. ამ ტემპს გაუძლეს მხოლოდ ერთეულებმა. სათითაოდ უკან რჩებოდნენ კენიელები, იაუდადი, რამაალა... იუდამ ვერ მოიშორა მხოლოდ გებრესილასიე და ეთიოპი ტესფაიე ჯიფარი, რომლებსაც ცოტა ხანში ზურგიდან რამაალამ შემოუტია, მაგრამ ამაოდ: მედლები ამ სამეულის ხვედრი იყო.

ოღონდ ვის რა ფერისა? იუდა განაგრძობდა მოულოდნელ სირბილს და როგორც იქნა, დაიღალა. „მე მათი გაკვირვება მინდოდა“ — გამოტყდა შემდგომ ტანზანიელი, მაგრამ ყველაფრის გაკეთება მისი 22 წლის ჯანმრთელი ორგანიზმისთვის მეტისმეტი გამოდგა. რბენის დაწყებიდან 54 წუთში გებრესილასიემ პირველად დაიწყო თავის საფირმო სპრინტი და დათვლილ წამებში იუდა 30 მეტრით ჩამორჩა, ჯიფარი კი თვისტომს გულმოდგინედ და ამაოდ მისდევდა, გებრესილასიემ იგი ჩემპიონობისკენ არ გაუშვა, ფინიშზე პირველი გადავიდა. მარცხენა ხელი ტრადიციულად ძლიერ მოეკეცა, რაც ბავშვობიდან გამოყოლილი ჩვევა გახლავთ. მაშინ ჰაილე ცაციათი აიღებდა წიგნებს და სკოლამდე და უკან 5 კილომეტრს გარბოდა, 16 წლისა ადის-აბებაში ჩაიყვანეს, ელექტრობის არსებობა გაიგო და პირველი მარათონი ირბინა 99-ე შედეგით. ერთხელ უფროსი ძმის ნაჩუქარი სპორტული ფეხსაცმელები გადაყარა, ფეხშიშველა უკეთ ვირბენო, ახლა კი ფეხსაცმლის მწარმოებლებთან 2,5-მილიონდოლარიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. რომ არ გავაგრძელოთ, ვინ იყო და ვინ არის...

პოლა რედკლიფს კი თავის ინგლისში ალბათ არაფერი აკლდა, ფეხსაცმელიც ექნებოდა და ყველაფერიც, მაგრამ გებრესილასიეს იმით ჰგავს, რომ პროფესიად მანაც სირბილი აირჩია. ძალიან ბევრი არა, მაგრამ ტიტულები დაუგროვდა (კროსში მსოფლიოს ჩემპიონია, ოღონდ ედმონტონში დამარცხდა), ხოლო კვირას ბრისტოლში გარბოდა, ქალ[illegible] [illegible] დროის [illegible] შედეგი [illegible] 4 წამი დააკლდა მსოფლიოს რეკორდამდე.

ძალიან სწრაფად ირბინეს იმ დღეს სხვა ქალებმაც, შვიდმა პირადი რეკორდი დაამყარა. მზის სათვალით შებურული რედკლიფი თავიდანვე ლიდერებში ერია, ოღონდ პირველ კილომეტრებზე შავი სამუშაო იაპონელებმა იტვირთეს. მიზუკი ნოგუჩი და ტაკაკო კოტორიდა კარგა ხანს მიაქანებდნენ 13-კაციან ჯგუფს, მერე კოტორიდა ჩამორჩა, ხოლო „კლიფტონ სასპენშენ ბრიჯზე“ მოწინავე ჯგუფი ორად გაიყო და ჩამორჩენილებში ერია ფავორიტად ცნობილი კენიელი ჯოის ჩეპჩუმბა.

შუაგზაზე მედლებისთვის ბრძოლას 6 ქალი შემორჩა: რედკლიფი, ნოგუჩი, კენიელი სუზან ჩეპკემეი და მისი ერთი ამხანაგი, ეთიოპი ბერანე ადერე და მეიერი სამხრეთ აფრიკიდან. სპრინტის თვალსაზრისით ამათგან ყველაზე საშიში ადერე გახლდათ (ეთიოპებს დასკვნითი სპრინტი საერთოდ კარგად ეხერხებათ). თუ საქმე ჯგუფურ ფინიშამდე მივიდოდა, ადერე, სავარაუდოდ, ყველას გაუსწრებდა. ეს იგრძნო რედკლიფმა და გზის ორ მესამედზე ტემპს უმატა. მიჰყვნენ ადერე და ჩეპკემეი, მაგრამ შინაური ხალხის საქომაგო ღრიანცელი რედკლიფის კოზირი იყო და დოკებში ინგლისელმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა. მან ფინიშამდე კარგა ხნით ადრე იცოდა, რომ იგებდა, მაგრამ სირბილის მულამზე მოსულიყო და ევროპის რეკორდის დამხობას ეშურებოდა. დაამხო კიდეც, მსოფლიოსას კი სულ ოდნავ ვერ შესწვდა.

**დავით გულუა**

**ვაჟები**

1. ჰაილე გებრესილასიე (ეთიოპია) 1:00.03
2. ტესფაიე ჯიფარი (ეთიოპია) 1:00.04
3. ჯონ იუდა (ტანზანია) 1:00.12

გუნდური ჩათვლა

1. ეთიოპია 3:00.31
2. კენია 3:02.53
3. ტანზანია 3:05.08

**ქალები**

1. პოლა რედკლიფი (დიდი ბრიტანეთი) 1:06.47
2. სუზან ჩეპკემეი (კენია) 1:07.36
3. ბერანე ადერე (ეთიოპია) 1:08.17

გუნდური ჩათვლა

1. კენია 3:28.04
2. იაპონია 3:30.08
3. ეთიოპია 3:30.20

ჩიკაგოს მარათონი

# ტაკაჰაშის რეკორდი უდღეური გამოდგა

**ქალთა** მარათონი სარეკორდო ყამირად იქცა. ერთი კვირის წინ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნაოკო ტაკაჰაშიმ ბერლინის მარათონი დაასრულა მსოფლიოს რეკორდით — 2:19.46, კვირას კი ჩიკაგოს მარათონზე კენიელმა კეტრინ ნდერებამ მის შედეგს კიდევ წუთი ჩამოაჭრა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს მოხდა ჩიკაგოში, სადაც მარათონის შემდეგ ნდერებამ მარტივი სიტყვებით ილოცა: „მიკვირს და ღმერთს ვმადლობ, 2 საათსა და 19 წუთს რომ არ გადავაცილე მეტად ცივ და მოუხერხებელ ამინდში“.

ნდერება რეკორდზე რბოლის წინაც სერიოზულად ლაპარაკობდა, მაგრამ არავინ ფიქრობდა, თუ ეული სირბილით კენიელს ამდენის გაკეთება შეეძლო. ფაქტობრივად, დისტანციის მთელ პერიმეტრზე ნდერება ლიდერი იყო და ფინიშის სიახლოვეს ადამიანს ჭოგრიტი სჭირდებოდა მისი მდევრების სანახავად. უახლოეს მდევარს ნდერებამ 6 წუთზე მეტი მოუგო.

კონკურენციის თვალსაზრისით უფრო საინტერესო ვაჟთა რბოლა გახლდათ. ჩიკაგოში იყო პოლ ტერგატი, კროსში 5-გზის მსოფლიოს ჩემპიონი, რომელმაც მარათონი ახალ ხელობად წლეულს გაიხადა. დებიუტი ტერგატს ლონდონის პრესტიჟულ მარათონზე ჰქონდა და კმაყოფილი დარჩა: მხოლოდ მაროკოელმა აბდელკადერ ელ მუაზიზმა გაუსწრო.

მეორე ადგილი ერგო ტერგატს ჩიკაგოშიც. იგი და „კურდღელი“ ბენ კიმონდიუ მე-20 კილომეტრზე დაწინაურდნენ, როცა სხვა „კურდღლების“ ოთხეულმა ტემპის დაგდება სცადა. კენიელთა დუეტი ბოლომდე მოწინავედ გარბოდა და როცა ერთ მონაკვეთში კიმონდიუმ აუჩქარა, ტერგატი არ მიჰყვა. გაიმარჯვა „კურდღელმა“, რაც იშვიათი შემთხვევა გახლავთ.

„მე ჯერ კიდევ ვსწავლობ მარათონის ტაქტიკურ ხერხებს — განაცხადა ტერგატმა — და კვლავაც ვისწავლი, რადგან მარათონელი გავხდი. კროსში და ბილიკებზე დასამტკიცებელი უკვე დავამტკიცე“.

**დავით გულუა**

**ვაჟები**

1. ბენ კიმონდიუ (კენია) 2:08.52; 2. პოლ ტერგატი (კენია) 2:08.56; 3. პიტერ გითუკა (კენია) 2:09.00

**ქალები**

1. კეტრინ ნდერება (კენია) 2:18.47; 2. ელფენეშ ალემუ (ეთიოპია) 2:24.54; 3. კერინ მაკკენი (ავსტრალია) 2:26.04




პირველობას ნაჩვევმა პოლ ტერგატმა ჩიკაგოში მეორე ადგილი იგმარა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge